

# ლიტერატურული გაზეთი

№2 (114) 31 იანვარი - 13 თებერვალი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ლეილა ბეროშვილი

## გამოზამთრება

\*\*\*

ჩემს შრომის წიგნაკში სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე ასეთი ჩანაწერი: „ნიგნში „პოეტის ათასი სტრიქონი“ დაშვებული უხეში, იდეური შეცდომისთვის გათავისუფლდეს სამსახურიდან ა.წ. 16 აგვისტოდან. გამომცემლობა „მერანი“ (1985).“

იდეური და უხეში შეცდომა კოლაუ ნადირაძის ცნობილი ლექსი „25 თებერვალი 1921 წელი“ იყო.

ათი წიგნი დააპატიმრეს, მაგრამ ლექსმა მოასწრო და ცოდვით შემჭვარტლულ ქალაქს მტრედევით გადაუფრინა.

„ერთი ლექსის ისტორია“ — ასეთი სათაურით დაიბეჭდა ჩემი წერილი გაზეთ „მამულში“ 1990 წელს:

„შაინც რა მოხდა? ლექსი გაიპარა თუ გააპარეს, როგორც ბევრს ჰგონია და როგორც რომელიღაც ჩვენთაგანი პოპულარობის მაძიებელი ავრცელებდა ხმას...“ „გაიპარა როგორც თავგაბებრებული პატიმარი, დიდი რისკის ფასად, მაგრამ ისეთი გზებით იარა, ეჭვი ვერავინ შეიტანა და გააღწია...“

(როგორ გაიპარა, მოთხრობილია ჩემს ზემოთხასენებ წერილში).

ქალაქში ჩუმმა სიხარულმა დაისადგურა.

მახსოვს, ბატონი რეზო ჩხეიძე თავისი ვრცელი კაბინეტის კართან შემომეგება — კგბ-ში კი არ ვმუშაობ, მითხარი, რა მოხდაო.

თითქოს ეწყინა, როცა მოვუყევი, რაც მოხდა. არასოდეს დამავიწყდება, როგორი სითბოთი მიმიღო სამსახურში ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა.

საგანგებოდ ჩემთვის შტატი დაუშვა უფროსი „განთიადში“ ბეჭდვითი სიტყვის მინისტრმა ბატონმა რეზო ლლონტმა.

ჩვენს გადარჩენას ცდილობდა კგბ-ს გენერალი ალექსი ინაური.

ჩემთვის 1985 წელს საქართველო თავისუფალი იყო, როგორც არასდროს...

### უპრალოდ ნათქვამი

ღმერთო, ნეტავ მარგალიტა პაპიდა ვიყო, მასავეთ მყუდრო სახე მქონდეს და კეთილი თვალები. საღამოობით საქმეში განხორციელებული ჩემი სახლის კიბის საფეხურზე ვიჯდე, კალთაში მენყოს დიდი, დალილი ხელები, შევყურებდე ჩემს ეზო-გარემოს, მეზობლის მოუწყინარი სახლის სახურავს, ბაქრაძეანთ სასახლის ჩამონგრეულ კედელს, ნანგრევებში თავისით ამოსულ უცხო ყვავილის ხეს, ნიავის ჩქამზე ვიხედებოდე ხან საით, ხან საით და ასე ვუდგამდე სულს დიდ, ქართულ, ეროვნულ მოძრაობას.

ღმერთო, ნეტავ მარგალიტა პაპიდა ვიყო, მყოლოდა ლამაზ გვარ-სახელიანი ქმარი, მოქიფე, მომღერალი ამ ნაძირლებისაგან ტყვიით შუბლგახვრეტილი. ტანთ რძლისგან ამოკერილი უბრალო, შავი კაბა მეცვას, ფეხთ შვილის შეკერილი მესტები, მყავდეს ორი უგერგილო შვილიშვილი და ამ უგერგილობისთვის მიყვარდეს, მქონდეს სიზმარივით დაუნყოფელი რამდენიმე მოგონება, მოფარებულში უსარკოდ ვივარცხნიდე, რაღაცას ვსაყვედურობდე გრძელ, ჭალარა თმას, თავი ცოდვილი და უარესი მეგონოს და ასე ვუდგამდე სულს დიდ, ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

ღმერთო, ნეტავ მარგალიტა პაპიდა ვიყო, უბრალო ჭეშმარიტების უცოდინრად მცოდნელი, უბრალო სიტყვების ხორბლის მარცვლებივით მფანტავი — „თოვლი მოგვივიდა, თოვლი!“ წყლისთვის, მინისთვის, ჰაერისთვის, ცეცხლისთვის უხმოდ მლოცველი და ასე ვუდგამდე სულს დიდ, ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

ღმერთო, ნეტავ მარგალიტა პაპიდა ვიყო, ჩავივლიდი ხრიოკს ჩვენს ხევამდე, ავუნევიდი პირს ბრტყელ, ლამაზ ქვას, გაივლიდა ამ ქვის ადგილზე წმინდა წყალი, მივუხვდებოდი სიცოცხლეს აზრს... ღმერთო, სიკვდილის გზაზე ყველაფერი მეცნოს, უბრალოდ დავტოვო აქაურობა, უბრალოდ უთხრას ერთმა მეორეს — აღარ არის და ამით ჩავუდგა სული დიდ ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

ღმერთო, ნეტავ მარგალიტა პაპიდა ვიყო, ჩემს საფლავს ბალახი ეპირებოდა, ჩემი ნამუსიანი კაბის კალთა იცავდეს დიდ, ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

VI-VII

### ბესიკ ხარანაული



### რომელ-ა მინა?

მადლობა, ღმერთო, რომ მინაზე მომეცი მინა, რომ დავდივარ და რომ დავეძებ, — რომელ-ა მინა?

### სრული თავგადასავალი

დამსხვრეული ნერვები და ერთიც — ლავინი, დუმლილის გარდა, არაფერი დამიფასდა ჩემი თავის წინ.

### ლექსი როდი არის სარკე

ლექსი როდი არის სარკე, რომ გეჩვენოს სასურველი, ბალახებში შემალული ჭინჭარია დამსუსხველი. ლექსი როდი არის სარკე, რომ წინ გედოს და ტკებოდე, ლექსის შემდეგ, უსათუოდ, რამეს უნდა ნატკენობდე. ლექსი როდი არის სარკე, აასრულოს შენი ნება, მდინარეა და მეორედ გრძნობით აღარ შეისვლება. თუ მოხდა და იქ ხარ იმ წამს — აიმღვრევა როცა წყალი, შესაძლოა იმ მღვრიეში დაინახო ნატვრისთვალი. დაიტაცო, თან წაიღო, გინდ ნახვიდე დაკარგულში, ლექსი, როგორც ნატვრისთვალი, ვით ჭინჭარი თაიგულში.

### ამის მოუხარი...

მე და შენ ვართ საქართველო, ორი ხეიბარი, მე სიბერით დღე მაკლდება, შენ კი მთა და ბარი, გზაზე ვართ დაყუდებული,

როგორც მცხეთის ჯვარი — მნახველები დაუდიან, არ ურეკავს ზარი... — ადექ, ზარო, დაურეკე, იგრძნობს მთა და ბარი, ადექ, ზარო, გაიგონებს ცოცხალი და მკვდარი, თუ ცოცხალმა არ გიშველა, მკვდარი ბევრი არის, უმაღვე ნამოცვივიან აჩრდილების ჯარი, ვინაც შეკრა თავის მკერდით კავკასიის კარი, ვინაც დაჰკრა მუზარადებს, დააჩნია ბზარი...

მე და შენ ვართ საქართველო, ორი ხეიბარი, მე კიდევ უფრო ცოდვა ვარ, ამის მოუხარი.

### ნამდვილი ამაჰვი

— შენ მე დამიძახე — იესო! მე შენ დაგიძახე — მუჰამედი! ვილაპარაკოთ.

ხედავ, რა ცოტაა ჩვენს შორის სხვაობა, საერთო კი რა ბევრია: ადამიანობა...

— იესო! შენ გეუბნები ამას პირველს, არავისთვის გამიმხელია: ყოველ დღე, ღამის ოთხ საათზე მეღვიძება, და, — მეშინია.

მე სახე ახლოს მიმაქვს მუჰამედთან, საფეთქლებით ერთმანეთს ვეხებით, რომ თვალები არ დავინახოთ.

— მუჰამედი! შენ გეუბნები ამას პირველს, არავისთვის გამიმხელია: ყოველ დღე, ღამის ოთხ საათზე მეღვიძება, და, — მეშინია.

VIII-IX

რომელი ვიფიქრებდი, რომ ან როსტომს არ ეცოდინებოდა, ან დოიაშვილი ვერ მიაკვლევდა! რა არ ეცოდინებოდა? რა კიარა და, ვინ! რას ვერ მიაკვლევდა? რასა კიარა და, ვისა! ილია ჭავჭავაძე სასხლავით ხელში.

ილია ჭავჭავაძეს სასხლავით ხელში. დიდად არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ვერა და ვერ ვეწევი მე – მკითხველი, როსტომ ჩხეიძეს – მწერალს. არცთუ ნელ და არცთუ ურიგო მკითხველად მიმაჩნია თავი, მაგრამ მართო მისი წიგნები თუ საყურნარო პუბლიკაციები რომ ვიკითხო, ვგონებ, მაშინაც ვერ დავენიო! რა დროსაც ის ერთი რომანის გამოცხობას ანდომებს, ასევე ხატოვნადაც რომ ვთქვა, მე ის დრო იმავე რომანის მოსანელებლად არ მყოფნის!!!

ჰოდა, ასე მედო ორი თუ სამი თვე წაუკითხავად მისი ლამის ცხრაასგვერდიანი „კომიკოსი ტრაგედიაში“, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, რომელიც „არილის“ ანკეტაში ლევან ბრეგვაძემ სავსებით სამართლიანად დაასახელა ქართული ნონფიქშენის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. მედო, სანამ ძველი და ახლი შობაახლნებს შორის რამდენიმე დღე არ გამომიჩნდა თავისუფალი.

ამ რამდენიმე დღეში ჩემი მკითხველური ჩამორჩენა მეტნაკლებად ამოვქაჩე და როსტომის თხზულებებშიც კი მრავალმხრივ გამორჩეულ მის ამ ახალ წიგნში გზადგაზა არაერთი საყურადღებო ადგილიც მოვიჩინე.

რამდენიმე იმ მონიშნულ ადგილთაგან გალაკტიონის ცნობილი „მამული“ უაღრესად საინტერესო ანალიზს უხედა.

**და თეიმურაზ დოიაშვილი ერთბაშად რომ გაათვალსაჩინოებდა ამ სიღრმესა და სირთულეს და კითხვას კითხვაზე ნამოჭრიდა: რა ლოგიკით უკავშირდებოდა მამულის შეცნობას ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლა, ვინ შეიძლება ყოფილიყო წინაპართა ჩამნაცვლებელი „სხვა ხალხი“, ვინ იგულისხმებოდა „მოხუცი მამის“ იმაგინაციურ ხატში ან, დასასრულ, რა იყო მიზეზი პოეტის ნუხილისა და სინანულისა – ლიტერატურული დეტექტივის სტილით შეცდებოდა ამ სირთულის მიღმა გაღწევას.**

და მეორე: **ქრისტიანული სიმბოლიკის მოშველიებით „მოხუცი მამა“, ვინც სასხლავით დადიოდა ვენახში, მამალმერთად განიმარტებოდა, ცოტა ეს „სასხლავი“ უშლიდათ ხელს, მაგრამ... თვალს მოარიდებდნენ და ებიქებოდა.**

და მესამე: **ორჯერ ზედიზედ მეორდებოდა მოხუცი მამის ხსენება, რაც ამ ხატის განსაკუთრებულობას გამოკვეთდა და მიგვანიშნებდა მის განზოგადებასა და გასიმბოლოებაზე.**

მართალია, გალაკტიონი არ მოსწრებოდა მშობელ მამას, მაგრამ ნაამბობის მიხედვით მისი დამყოლი ფანტაზია იოლად წარმოიდგენდა მის სიარულს ვენახში... ან რა ნაამბობი სჭირდებოდა, ისედაც შეიძლება წარმოესახა მამის აჩრდილი ასერიგად ძვირფასსა და მშობლიურ გარემოში: ვენახში.

მაგრამ რაკილა „წინაპრები“ უშუალო მემკვიდრეობითობას კი აღარ გულისხმობდა გალაკტიონის პოეტურ ენაზე, არამედ – ლიტერატურულ წინამორბედებს, ვენახში მოსიარულე მოხუცი მამის ხატიც არა სისხლისმიერ, არამედ სულიერ მემკვიდრეობად თვალსაჩინოვდებოდა.

**და თუ სულიერ მემკვიდრეობას დაბეჯითებით ვირწმუნებდით, მამ ფიქრი ძალდაუტანებლად უნდა გაგვეცეოდა აკაკისაკენ.**

**„მამული“ ხომ აკაკის გარდაცვალების წელს დაწერილიყო.**

და კიდევ: **საკმაო მასალა მოიყრიდა თავს იმის დასტურად, რომ „მოხუცი მამა“ სხვა არავინ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა აკაკი... და მოულოდნელობის შემსწრენი არც შევიქმნებოდით, თეიმურაზ დოიაშვილის ეს წარკვევი ჩვეულებრივი სამეცნიერო ნაშრომი რომ ყოფილიყო,**

**ჰაატა ნაცვლიშვილი მოხუცი მამა სასხლავით ხელში**



მაგრამ რაკილა ლიტერატურული დეტექტივია, ეს ყანრი თვითონვე მოითხოვს მკითხველის დაყენებას მცდარ კვალზე, რათა მსჯელობის შემოტრიალება და სულ სხვა პერსონაჟის გამოჩენა მითუფრო მოულოდნელი და ეფექტური იყოს.

**დეტექტივის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ეს არის და...**

**თვალსაჩინოებისათვის შესაფერი ნიმუშები დაგვივსავს, რათა... უეცრად განეცხადებიან: „მოხუცი მამა“ აკაკი წერეთელს კი არა... ილია ჭავჭავაძის გულისხმობს.**

ამბის როსტომჩხეიძისეული გადმოცემაც უნაკლოა და თეიმურაზ დოიაშვილის ლიტერატურული გამოძიებაც ხომ იქნება და იქნება!

როსტომიც, თეიმურაზ დოიაშვილის კვალდაკვალ, ამძაფრებს თხრობას, ძაბავს მოლოდინს და მართლა საინტერესოდ დაგვატარებს ფილოლოგიური დეტექტივის ლაბირინთებში. მასვე რომ დავესესხოთ, ერთი ხელის გაკვრალა უნდა და მხატვრულ-დოკუმენტური მინიატურაც მზადაა!

გალაკტიონის მიმართება ილია ჭავჭავაძესთან და ავტორის მიმართება ამ მიმართებასთან გახლავთ ერთი ის მთავარი ასპექტი, რაც როსტომ ჩხეიძის წიგნს გალაკტიონზე შექმნილი სხვა მონოგრაფიებისაგან გამოარჩევს.

ხოლო გალაკტიონის „მოხუცი მამა“, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეა! ძალიან არ მინდა, ეს „რათქმუნდა“ ვინმემ საკუთარი თავის ქებად და გალაკტიონოლოგთა დამცრობად გამოიგოს, მაგრამ ჩემთვის გალაკტიონისეული „სასხლავიანი მოხუცი მამის“ ილიად მოაზრებას მამალმერთობის, საკუთარი მამისა თუ აკაკიობის გზა არ გაუვლია.

ჩემი ფიქრით, გალაკტიონის ამ პერსონაჟის მამალმერთად

წარმოდგენას მართო „სასხლავი“ კი არა, რომელსაც „თვალს მოარიდებდნენ და ეგ იქნებოდა“, სიტყვა „მოხუცი“ უშლის ხელს. არა მგონია, ძველ სემინარიელს „მოხუცი“ ეწოდებინა მამალმერთობისთვის, უდასაბამოსთვის და უსასაკოსთვის.

რაც შეეხება ვასილ ტაბიძეს, მისი წარმოსახვა სასხლავომარჯვებულ მოხუც მამად მეტისმეტად პრიმიტიული იქნებოდა ამ დონის პოეტის ამ დონის ლექსისათვის.

აკაკის სახე, რასაკვირველია, უფრო ერგება ამ „იმაგინაციურ ხატს“, მაგრამ აქაც იმ სასხლავზე თვალის დახუჭვაა საჭირო.



არადა, თუ არც ქრისტიანულ სიმბოლიკას შევანუხებთ და არც ფილოლოგიურ თუ ისტორიულ პარადიგმათა ლაბირინთებში გადავეშვებით, სწორედ ის „ხელის-შემშლევი“ სასხლავი მოგვევლინება გასაღებად და დეტექტიური კვანძიც, ჩემი ცოდნით თუ უცოდინრობით, მეტისმეტად ემპირიულ დონეზე გაიხსნება:

სასხლავი – ვენახი – კახეთი – ილია.

უაღრესად საინტერესოა როსტომისეული (თუ დოიაშვილისეული?! ჩემდა სამარცხვინოდ, მე მისი ეს ლიტერატურული დეტექტივი არ წამიკითხავს) მსჯელობა ილიას ალუზიებზე გალაკტიონის ამ ლექსში:

**„მამული“ გაჯერებულიყო ილიას „გაზაფხულის“ ალუზიებით და თუკი გალაკტიონს ამ ლექსში აკაკის სახე დაექარაგმებინა, ილიას პოეტური სამყაროსთვის რატომღა მიემართა?! არადა, კავშირი „მამულსა“ და „გაზაფხულს“ შორის იმდენად თვალსაჩინოდ გადაშლილიყო, საგანგებო დასაბუთებას აღარც საჭიროებდა: მამულიც, მდელიც (ველი), ვენახიც (ვაზი), საგაზაფხულო გამოღვიძებაც და კონტრასტული პარალელიზმის ხერხიც ლექსის ფინალში – ილიასეული გახლდათ და ილიასეული.**

**„მამულის“ მეორე სტროფში ერთი მინიშნებაც შეიმჩნეოდა, კვლავ ილიასთან რომ გვაგზავნიდა:**

– „მოხუცი მამა“ ლექსის ფინალში იხილვის ველის წიაღში – წარმოსახვა გადაშლის „ველს“... და შიდა სივრცეში ვხედავთ ვენახში ვაზთან მოფუსფუსე, მზრუნველ მოხუცს. სიტყვა „ველი“... ილიას აჩრდილდნენ მომდინარე „ტომოსია“. მთის მწვერვალრიდან მომზირალი აჩრდილის – მოხუცის თვალს არაფერი იზიდავს, გარდა შორს გაშლილი ველისა, რომელზეც „სრულ-საქართველო“ მოჩანს.

**პოემის ისტორიულ ნაწილში ილია ორ სიტყვას – „ველს“ და „სამშობლოს“ სინონიმებად იყენებს და თავისუფლად უნაცვლებს ერთიმეორეს.**

ეს მსჯელობა მით უფრო მომწონს და მემშობლიურება, რომ ჩემს სქემაშიც ვხედავ, თუ „კახეთსაც“, „სამშობლოს“ დარად, „ველის“ (ალაზნის ველის!) სინონიმად ჩავთვლით და თავისუფლად ჩავუნაცვლებთ ერთიმეორეს.

იმ სქემაში სიტყვა „სასხლავი“ უბრწყალეობად ვიხმარე. უბრწყალეობად ვიხმარე იგი სქემისწინა წინადადებაშიც, საცა სასხლავი დეტექტიური კვანძის გასაღებად მოვიხსენიე.

არაფერში აერევა, ციტატის ბოლოს კი იგი, რა თქმა უნდა, წერტილის ან სხვა რამ ნიშნის შემდეგ იჯდება და არც აქ აერევა ვინმეს დღეს არსებულში. ახლა სახელს აღარ იკითხავთ?! სახელ-იც რო თავისი შეიძლება დაერქვას! — საკუთარი, არაფერთან გაზიარებული. აკი „ბრწყალეობს“ სხვაგვარად „წინკლებსაც“ ვეძახით. ეს სიტყვები სინონიმებია. ჰოდა, ერქვას „ორწერტილი“ იმას, რასაც აქამდე ერქვა და ჰქვია, ამ ჩემს შემოთავაზებულს კი, მხოლოდ ციტატებისთვის მორგებულს, „წინკლები“ დავარქვათ. მაინც წინკლებია და მეტი არაფერი. ბრწყალეობა კი, მართლა ბრწყალეობს რომ ჰგვანან, იმავე სახელით დავიტოვოთ და სათაურების მოხმობა რომ დაგვჭირდება, ან ციტატებს შიგნით ციტატების გამოყოფა, მაშინ დავიხმაროთ.

აკი ვამბობ, ბექდური და წერილობითი ტექსტების გამარტივების და მეტი ორთოგრაფიული კომფორტის მიზნით მე ამიერიდან ასე მოვიქცევი და სხვას – როგორც ენებოს.

ეს პირველი გამოქვეყნებული ტექსტია, სადაც ამ ჩემი ორთოგრაფიული სიხლის პრეზენტაცია ხდება.

დიდი მადლობა ამ პრეზენტაციისათვის „ლიტერატურულ გაზეთს“!

დარწმუნებული ვარ, ქართული ორთოგრაფია და პოლიგრაფია ბრწყალეობისა და წინკლების ამგვარ გამიჯვნა-ჩანაცვლებას დღეს თუ არა ხვალ უეჭველად შეისისხლობრცებს.

ახლა კი ისევ იმ ჩემს სქემას დავუბრუნდეთ, სინონიმებით გამაგრებულს:

სასხლავი – ვენახი (ვაზი) – კახეთი (ალაზნის ველი) – ილია.

მხოლოდ ამ სქემის სადემონსტრაციოდ, გინდაც ჩემი მიხვედრილობის და „მოხუცი მამის“ ხატებაში ილია ჭავჭავაძის სახის ამოკითხვის უთუობის დასადასტურებლად ამ ოპუსს, რა თქმა უნდა, არ დავწვდები.

შემოთავაზებული ორთოგრაფიული სიხლის სადემონსტრაციოდაც მოვძებნიდი სხვა რამ თემასა და სათქმელს.

ამ ყველაფერს იმად ვწერ, რომ დეკლარაციები და ალბათ ყველაზე თვალსაჩინო არგუმენტი შევაშველო, ერთი მხრივ, იმ ჩემს ემპირიული სქემას და, მეორე მხრივ, თეიმურაზ დოიაშვილის მახვილგონიერულ ფილოლოგიურ დეტექტივს, რომელიც ასე ლაზათიანად და კანთიელად გადმოსცა თავის წიგნში როსტომ ჩხეიძემ.

ზემოთ მოხმობილი და წინკლებით გამოყოფილი ციტატები როსტომის წიგნის 130-იან გვერდებზეა განუყოფილი. მონიშვნით კი მოვიჩინე, შორი გზა ხანა-ხანა მოკლევნე საინტერესოა-მეთქი, ჩემთვის ესეც გავიფიქრე, მაგრამ ვერა და ვერ მოვიშორე რაღაც ბუნდოვანი სურათი:

ილია ჭავჭავაძე სასხლავით ხელში!

სადაც მინახავს. საკუთარი თვალით. საშუალო პლანით. პლანებში ჩამდგარი. სასხლავით ხელში.

თან სურათი გაორებული იყო. ერთი უფრო ბუნდოვნად ჩანდა და შორეულ მოგონებას ჩამოჰგავდა, მეორე კი უფრო მკაფიო იყო და უფრო ახალი.

900-გვერდიანი წიგნი ისე ჩავათავე, ეს სურათები არ მომშორებია თვალთაგან. არადა, ვერ გავიხსენე, სად მენახა და როდის. თუმცა დროის ლოკალიზება უფრო ადვილი იყო, ვიდრე ადგილისა: როდის უნდა მენახა და, როცა ილია ჭავჭავაძით იყო სავსე ჩემი დრო და სივრცე, როცა არაფერს, მასზე დაწერილს, წაუ-

**დასასრული მე-13 გვერდზე**

ადგილი და დრო

ქალი ექვსი წლით უფროსი გახლდათ — ოცდაოთხი წლისა სრულდებოდა. მოგეხსენებათ, ამ ასაკის ქალში როგორ ჩქეფს სისხლი. ლამაზიც იყო, სანდომიანიც და რატომ უნდა გასჭირვებოდა 18 წლის ყმანვილის ლოგინში ჩაგორება?! მითუმეტეს, რომ ამ ასაკის ყმანვილები, ქალზე ოცნებას უხმოდ იკლავენ გულში, მხოლოდ ზმანებებში თუ ნეტარებენ მათთან. ამ ასაკში ვნებამონოლოდი ყმანვილი კაცი ლამაზ ქალს კი არა, ლამაზისეულსაც კი ჩაუგორდება ლოგინში.


ასეა დღეს. მეთექვსმეტე საუკუნეში? ალბათ, ლამაზისეულიც კი მიუწვდომელი გახლდათ.

ქალმა ყმანვილი კაცი ლოგინში ჩაიგორა და ისე აამა, იმ ყმანვილის ბიოგრაფიის ნერენ, ქალს ლამის თვალდახუჭული გაჰყვა ეკლესიაში ჯვარის დასაწერად.

ასე დაიწერა ჯვარი 24 წლის ანა ჰიტაურმა 18 წლის ულიამზე და დაწყო ალერსით სავსე ლამეები — ყმანვილის ცხოვრებაში ერთობ წარმტაცი, მომხიბლავი, ვნების აღმურში გათენებული ლამეები. განცხრომისას, ვნების ნეტარებას თავმიცემული ამ ასაკის ახალგაზრდები არ ფიქრობენ იმაზე, თუ რა იქნება ხვალ. ალბათ, არც ულიამი და ანა იკლავდნენ თავს ამაზე ფიქრით. ამაში უჩვეულო არაფერია.

გადის დრო. ვნებით სავსე ლამეებს თავისი ლიგიკური გაგრძელება მოსდევს — ჩნდება პირველი შვილი. ცხოვრება თავის ჩვეულებრივ სახეს იღებს. ყოფას, ყოველდღიურობას გვერდაუვლებელი კანონები აქვს: იბადება მეორე ბავშვი, მერე — მესამე... ულიამი თავის პატარა ქალაქში ადვოკატის თანაშემწეა და ერთგული მეოჯახე, მეუღლე, მამა. მაგრამ დროთა განმავლობაში აღარც ადვოკატის თანაშემწეობა აკმაყოფილებს, აღარც ანა ჰიტაური — ის, რაც 18 წლის ყმანვილისათვის საოცნებო იყო, დღეს რუტინაა, ყოველდღიურობა.

და დგება ბედნიერი წუთი, საათი თუ დღე — არა მხოლოდ ულიამისათვის ბედნიერი წუთი, საათი — დღე კაცობრიობისათვის — ულიამი გარბის თავისი ქალაქიდან, ტოვებს ანას, სამ შვილს და ლონდონს მიემგზავრება. იმასაც მიიჩნევენ, სტრატეგორდში ჩამოსულმა თეატრალურმა დასმა ისე მოხიბლა, მსახიობებს თან გაჰყავო. მთავარია, რომ გადადგა ასეთი ნაბიჯი. დატოვა ოჯახი, ქალაქი და ლონდონს მისცა თავი.



და მე ვფიქრობ: რა მოხდებოდა, რომ სტრატეგორდ არ დაეტოვებინა? ხომ შეიძლებოდა, დარჩენილიყო ოჯახის ჩვეულებრივ ერთგულ ადამიანად. ასე ხომ მილიონობით ადამიანი ცხოვრობს. ცხადია, შეიძლებოდა. მოყვარულ ცოლ-შვილში არც სითბო მოაკლდებოდა, არც — ალერსი. გაუჩნდებოდა კიდევ სამი, ხუთი შვილი. მამამისს, ჯონ შექსპირს რვა ჰყავდა. იქნებოდა, ესეც ვთქვათ და, ადვოკატის თანაშემწე.

წყნარი, მშვიდი, აუმიღვრეველი ცხოვრება. ასე ხომ მილიონობით ადამიანი ეწევა ცხოვრების ჭაპანს.

მერე? არაფერი, სრულიად არაფერი! მიიცვლებოდა ისე, როგორც მილიონობით ადამიანი აბარებს სულს მამაზეციერს...

ლონდონში, თეატრის სამყაროში მოქცეული ულიამი კი იწყებს გენიალური დრამატურგის გზას...

თამაშობდა ამა თუ იმ როლს, წერდა პიესებს (რა უბრალოდ დაიწერა: „წერდა პიესებს“ — პიესებს მილიონობით ადამიანი წერს, შექსპირამდე კი ძლიერ, ძლიერ მოოსაა), გადააკეთებდა უკვე არსებულ, პოპულარულ, მრავალგზის დადგმულ პიესას და...

ერთი სიტყვით, მოხვდა ისეთ გარემოში, რომელმაც სრულად გამოავლინა ის, რაც მის სულში იყო.

და დაიწყო გენიალური შემოქმედის

გურამ ბათიაშვილი

სახეები და სიტუაციები

თავები მომავალი წიგნიდან

გზა.

ოჯახი გაანანყენა, ცოლ-შვილს გული ატკინა, მაგრამ — კაცობრიობა?

ეს ამბავი ხომ ოთხი საუკუნის წინათ იყო. ყველაფერმა ჩაიარა, დასაწერი დაიწერა. შეიქმნა საკაცობრიო ნაწარმოებები, მაგრამ მაინც არ მასვენებს ერთი ფიქრი: ლონდონში ჩასული რომ თეატრში კი არა, ბირჟაზე, ცხენსაშენში (ცხენები ძლიერ უყვარდა, მათი ბუნებაც იცოდა — ლონდონში ერთხანს თეატრში მოსულ დიდებულთა ცხენების მიმხედავი იყო) მისულიყო, ან მეკობრეთა შორის მოხვედრილიყო?!

რამდენი რამ დააკლდებოდა კაცობრიობას!

რატომ არ შეიძლება, ვიფიქროთ: უზენაესმა იგი მიიყვანა იქ, იმ ადგილას, სადაც უნდა განხორციელებულიყო მისი (უზენაესის) ჩანაფიქრი და მიიყვანა მაშინ, სწორედ იმ დროს, როცა შესაძლებელი იყო მისი ფიქრის განხორციელება...

„ლომი“

ლომი! რამდენდაც მახსოვს, ეს მეტსახელი ქართველ მწერალთა სასაუბრო არეალში ზაურ ბოლქვაძემ შემოიტანა და დაამკვიდრა კიდევ — მეტსახელი გავრცელდა: „ლომი, ძმა, რას შობი?“

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვისაც ლომად მოიხსენიებდნენ, ჩვენი ერთობ ცნობილი პროზაიკოსი, პუბლიცისტი, მოგვიანებით მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე გახლდათ. თავდაც ხშირად იყენებდა ამ სიტყვას.

გურამს ძალიან პატივს ვცემდი. ცხოვრების ავ-კარგში ჩახედული კაცი იყო. ურთიერთობაში უმუშალო გახლდათ, ერთობ კეთილგანწყობილი, მაგრამ არ შეეძლო და არც ცდილობდა, ამათუიმ პიროვნების მიმართ თავისი ნეგატიური დამოკიდებულების დაფარვა, შელამაზება. იმდენად ძლიერი პიროვნება გახლდათ, თავს არ უკრძალავდა სიმართლის თქმას.

ეს ერთმა შემთხვევამაც დაადასტურა: ცნობილია, რომ ბიჭვინთაში საბჭოთა კავშირის მწერალთა სახლი იდგა. ამ მრავალსართულიან სახლში ორი სართული საქართველოს მწერალთა კავშირს ეკუთვნოდა. თითქმის მთელი წლის განმავლობაში — ზამთარ-ზაფხულ — აქ ისვენებდნენ სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული მწერლები. ცხადია, ქართველი მწერლებიც, მაგრამ ისინი დასვენებას მეტწილად ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით ამჯობინებდნენ. გურამ ფანჯიკიძის ოჯახი ხშირად ისვენებდა ამ სახლში.

ეს ამბავი გასული საუკუნის 80-იან წლებში მოხდა: დასასვენებელ სახლში თურმე რომელიღაც ქართველი ებრაელის ოჯახი ისვენებდა. ამ ოჯახში ერთი ვაჟი იზრდებოდა. ხეივანი, საპყარი ყოფილა ეს ყმანვილი — ზღვაზეც ვერ ჩადიოდა საბანაოდ — ხან ფართო, ლამაზ ფოიეში იჯდა, ხანაც, თუ ვინმე ჩაიყვანდა, ეზოში, ჩრდილში. ეზო და ჩამოსაჯდომ-მოსასვენებელი კი ბიჭვინთის სახლში ბევრი გახლდათ და მომხიბლავიც.

და აი, ერთ დღეს, თურმე, ამ ხეივარ ყმანვილს რაღაც მიზეზის გამო რუსეთის პროვინციაში მცხოვრები, რომელიღაც კარგად ცნობილი და „დანიანურული“ მწერალი ახირებია. დასასვენებელ სახლში „იზაბელაი“, ლობიოთი, ღომით და მჭადით გამობერილ-გამოსიებული რომ მობრუნებულა და ფოიეში ეს „ჟიდოვსკაია მორდა“ დაუნახავს, როგორც ჩანს, წინაპართა სისხლმა იყივლა — „ბეი ჟიდოვ, სპასაი როსიიუ!“ რომ გაიძახოდნენ და რუსეთის გადასარჩენად ამ საპყარ-ხეივარ ყმანვილს დატყავნია. კი დავერე „რალაც მიზეზის გამო“, მაგრამ თუ იმ ფრახას აღვადგენთ, რასაც ეს „იზაბელაი“ გამოპრუყებულ კაცი გაიძახოდა, ყველაფერი ცხადი გახდება: „ი გრუზინ ი ჟიდ“, „გრუზინო-ჟიდოვსკაია მორდა...“

ამ ფაქტის შემსწრე უკმაყოფილო, მაგრამ უხმო მწერლებს ყმანვილი ოთახში აუყვანიათ.

ინციდენტი დამთავრდა. დასასვენებელი

ლი სახლის ფოიეში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა.

ორიოდ საათში, საღამო ხანს, ეს ამბავი ზღვიდან მობრუნებულ ქართველ კაცს უამბეს.

ის ქართველი კაცი იმ ცნობილი თუ გაქსუებული რუსი მწერლის ოთახს მონახავს, დაუკაკუნებს, თავაზიანად მიესალმება და კატეგორიული ტონით მიმართავს: — მე ვარ ქართველი მწერალი გურამ ფანჯიკიძე.

— ვიცით, გიცნობთ — „მეშვიდე ცა“, — ღიმილით ამბობს გაქსუებული.

— თქვენ ჩაიღინეთ უმსგავსო საქციელი — დაჩაგრეთ ხეივანი ებრაელი ყმანვილი.

— მერე, ებრაელი ყმანვილის ბედი შენ რა განადგულებს?! — ღიმილი სახეზე ამრება გაქსუებულ მწერალს.

გურამ ფანჯიკიძე კი ამჯერად სიტყვაძვირია და მოკლედ მოჭრის:

— თუ ხვალ დაღამებამდე არ დასტოვებთ ამ დასასვენებელ სახლს, ყოველმხრივ ვეცდები, საკადრისი სასჯელი მიიღოთ, — და ოთახს აუჩქარებლად ტოვებს.



ჩემთვის მთავარი ქართველი მწერლის საქციელია და არა ის, თუ რა გადაწყვიტა იმ გაქსუებულმა რუსმა ბოიარმა. ამიტომ აღარ აქვს მნიშვნელობა, ბოიარი მეორე დღესვე გაეცალა ბიჭვინთს თუ არა. თუმცა, ედუარდ ელიგულაშვილმა, რომელმაც ეს ამბავი მიაშმო, დასძინა:

— კი, მეორე დღესვე უთქვამთ — ფანჯიკიძე სიტყვას ასრულებსო და წავიდა.

**P.S.** ამ ამბავმა ერთი ქართველი ებრაელი მეცნიერი — პროფესორი ლული შათაშვილი გამახსენა — არაერთხელ უამბინია ასეთი რამ: მისი უნივერსიტეტში ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებს რომ ვაბარებდი, ერთმა პროფესორმა სადაური, რა ეროვნების კაცი ხარო, მკითხა. ვუთხარი, ქართველი ებრაელი ვარ-მეთქი. „ქართველიც და ებრაელიც? მოსკოვში ამდენს ვერ გაუძლებსო, ყმანვილო!“

მეორე მოგზაურობა ვენეციაში

პირველი მოგზაურობა შემთხვევითობამ განაპირობა — ერთი კვირის, გინდა ოთხი დღის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ამ კვირის ბოლოს ვენეციაში იქნება, სან მარკოს მოედანზე მტრედებს დააპურებ, მერე კი დოჟების სასახლეში ტინტიერტოთი გაოცდებო, რასაკვირველია, იჭვის თვალთ შევხედავდი.

ნიცაში ვეროპის ებრაელთა კონფერენციაზე ჯემალ აჯიამვილი და მე უნდა გავმგზავრებულიყავით.

ჯემალი და მე ასეთი ვოიაჟის წინ ყოველთვის ვცდილობდით, ახლო-მახლო ქვეყნების თუ არა, იმავე ქვეყნის სხვა სანახებიც მოგვეხილა. ამჯერად გადავწყვიტე, ნიცადან ესპანეთში, ბარსელონაში ჩავსულიყავით. ჯემალი ამბობდა, ახლოს არისო. ბარსელონაში ჩასვლა გაუდის გამო მეც მენადა — ძლიერ მიწოდდა, თვალი შემეველო „სოგრადა ფამილიასა“ და მისი პარკის, ცენტრალურ ქუჩებზე მის მიერვე დაპროექტებული შენობებისათვის. ბარსელონადან მადრიდში წასვლა დავგეგმეთ. მართალია, მადრიდი უკვე მენახა, მაგრამ პრადოს კიდევ ერთხელ ნახვა როდის არ არის საამო და ცოდნით გამამდიდრებელი.

მადრიდიდან კი შინ, თბილისში

დავბრუნდებოდი.

ჩავედით ნიცაში. მეორე თუ მესამე საღამოს უკრაინელი მეგობრები პარიზს მიემგზავრებოდნენ. მე და ჯემალმა უკრაინელები რკინიგზის სადგურამდე გავაცილეთ. ნიცას რკინიგზის სადგური პატარაა. ჩემთვის ესოდენ ძვირფასი სენაკის სადგურზე უფრო პატარა. თუმცა, მოსაცდელი დარბაზი თითქმის ერთნაირია — ბილეთების საღაროს ისეთივე ცხაური, მატარებლების მოძრაობის — წასვლა-მოსვლა-დგომის — განრიგის ისეთივე დაფა.

ვიდრე უკრაინელი მეგობრები პარიზში გასამგზავრებელ ბილეთს იღებდნენ, კედელზე გაკრულ მატარებლების განრიგს ვათვალიერებდი და შავ დაფაზე თეთრად დანერილ ისეთ სტრიქონს ნაწაწყდი, თვალს არ დავუჯერე. სტრიქონი მეორედ, მესამედაც კი წავიკითხე: ნიცა-ვენეცია. გასვლა ღამის 11 საათზე, ჩასვლა ღამის 7 საათზე. ბარსელონაზე, გაუდინზე, იმდენს ვფიქრობდი, მეორე, საპირისპირო მხარეს ყურადღება არ მივაქციე და წარმოდგენაც კი არ მქონდა იმაზე, თუ ვენეცია ასე ახლო იყო. ავფორიაქდი. ვენეციის ნახვა ოცნებად მქცეოდა და ახლა, როცა სულ რაღაც რვა საათის სარკინიგზო გზა მამორებდა... კიდევ როდის მოვხვდები აქეთ!

ბილეთის ფასი ვიკითხე. არც ისე ძვირია, მითუმეტეს 60 წელი უკვე შემისრულდა და ევროპის ბევრ ქვეყანაში 60 წელს გადაცილებულთ, თუ შაბათ-კვირას არ მოისურვებენ მგზავრობას, შეღავათს უწევენ. ეს ფასდაკლება კი კარგა 18 დოლარია. 18 დოლარი გზაზე გაბმული კაცი-სათვის დიდი ფულია.

უკრაინელები პარიზს გავისტუმრეთ, სასტუმროსაკენ მიმავალმა, ჯემალს ვუთხარი, ესპანეთში აღარ მოვდივარ, ერთხელ ხომ ვიყავი, საკმარისია-მეთქი. გაოცდა. ვუთხარი, ვენეცია აგერ, ყურისძირში ყოფილა-მეთქი. შევატყვე, აზრი მოეწონა: „მერე უკან დასაბრუნებელი თვითმფრინავის ბილეთი ხომ მადრიდან გვაქვს?“ — კითხულობს. „წავიდე, ღმერთი შეგვეწევა!“

მიუხედავად იმისა, რომ ჯემალსაც და მეც ძლიერ გვეწადა გაუდის „სოგრადა ფამილიასა“ და სხვა ნამუშევრების, მადრიდის ნახვა (დღისის ნამდვილი წყალობა იყო: მომდევნო წელს სწორედ ბარსელონაში გაიმართა ანალოგიური კონფერენცია — გაუდითაც ვიჯერეთ გული, მადრიდითაც და პრადოში მოქცეული გენიოსებითაც), მეორე საღამოსვე მატარებელში ჩავსხედით და ვენეციისაკენ ავიღეთ გეზი.

შორს წავიყვანს იმაზე საუბარი და აღარ გაიმბობთ, სისხამ დილით, მატარებლიდან გადმოსულთ, თუ რა განცედა დაგვეუფლა. ეს სტრიქონები ხომ ვენეციასთან მეორე შეხვედრის თაობაზე იწერება. თუ პირველი შეხვედრისათვის თბილისიდან სტამბოლს ჩავედი, სტამბოლიდან პარიზს, პარიზიდან ნიცაში, ნიცადან კი — ვენეციაში, ამჯერად — მეორე მოგზაურობისათვის ათი ნაბიჯიც არ გადამიდგამს. ჩემს ოთახში ვიჯექი და ვკითხულობდი ოთარ ჩხეიძის ჩინებულ წიგნს „იტალიური დღიურები ბაირონისა“.

მაოცებს ოთარ ჩხეიძის შემოქმედების ამბილიტუდა. ამოდენა რომანების, პიესების, მოთხრობების შემქმნელი, ქართლის დაბა სოფლებში ამდენი ხასიათის მომძიებელ-დამხატვა, როგორ იცლიდა იმისთვის, რომ ასე დაწვრილებით შეესწავლა ბაირონის ცხოვრება და შემოქმედება და დაეწერა ნიგონი ბაირონის იტალიურ დღიურებზე. და თუ ამ ნიგონს გულდაგულ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ იგი მხოლოდ პოეტის იტალიურ დღიურებზე არ არის. მკითხველს არ გაუჭირდება ამ ნიგონში ამოიკითხოს, მწერალი თუ რაოდენ ღრმად იცნობს ბაირონის ეპოქას, იცნობს ამ ეპოქის მთავარ პერსონაჟებს — იმათ, ვინც ბაირონის ირგვლივ ტრიალებდნენ, მის ცხოვრებაში ამათუიმ სახით მონაწილეობდნენ და რაც მთავარია, ოთარ ჩხეიძე ძალიან კარგად იცნობს ბაირონის შემოქმედებას და ცხოვრებას იტალიამდე და იტალიის შემდეგ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიდასტურებს: მწერალი მრავალსახოვანია. თავისი ცხოვრების განმავლობაში სხვადასხვაგვარ რეალობას თხზავს. მის მიერ შეთხზული რეალობის ძლიერება, მისი ცხოველმყოფელობა არა ასახულ ობიექტთან იდენტურობით,

დასასრული მე-15 გვერდზე

დრო

ვიძალო — ვერ დავიძველო სული, სხეული, ფრთები.

— როგორ ხარ, დედამინელო? — როგორ ვიქნები, ვკვდები.

შენ აღარ გაჭენდებოდე, ივლიდე ყავარჯენებით...

ან სულაც გაჩერდებოდე — ხო ყველა გადავრჩებით.

ზარი

(ბანალური თამაშები)

გაუგე შენ ვერაფერი. გაგიგო მან არაფერი. გაგაგორა, რამდენჯერაც გაგიგორა კამათელი.

შენი გამოპანდურების მითითებაც გასცა ვიდრე, მინდა, გკითხო: როცა ყველას მაგ კოტორიას ასწავლიდნენ —

მომავალი მონარქიდან გლახამდი და ქვითხურომდი — რა ქალაქის ქუჩაში იჯექ, რა ჯანდაბას კითხულობდი?

ალალი ღოცვა

ღმერთო, ღმერთო, როცა მიჭირს, მაშინ უნდა მომეშველო: ყინვით დამზრალს ცეცხლი მომცე, მზისგან დამწვარს მომცე ჩერო.

ყელზე თოკი რა მომაბეს, ფეხზე ლოდი მომაბეს რო — ამაღ გიხმე — აბა, განა თავი უნდა მოგაბეზრო.

დღეს გამიქრე ყველა ჭირი, რასაც ვყავარ ნახელთები — ხვალვე გაგიტამამდები, ზეგვე გაგიტახედლები.

მაზეგ სულაც დამავიწყე, რითიც ახლა ვენამები, — განა მარტო შეგეშვები — საერთოდ არ მენამები.

ასე იცინა

დაგლის ტანის დივანზე და ლოყის მკლავზე შემოდება, გარეთ გახვალ, ნახავ, შენი შემოდგომა გელოდება —

ისევ ისე ფერყვითელი, სუნსველი და გემომწიფე, ფეხქვეშ ისევ დაძინილი ნოხის ნაფლეთს შემოგიფენს —

ნიავექარში სადარბაზოს ღია კარში შემოხვეტილს, და გგონია, გარეთ იყავ — სახლში ახლა შემოხვედი —

სადაც შენი სული ფხიზლობს ან ფხიზელი ძილით სძინავს, შემოსულხარ რაკი შარშან, იმის წინ და წინის წინაც,

შენი დარდის ეკალ-ბარდით, შენი ომით, შენი ნდომით, და ამანაც შეგიფარა, თანაც — მთელი შემოდგომით...

გული აგიჩუყდება და მოგივა და შეგიხტება — ასე იცის შემოდგომამ — შეგიჩვევს და შენი ხდება.

მაგრამ განა მარტო მაგან — ყინვის ეტლით ნასერი ცის ზამთარმა და ზაფხულმა და გაზაფხულმაც ასე იცის.

ასე იცის ამქვეყანამ, სათნოა თუ მურდალია, თავის პანოს, ხვატით დამწვარს თუ ყინულის სუდარიანს,

პროზის მსუყე საფლობებს თუ პოეზიის მიმქრალ ტონებს შეგაჩვევს და შეგიჩვევს და მერე უცებ მიგატოვებს.

სოფელი

აღს უღიმდამოდ დუმელი ლოღნის. კენტ ლამზე ნათლის ეღვრება ლელმა. იქვე გაშლილი სიმინდი შრება და აჩრდილების ჩამჭყნარი ჩვრები. თითქოს მთავარი აქამდე უთქვამთ: ხვრინვარეული მოისმის სუნთქვა — მიძინებული კაცის დუმელი. და ამ დუმელსაც ლოღნის დუმელი. თუ დაიხია სიბნელის ლაფმა — ბოლოს და ბოლოს აანთეს ლამფა, ელამი თვალი აუხამხამეს და შეარკინეს მათხარ ლამეს —

ზაზა ბიბილაშვილი

ყოველი საგნის ბინდიან სურათს მყრალი მუცლიდან გამოინურავს.

...სანოლი, ძონძით თავდახუნძლული. მაგიდის რიფი ანდა კუნძული. ზედ — ნივრის კბილი და ნივრის კბილა ხახვის თავი და... მურაბის ქილა. და იქვე — ნიგნი — სიტყვების კევრი — ჯემის ჯოისი თუ ოუ ჰენრი. რაფაზე ჭკნება ალოეს ლანდი. რაფაზე ლამე მოჟონავს ბლანტი.

და თუმცა ჭარბობს სიბნელის ლაფი, მაინც ამჟღავნებს პარპალი ლამფის: ოთახი — ყოფის პატარა პეშვი — თვლემს უქალობის დუნდულა მტვერში. და ისევ, თითქოს ყოველი უთქვამთ: ხვრინვარეული მოისმის სუნთქვა — მიძინებული კაცის დუმელი. ლამეს უღონოდ ლოღნის დუმელი.

ფარსეთის პრინცი

(ბანალური თამაშები)

ჩემს ცაზე თვალი თუ შეგასწარი და დამეკარგე, როგორც კომეტა... რად შემიტევდა ისე თავქარი — მენახე — სხვა რა მომანდომებდა?

თუ არა სახე — შუქი ფრესკული, ტანი თუ არა — ქარვა და რთველი, რად ჩაგიხვევდა გულში ეს გული? — ობობა, შენზე ფიქრების მრთველი —

ასე ქცეული თანდათან ნართად — შენთან ყველაზე სანდო კავშირად — რაშიც ისეთი აზარტით გხლართა, რომ მერე ვეღარ გამოგარჩია...

თურმე კარტივით ცვიოდა დღენი — ყვავის ქალი და აგურის ქალი... — ფოტოპირები შენი და შენი — სულ ერთმანეთზე უფრო მიმქრალი.

მაგრამ ყველა დღეს ება ნესტარიც — შენი სურვილის ნესტარი ება — და სულ მიწვედა დედან-ნესტანის ალაღბედიით რესტავირება.

შენც ახალ-ახალს ივლებდი ნართებს, როგორც მაქმანებს, ანდა არშიებს... ბოლოს რომ — თურმე იმდენი გხლართე — გარჩიე — ვეღარ გამოგარჩიე...

მერე დამალა ნატვრისგან ჩაგვრამ, უნდილმა როლმა — მექსლე-მეძეგლე... ვერ გიპოვიდი, ვიცოდი, მაგრამ ვიცოდი, მაინც უნდა მეძებნე.

ხან ვაკაკუნე, ხან ლოდი ვკარი, ხან ჟამმა შეხსნა, თმენით ნაყელი... და აჰა — უცებ შემომხვდა კარი, ზედ ნანერილი შენი სახელით. —

... არც ორნამენტით ანდა გვირისტით, რა ცხრაკლიტული ან რკინამყარი — თხელი და სადა — ნუთუ იმისთვის ამიხდა სიზმრად ნანახი კარი —

რომ კრთოდეს ჩემ(ში) შენი მაკეტი, როგორც რაფაზე თიხის ქოთანი, და ვარიდებდე კარს, არჩაკეტილს, თვალებს, აქამდე რიხით მოტანილს;

თითქოს მარჯვენას დამბლა ცელავდეს, ნყველას შეეკრას ვითომ მარცხენა — დარჩენილია როცა შენამდე ნაბიჯი ანდა ხელის განვდენა;

როცა კინალამ სუნთქვით მოგწვდება უშენობაზე შურისძიება — განბილებული ყველა ოცნება ახლა გაცოცხლდეს ეჭვის ჭიებად?..

... ისევ ნესტარი მერაშყევა. მგონი, ეს გული ნესტარს აცვია. მაგრამ ერთია — კარის შეღება და შენი ზუსტი რესტავრაცია.

ზღვარია კარი შეუღებელი ცხადის და ზღაპრის წილადობილის: იქ ხარ — ოცნებაშეუხებელი, სუფთა, ნამდვილი, პირველყოფილი;

აქეთ კი — რაღას გაიგებ, აბა — ვიდრე აქმოსვლის ჟამმა ჩამოკრა — რა ითავნება გულის ობობამ — რა იოსტატა და იჯადოქრა...

ვინ იცის — კარით სიფრიფანათი რისიც მოუნდათ მერე დაფარვა — მოიკამათეს როცა კამათი შენმა ცხადმა და ჩემმა ზღაპარმა —

გაგაორეს და დაგითითოვეს: ვინც გამოღმა ხარ — და ვინც მიღმა ხარ, ვინც დამეკარგე — და ვინც გიპოვე, ვინც შეგიყვარე — და ვინც მიყვარხარ...

... გასაბრუნებლად ვინ მომაბრუნებს, რა მოშურნე და რისი მზრუნველი — თუ უჩინარი ღრიჭოც მაბრუნებს აცხადებული ზღაპრის სურნელით.


მაგრამ ღრიჭოდან ჩავლებულ საცეცეს, ვინ იცის, თუკი ვერსად წავუვალ, შენი დაკარგვის თავზარიც დამცეს შენივე პოვნის დღესასწაულმა —

ჭრიალ-ფრიალით გაფანტოს კარმა, რაც ასე ჰგავდა კარის მოტანილს — გამომიქნიოს სიმართლემ სარმა — დაიფშვნას თიხის ჭრელი ქოთანი —

დასრულდეს თავის ნესზე და რიგზე ცხადის და ზღაპრის ავანტიურა და ისევ გამქრალ კომეტად იქცე, ოღონდ, ამჯერად — მარადიულად.

... მანძილიც, კომპიცი განქარდა, გაქრა — და ფეხს ლანდების გარშემო ვითრევ.

მითხარი ახლა, რა ჯანდაბა ვქნა: შემოვიდე თუ არ შემოვიდე?



საარაბპო

აფრინდენ ფხოვის ქედნები,  
ნისლები გადიშრიალეს,  
ჩემო წყაროსწყლის აღმასო,  
გულო ცამინატილო!

ცირა ყურაპვილს

აღბათ სიარულსაც გადაეჩვიე,  
და როცა გზაზე გინდა ხოლმე გადასვლა,  
ამოუძახებ მუცლიდან თვალებს,  
წყალქვეშა ნავებივით ამოაყვინთინებ

\*\*\*  
შენამდე რომ წყალი ვატარე,  
იცი გზაში რამდენი მწყურვალე  
შემხვდა?

ნინო სადღობელაშვილი



და ბგერებიც ტკბილნიავით იჟლინთება:  
მე მოვედი,  
მე მოვედი ცარიელი,  
მე სუფთა ვარ,  
მე ამშრალი ქალაღი ვარ,  
მომეგებე სიყვარულის მასპინძელი,  
მე მოვედი,  
და რომ ცოცხლობს,  
და რომ ღვივის,  
ჩემი დაქცეული წყლებით —  
ის სამყარო მოგიტანე.

გიოს

ბებო მოგვიკვდა.  
ყველამ თავის საქმეს მიხედა:  
ვიდრე შინაა და მინასთან არ  
უქორნიია,  
ხომ ბევრი რამე სჭირდება  
მკვდარსაც,  
ჰოდა, წამოდა ყველა თავის სამყოფელიდან და  
საქმეს მიხედა.  
მე და შენ მარტონი დავრჩით.  
ცარიელი იყო ჩვენი სახლი.  
ჩვენს სახლში ორი სართულია იდგა,  
მესამე — ანუ საძირკველი,  
ბებო-პაპების ნაფეხურით გატკეპნილი  
ხის იატაკი,  
ზეცაში იდგა,  
როგორც ძველი, ამაყი როიალი.  
ჩვენ არ გვესმოდა, რას უკრავდა როიალი,  
რადგან მარტონი ვიყავით და  
მკვდარგასულ სახლში  
შიშის თეთრი ცხოველი დასუნსულებდა.  
— მოდი, ბავშვობა გავიხსენოთ, —  
მითხარი შენ და ფარდები ააშრიალე.  
ზაფხულის ღამემ ცხელი თათი შემოყო  
და ორივეს აგვხედ-დაგვხედა.  
— მოდი, ერთად დავწვეთ, დავიძინოთ, —  
მეც გამახსენდა, რა უნდა გვექნა,  
რას ვშვრებოდით ხოლმე, როცა სახლში  
მარტო ვრჩებოდით  
და შიშისგან ვიცავდით თავს,  
როგორც ავი მეზობლისაგან —  
ჩავეკვრებოდით ერთმანეთს,  
მთელი ძალით ჩავეჭიდებდით  
ხელებს, თვალებით  
ერთი მხრის გზას დავადგებოდით და  
მიუხედავად იმისა, რომ  
ლოგინში ვინექით,  
იმ ღონიერი ერთადყოფნით  
რამდენჯერ თუნდ ათი ქედი გადაგვივლია...  
და ახლაც, როცა დიდები ვართ —  
მე ლამის უკვე შვილები მყავს და  
შენ კიდევ — წვერი გიშლის,  
თავი ჩემს მკერდში ფაქიზად წაყო,  
ახლა, როცა მარტონი დავრჩით სახლში,  
სადაც გუშინ ბებო მოგვიკვდა,  
უნდა ბოლოჯერ ერთად დავწვეთ,  
უნდა ერთმანეთს ჩავეკონოთ,  
ხელ-ფეხი ისე გადავაჭდოთ,  
რომ ჰაერის ნემსმაც კი ვერ  
შემოაღწიოს,  
უნდა ავაგოთ ჩვენ ამაღამ  
ერთადყოფნის ციხე-სიმაგრე,  
სადაც ბოლოჯერ დავაძინებთ  
პატარა, ფერად, სურნელოვან ჩვილს,  
და ვარსკვლავებზე — თვალზე რომ ეპნეოდეს  
როგორც ღამის დღესასწაული —  
ჩვენივე ხეულებიდან ეკლებს დავიძრობთ...

ჩვენი სანოლი სახლის სულ-სულ კიდემი დგას,  
როგორც კუნძული...  
ჩვენ ამ სახლში ბებო მოგვიკვდა.  
ამ სახლში ნუხელ  
ჩვენი ბავშვობა მოკვდა.

პაპათის ფსალმუნი

ვაქებ ხეებს, რომლებადაც  
ერთ დღეს ვიქცევი,  
ვაქებ მათ მკლავებს, ზეცამდე აწვდილს,  
სამყაროს შუქი ჩვილივით რომ აუყვანიათ  
და ფრთების გაშლას ასწავლიან,  
ვაქებ მათ თალებს და გუმბათებს  
მინისსუნიანს და ვიცი, რომ  
თუკი მეც ხედ გადავიქცევი,  
შევძლებ ცისკენ ისე ვიარო,  
ფეხიც კი არ მოვიცვალო, არც კი გავინძრე...  
ვაქებ ლოდებს, ქვებს და კენჭებს,  
დედამინის ამ უცნაურ სიჯიუტეს,  
ჰორიზონტზე ხიფათივით ჩარიგებულებს,  
ნაპირებზე გულგამსკდარი ჩიტებივით გაბნეულებს,  
დედამინას გახეებით ჩაფრენილებს  
ქვებს და ლოდებს ვაქებ,  
და თუ ერთხელ ერთ მათგანად გადავიქცევი,  
მე გავიგებ, რას მალავენ ქვიან გულში  
და სამყაროს რა სათქმელი ჩაურაზეს...  
ვაქებ ჩიტებს, მატლსაც ვაქებ,  
რომლებითაც ეს ჩიტები იკვებებიან,  
და მე მინდა რომელიმე მათგანად ვიქცე  
და სიცოცხლე ლურჯი ფრთებით  
ჩემს გულს შეეხოს..  
ვაქებ ზღვებს და მდინარეებს,  
წყლებს — ჩანჩქერებად წამომართულებს,  
ოკეანეებს, სადაც ხმაურით  
ფსალმუნებს მღერის ლევიათანი..  
და თუ ამ წყლებად გადავიქცევი,  
მეც შემეძლება, საუკუნოდ ვიტრიალო  
ჩემსავე გვამში  
და ყოველ ახალ ამონთხევაზე  
სიყვარულის ღმერთი ვაჩინო..  
აქეთ ხეები და ლოდები, აქეთ,  
ზღვები და ჩიტები აქეთ,  
მატლი და ეკალი,  
ქვა-ლორღი, შამბნარი, მინდვრები  
და დილის ჰაერის თუნდ ერთი ფურცელი,  
აქეთ სამყარო გაზაფხულში და  
ზამთარშიც შეაქეთ იგი და  
აქეთ ხეები, ლოდები აქეთ  
და იხილავთ, რომ  
მათშია ჩემი სული,  
ხორცისაგან თავდახსნილი,  
ახალშობილი,  
და თქვენს ყოველ მიკარებაზე  
განწირული სიხარულით ტირის..

\*\*\*  
მარტო უნდა წამოვუდგე განთიადს და  
შევეყარო ღრუბლის ზეკართან,  
მარტომ უნდა ავიკაზმო  
ქამარ-ხანჯალი,  
მარტო უნდა ჩავდგე  
დედამინის ობიან ხნულში  
და გავნო მარტომ უღელი,  
და ვიარო მარტომ  
ძნელი გზით და  
წყაროსთან მარტოკაცის პური გავტეხო..  
და მივუგდო მგლებს  
ჩემი მარტო-აჩრდილი,  
მთვარის ტოტზე ნაბადივით გარჩენილი..  
და გავლექო მარტომ  
ხვალინდელი ხორბლის მარცვალი..  
მარტოს უნდა შემეყვარდეს  
და სიყვარულს, როგორც აფთრებს,  
გადაღელილ გულზე ვისევდე,  
მარტოს უნდა დამეწიოს  
შუბლშეკრულთა შვიდი ლაშქარი  
და სიმღერით,  
და გუფუნით  
მეც სხვის ომში წამაბრიალოს..  
ქარს მოჰქონდეს ჩემი სატრფოს  
თმების ჰაერი,  
მისი თეთრი დანასუნთქით  
იპობოდეს სივრცის ყვავილი..  
მარტომ უნდა ავიკრიფო  
მინდვრის კალთები,  
შიგ ზრიალით მოფუთფუთე მდინარეებს  
ფსკერში ჩაგხედო,  
თითო ფსკერი — თითო სარკე,  
და მეც გული წყლის ლოდებზე გადამემსხვრევა..  
მარტომ უნდა გავითხარო  
სადმე საფლავი,  
მარტო ჩაგწვე  
და მკლავები გადავიჭდო,  
და მინიდან გამოჩნდება  
შუბლის ფიცარი,  
მასზე მატლი გადავივლის,  
სველი თვალთ ნაიკითხავს:  
„დავიბადე, რათა მარტოს  
განმეცადა ჩემი თავი,  
ვინვალე და  
ვიბრძოლე და  
ვიდინე და  
ყველასათვის უცხო დავრჩი“ ..

\*\*\*  
 არჩევნებში ხმა მივეცი ჩემთვის სრულიად უცნობ ნემო ბურჭულაძეს და არა ბატონ ელდარ შენგელაიას, რომელთანაც თანამშრომლობის დიდი პატივი მაკავშირებდა. ღრმად მწამდა, რომ ხმა მივეცი საქართველოს დამოუკიდებლობას და არა საძულველ კომუნისტურ რეჟიმს, კომუნისტურ პარტიას, რომელიც მდევარით ფეხდაფეხ მისდევდა „თავისუფალ საქართველოს“.

ამ შიშს ფიზიკურად განვიცდიდი. ახლა ხშირად ვფიქრობ, ნეტავ ხმა არ ამოგველო, ნეტავ მტრისთვის თავი მოგვეჩვენებინა, მაგრამ მაშინ, იმ საოცარ დროს კომუნისტურ პარტიას რომ გაემარჯვა, ნახევარი საქართველო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდებოდა.

\*\*\*  
 კარგა ხანია, უფრო მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა საქართველოში — სტუდენტების ერთი ნაწილი შეხვდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. ყველაზე საგულისხმო ამ შეხვედრის დროს კეთილგანწყობა იყო. ღმერთო, ალბათ ჩემი თაობის რამდენმა ადამიანმა ინატრა ყოფილიყო ახალგაზრდა, მჯდარიყო მათ შორის — ლამაზი, კეთილი, ჭკვიანი, თავდადებული. ეს იყო ბედნიერი დღე.

\*\*\*  
 თბილისს ცეცხლი ეკიდა. ყველაზე დიადი მიზანი სისხლითა და ცრემლით დაიტბორა. თუ ნებისმიერ შემთხვევაში ჭკვიანი დამნაშავეა (სწორედ სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობას იჩემებდა ხელისუფლების დამხობის მომხრეთაგან უმეტესობა), მაშინ ვის დაუნყია ეს საშინელი, საკუთარი წარსულისა და მომავლის ნამბილწავი ომი?!

\*\*\*  
 კინოსტუდიაში სიტყვით გამოსულმა შევარდნაძემ ბრძანა: გიორგი ლეონიძის ბრწყინვალე პოემა — „ბავშვობა და ყრმობა“ — ზეპირად ვიცით. მაშ არადა — „აჩრდილს“ ისწავლიდა ზეპირად...

\*\*\*  
 როცა ცხოვრება წარმავალია, ძნელია (შეუძლებელი), ქუჩის გადაჭრა ასანთისა და მარილისათვის, ხელფასის რიგში დგომა, ხელმოწერათა მალაზიიდან წიგნების გამოტანა, ბილეთის აღება და სადმე გამგზავრება... როცა ცხოვრება წარმავალია, უმჯობესია (და მშვენიერი), იჯდე შენთვის ტახტზე ამოჩემებულ კუთხეში, ასანთის და მარილის გარეშე, წიგნებისა და ხელფასის გარეშე, წარსულისა და აწმყოს გარეშე...

\*\*\*  
 კინოსტუდიაში არესებულ „მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებას“ ბატონი რეზო თაბუკაშვილი ხელმძღვანელობდა. იჯდა ზევსივით დიდი მაგიდის თავში და საოცარ ამბებს ყვებოდა... ხელმარცხნივ მხარს უმშვენიერდნენ „ანანურელი ულამაზოები“: ვაჟა გიგამვილი, რეზო ინანიშვილი, გივი მალუღალია, რეზო ჭიჭიშვილი, ბაადურ ბალარჯიშვილი, ჟუკრი მამულაშვილი, გურამ დოჩანაშვილი... ბალანსი ერთადერთხელ დაირღვა: კარი გაიღო და ვარდისფერ ტილოს კაბაში გამოწყობილმა მედეა ჯაფარიძემ შემოიხედა. ცოტახანს გაჩერდა, ესენინის ნაკლებად ცნობილი ლექსი წაგვიკითხა და გამოგვემშვიდობა.

— არ მახსოვდა ეს ლექსი, — სიამოვნების სინითლემ გადაჰკრა ბატონ რეზოს.

\*\*\*  
 დღეს ჰემინგუეის ვკითხულობდი. მოულოდნელად არაბუნებრივი შიში ვიგრძენი და წიგნი დავხურე — მომეჩვენა — ასე ზუსტად და ემოციურად წერა პირდაპირი გზაა თვითმკვლელობისკენ...



\*\*\*  
 — მოდი, გენაცვალე, ცხელი თათ-არა უნდა გაჭამო, განა უცხოები ვართ, ნათესავები ვართ, — მეძახის ქეთო ბებო. — ძალიან მეჩქარება, ქეთო ბებო!

— გეხვეწები, ცხელი თათარა უნდა გაჭამო! — მეხვეწება და სახლისკენ გულისმომკვლელად მიცუხცუხვებს. დამსვა უზარმაზარ, მუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან, თან ფუსფუსებს, თან მელაპარაკება: ბებიაშენს დედა რომ მოუკვდა, დედაჩემი ზრდიდა. ისეთი მძიმე ყოფილა, ხელში ვერ იჭერდნენ თურმე...  
 თან რალაცას ეძებს, ფეხისწვერებზე იწევა, ძლივს ალებს ძველი ბუფეტის კარს.

— სად წავიდა, ქა! ჩვენებს ჩურჩხელა გავავლებინე და ცხელი თათარა გამომატანეს. იქ დამრჩა?! ვიპ, ქა! ეს რა მაშივიდა! მაპატიე, გენაცვალე, ხოო?!

ალარსად აღარ მეჩქარებოდა. ვისხედით, პიტნის ჩაის ვსვამდით ათასნაირი მურაბებით და ერთმანეთს ლაპარაკს არ ვაცდიდით.  
 — ვიპ, ქა! ეს რა მაშივიდა?! სად გაქრა, ქა, არსად არა სთქვა, გენაცვალე, ხოო!

**სანდროს**

ერთ დაბურულ ტყეში ჩემი ბავშვობის მეგობარი მელას შვილიშვილი მელა ცხოვრობს.

ერთხელაც, ღამე თოვლი ესტუმრა იმ ტყეს — ბარდნიდა, თეთრით იმოსებოდა ყველაფერი, როგორც მაშინ...  
 საშოვარზე გამოსულმა შვილიშვილმა მელამ სოროს ველარ მიაგნო — ჩვეულებრივ სოროს კი არა — სანოვაგით სავსეს...  
 დაძროდა, დასუნსულებდა მუხლამდე თოვლში... ბოლოს დაღლილ-დაქანცულმა თეთრად შებორობილ ხის ქვეშ ჩამოისვენა.  
 მოულოდნელად ხიდან ყვავმა ჩამოსძახა — ვის ელოდები, მელიკო, ამ თოვლსა და ყინვაშიო...  
 — ვის ველოდები და საკუთარი სოროსთვის ველარ მიმიგნიაო... საკუთარი სოროს წინ არა ზიხარ!? კიდევ კარგი ცხონებული ბებიაშენი ვერ მოესწრო შენს ბედოვლაობას, — აჩხავლდა ყვავი.

— ყვაო, ჩემი ბუნაგის შემდეგ ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარხარ, — სიხარულით შეხტა და შემოტრიალდა მელიკო.

მერე იმ თბილ ბუნაგში ის მელა (გარეთ ბარდნიდა და ციოდა) გულდაარხენიებული ფიქრობდა — ყველაფერში ბედი მაქვს, ყველაფერში ბედი მაქვსო!..  
 \*\*\*  
 მოადგა, ალბათ, შენს ჩირებს შუადღის მზე, ბალახს ამოყოლებული ფხვიერი მინა ხელის გულებს გაიმებს... ჩამოხვალ შემოდგომის ბოლოს, სულმოუთქმელად ამოალაგებ ყველაფერს და ჩირით სავსე გახამებულ პარკს შეთქმულივით მომანვდი...

\*\*\*  
 — აბო! აბო! — სისხამ დილით ტყვისასავით ხმით ეძახის ვიღაც ჩემს მეზობელს.  
 — რა კარგია, მე რომ არ მეძახის! — ნეტარებით ვრგავ თავს ბალიშში და მიხარია, რომ ამდენი კარგი რამ ხდება ჩემს თავს...  
 \*\*\*  
 ხანდახან გაჩერებაზე ვხედავ გამომწვევად ჩაცმულ ქალებს — განწირულობის გამო ძლივს გადააქვთ მზერა ერთი საგნიდან მეორეზე...  
 მე მინდა მათთვის მყუდრო ბინა, დე-

დის ხელები, ბამბაზის ხალათი და ხელსაქმე ფანჯრის რაფასთან...

\*\*\*  
 მაინც რა უხარია მკითხველს, როცა ნამდვილ ლიტერატურას კითხულობს (ეს სიხარული ხომ არაფერს შეედრება)?.. ალბათ ის, რომ ადამიანი საკუთარ თავზე ბევრად მეტია...

\*\*\*  
 ყოველ დილით ხმაურით იღება მეზობლის ჭიშკარი. მისი ფეხის ხმა ლელვის ხმელ ფოთოლზე — თითქოს ჩემს ფანჯრის წინ დადის — ნატო, გოგო — რალაცას ხმადაბლა ეკითხება ცოლს. მარტო არა ვარ.

\*\*\*  
 დეკემბრის მზე უჩვეულოდ კაშკაშებს. სამივე კაკალი ძღვევამოსილად აღმართულა ლურჯი, მზითა და ყინვით გაკაშკაშებული ცისკენ. კამკამა, ჯანსაღ ჰაერს პირს არ ვუჩვენებ და კიბეზე ვეშვები...

**კარგი დღე**

ზ.ა. — ნახევარი კულიჩი მე შეეჭამე, ნახევარი შენ შეგიჩანხე...

\*\*\*  
 სიკვდილმა როგორღა გიტვირთოს, სიკვდილს რამდენიღა შეუძლია...

\*\*\*  
 მალე მოვიდა სიცოცხლის ბოლო. ისლა დაგრჩენია, აღნიშნო, რომ მალე მოვიდა — რა კარგია, რომ ეს მაინც არ არის შენი ბრალი...

\*\*\*  
 ისე უნდა იარო, როგორც მტვერში — ფრთხილად, რომ არ აშალო. იცი, მაგრამ მთელი ცხოვრება მაინც მიაბუქებ...

\*\*\*  
 ჩვენს სახლში კაცი არ ცხოვრობდა — არ იგინებოდა, არ ამტვრევდა ჯამჭურჭელს... თუ რომელიმე ზღვარს გადავიდოდა — და მეზობლის კვილს გავიგებდი — მიშველეთ, მეზობლებო, ქმარი გამიგიჟდა! — კარადის უკან ვიმალებოდი.

\*\*\*  
 აგვისტოს ბოლოს ყვითელი ფერი რომ ჭარბობს, ყოველ ნაბიჯზე სიმშვიდე და სასწაულია ჩასაფრებული, ხმელი ფოთოლი ცვენას რომ იწყებს და ფერდობები იხრუკება, ჩემი დრო დგება — აცივდება თუ არა, ქიშმირის შვინდისფერ თავშალს ამოვიღებ კომოდის ბოლო უჯრიდან, მოვიხვევ და უსაქმოდ გავალ ქუჩაში...

\*\*\*  
 სოფლის გამგებობაში შუახნის ქალი — მეტსახელად ხელისლამფა, გამგებლის კართან დგას, გამობერილ მუცელზე დიდი ნაჯაფარი ხელები უწყვიდა და შემსვლელ-გამომსვლელს რალაცას ეხვეწება.  
 გული მენურება — ხელისლამფას ვინ დაეხმარება, ხელისლამფის ადგილი სადმე მივიწყებულ კუთხეშია...

\*\*\*  
 სოფლის პაპანაქება... მითვლემილ-მილუშულია ყველაფერი. რუების ჩხრიალი, რუისპირა მტკრიანი ყვავილები, ვიღაც თავგამეტებული გზაზე...  
 ამ დროს ჩვენს დიდ ოთახში ფარდაგადაფარებული ტახტის კუთხეში ჯდომა და 1957 წელს სახელგამის გამოცემული შექსპირის ნაცრისფერყდიანი „ტრალედიების“ კითხვა ყველაზე კარგი გამოსავალი იყო.

\*\*\*  
 გათენებისას ჩვენი სამეზობლო სკამიდან დაინყო ცოლ-ქმარმა ჩხუბი.

\*\*\*

— სძინავს, თქვენი ჭირიმი! — გამ-  
ოვიდა დედაჩემი.  
ქმარი ერთ წამს გაჩუმდა, მგონი  
უფრო გაოცებისგან...

\*\*\*

მზისგან გამდნარი წითელი შტაპე-  
ლის ფარდა. ეზოში გაქსუებული კატები  
დაიზღაზნებინან და ხანდახან ერთმა-  
ნეთს დარეულები ისტერიკულად კივი-  
ან. მზისგან ოთხიგვითხივ გამოფენილ  
სარეცხს რომ ვუყურებ, ასე მგონია, ჩემს  
გარდა ყველა ცხოვრობს.

\*\*\*

დედაჩემმა ყვავილების მოვლის გარ-  
და იცოდა საოცარი სიტყვა — მოითმინე  
(ალბათ ყვავილებმა ასწავლეს)!  
მაცოფებდა მისგან ნათქვამი —  
მოითმინე — მეჩვენებოდა, რომ  
ყოველთვის უადგილოდ ამბობდა.

\*\*\*

სავარძელზე ჩემი შავი ჟაკეტია მიფე-  
ნილი. ეს ჟაკეტი ანიკო ბრეგვაძემ მაჩუ-  
ქა.  
ანიკო, ალბათ, როგორც ყოველთვის  
უგემურზე უგემურ ნამცხვარს აცხობს  
(ბედმა გამწირა და იმ ნამცხვრის ერთი  
ნაჭერი ყოველთვის მე მეკუთვნის),  
გაჩეჩილ თმას მხრით ისწორებს, ფან-  
ჯარაში გადაკიდებული კატას ფეხით  
იშორებს და ფეხზე ჩამომწყდარ მეზობ-  
ლის ქალს ისეთი გატაცებით უყვება რა-  
ღაცას, რომ ქალს აღარც წასვლა უნდა,  
აღარც — დარჩენა...

\*\*\*

მტრედის გუნდმა გადაიფრინა სახ-  
ლებს შორის — მარცხნიდან მარჯვნივ...  
მეოთხე სართულზე თორმეტი წლის  
ბიჭის ქურთუკი კიდა, მესამეზე — პა-  
ტარა ვარდისგერი კოფთა.  
დგანან ალვები ცივი ტანებით. სა-  
დარბაზოში მეზობლის კარზე ვილაც  
აკაკუნებს: მე ვარ, მე!

\*\*\*

თუ გიყვარს, კომპრომისი გამორ-  
იცხულია: დაგვიანებულ პაემანზე  
კისრისტებით მხოლოდ ერთადერთისა  
და განუთქმობლისკენ შეიძლება,  
გაიქცე... დილემაც იქვეა.

\*\*\*

...მყავს კრიალათვალეზიანი შვილი  
(დედაჩემის მეგობრისადმი მიწერილი  
წერილიდან)...

\*\*\*

ზამთარმა, როგორც წესი, შუა  
სამზადისში მომისწრო. ალბათ გრძელ,  
დაუმთავრებელ ღამეებს, თოვლსა და  
ყინვას არ დაინანებს?..

\*\*\*

კარი შევადე თუ არა, საავადმყოფოს  
მძაფრი სუნი მეცა. ძალ-ღონის მო-  
საკრეფად უკან გამოვარდი.  
ვტიროდი და საავადმყოფოს დიდი,  
უაზრო ფანჯრიდან დიდხანს ვაყურებ-  
დი ქალაქს.

\*\*\*

რეზო ინანიშვილი: ხუთი წლის დათომ  
პლაჟზე ვიტიანამელები დაინახა და  
მკითხა: მამა ესენიც ადამიანები არიან?

\*\*\*

მარტო ხარ. ჩუმიად შედიხარ, ჩუმიად  
გამოდიხარ, ჩუმიად გაჰყურებ დაბალ  
ბორცვებს. იმ ბორცვებზე ერთ-  
მანეთისკენ შებრუნებულ ორ ბაზილი-  
კას, ჩუმიად ფცქენი ვაშლს...  
მოულოდნელად გადაამფრენი ფრინ-  
ველების კრიახმა შეაკრთო კამკამა  
ჰაერი — რაღაც ისეთი შეგატყობინეს,  
რასაც ბავშვობიდან ელოდები, თუმცა  
არც ის იცი, რას ელოდები და არც ის,  
რა შეგატყობინეს...

\*\*\*

გრაფინში წყალი ლივლივებს. ვაზის  
მენამული ფოთლები ხილის მენამ-  
ულისავე ფერის ვაზაზე აწყვიან.

\*\*\*

მარადიული მხოლოდ სირცხვილია  
— უკვდავების უტყუარი ნიშანსვეტი.

\*\*\*

იყოს აზავთებული მდინარე  
თავისთვის. ვინ იცის, როდის გად-  
მოგვრავს ტალღას. კალაპოტი კი საბე-  
დისწეროდ ღრმავდება...

\*\*\*

ყველა შენზე უკეთესია — ეს ბიბლი-  
ური სიბრძნე გკურნავს განუკურნებელი  
სენისგან — განკითხვისაგან, მაგრამ  
ცოდვილი ხარ და ჰაერივით გჭირდება  
არა ყველა, არამედ — ვინმე, შენზე უკე-  
თესი...

\*\*\*

მკითხველთაგან ყველამ იცის, რომ  
ლიტერატურა დროის წმინდა საცერში  
იცრება. რომ ყველაფერი შეიძლება  
გაყვეს იმ საცერს, სიყალბის გარდა.

\*\*\*

ცივა. თბილად ვზივარ ღუმელთან და  
განელილ დროს ვეკამათები... დრო, უვი-  
ცი ნათესავით, არც ერთ კითხვაზე არ  
მეპასუხება...

\*\*\*

დღეს მოულოდნელად ვიპოვე ძვირ-  
ფასი სახსოვარი — მწვანე მძივი,  
რომელიც უკვე აღარ მჭირდება. მაგრამ  
რა კარგია, რომ ვიპოვე — რამდენი  
რამეა კარგი ისე, რომ არ მჭირდება...

\*\*\*

როგორ მინდა რუსთაველზე მივ-  
დიოდე და ვინმე ნაცნობმა დამიძახოს...

\*\*\*

როგორ მეზიზღება სისულელე და  
მინც ძალის საყელურივით სულ თან  
დამაქვს...

\*\*\*

— რაღაცა ხმა არ მეჩემება! — სადა  
ხარ, კაცო, სად დაიკარგე?.. იცოდე,  
უნდა მოხვიდე!

...და, აი, ვზივარ მის ბინაში — დიდ,  
სასადილო მაგიდასთან. თვითონ, რა  
თქმა უნდა, სამზარეულოში ფუსფუსებს:  
იცი, ლეილა, რა გრიგალი იყო თე-  
ლაშვილი?! ჩემს ბაღში ერთი ფოთოლი,  
ერთი ჩიტი აღარ დამხვდა!.. არც ერთი  
ფოთოლი, არც ერთი ჩიტი! წარმოგიდ-  
გენია?! ჩეხონ, ჩეხონ ტყე ეგრე... გაზი-  
ღონ...

ვზივარ და ვფიქრობ: არ შეიძლება,  
სასადილო ოთახის ხელმარცხნივ დაკ-  
იდებულ პიკო ნიჟარაძის ქალის პორ-  
ტრეტად გადავიქცე და სამუდამოდ აქ  
დავრჩე, გარემოცული მისი ადამიანური  
უმბნაკებით?.. არ შეიძლებაა...

\*\*\*

მოიტანა ერთი მანქანა ქვიშა და ცე-  
მენტი — საქათმე უნდა ავამეწო. გუ-  
ლი გადამენურა — ქათმებს ხეზე სძი-  
ნავთ. ეგენი რო სალამობით ხეზე სათი-  
თაოდ, ტყაპა-ტყუპით მიძვრებიან, იმი-  
ტომ მიყვარს შეღამება... ქათამს რად  
უნდა ქვა და ცემენტი, მაგრამ მაგასთან  
რას გახდება...

\*\*\*

ანა კალანდაძე გამოვიდა ჩვენი ეზოს  
პატარა მარკეტიდან.  
ხელში პური ეჭირა:  
— პურს ვყიდულობდი და ერთმა  
ქალმა იცი, რა მითხრა? თქვენც გჭირდ-  
ებათ პური?..  
არ მელიმებოდა, მაგრამ მინც ვული-  
მოდი...

ყველაზე მეტად ასეთ დროს ვერ ვი-  
ტან ჩემს თავს...

\*\*\*

მოულოდნელად საშინელი ქარიშხა-  
ლი ამოვარდა, წამოვიდა კაკლის სიმსხო  
სეტყვა, სანამ სადარბაზოში შევასწრებ-  
დი, კარგად დამალურჯა...  
— ეს ხომ მინც შეგეძლო, აგეცდი-  
ნა, — მითხრეს სახლში.  
მინც როგორ, სახლში არ უნდა  
დავბრუნებულიყავი?!

\*\*\*

შენთვის ძვირფასი იმდენი ადამიანი  
წავიდა იმ ქვეყნად — თითქოს მოაგარ-  
აკეები გაიკრიფნენ — გემინია, აქ არ  
დარჩე...

\*\*\*

შენ ხომ იცი, უკან არასოდეს არ უნდა  
დაბრუნდე, იქ მინც აღარაფერი დაგხ-  
ვდება...

\*\*\*

დიდი ხნის წინ უნივერსიტეტის სას-  
ცენარო ფაკულტეტის პედაგოგმა რეზო  
გაბრიძემ ჩემი მორიგი ჩანახატი გაკე-  
ცა და ჯიბეში ჩაიდო...  
ჩანახატი ასე იწყებოდა: „ალბათ ყან-  
დაურაშიც წვიმს ახლა, წვიმა იქ ტირილს  
ემგვანება, ჩამონგრეული სახლებისა და  
ორღობების ტირილს“.  
ჩანახატი თენგიზ მირზაშვილს გადა-  
სცა, თენგიზ მირზაშვილმა — რეზო  
ინანიშვილს.  
ერთ კვირა დღეს ბექასთან ერთად  
მარიონეტების თეატრის წინ მდებარე  
ეგრეთ ნოდებულ გაბრიძის კაფეში  
შევედი (თვითონ სადღაც სიღრმეში  
გაილანდა და გაქრა).  
შემწვარი წინილა „ყანდაურა“ — ენ-  
ერა მენიუში.

**ჩემი მასწავლებლის  
თინათინა მიმინოვილის  
ნათელ სსოვნას**

მიუჯღებოდა მაგიდას, შეგვათვა-  
ლიერებდა და: ძალღებო! ძალღებო! —  
მოგვეფერებოდა.  
— ბიჭო, უღვაშები ამოგდის?!  
— ლალი, აბა, თმა ყურს უკან გადაი-  
ნიე! არა, არა, გადმოინიე!..  
და რაც მთავარია, მისი წითელი ჟა-  
კეტი! ამ ჟაკეტს ხან წაღმა იცვამდა, ხან  
უკუღმა. წაღმა ჟაკეტი იყო, უკუღმა  
დაბალყელიანი ჯემპრე.  
იმ წელიწადს ყველაფერს წაღმა-  
უკუღმა ვიცვამდით მე და ლალი ჩხარ-  
ტიშვილი და, რა თქმა უნდა, ყველა  
გვეცოდებოდა, ვინც ტანსაცმელს მხ-  
ოლოდ წაღმა იცვამდა...

**სოფლის კლუბი ფილი  
„ქაჯანა“ გალიდა**

მივდიოდით უზნის ბავშვები ხელების-  
ელ ჩაკიდებულ მუჭში ბილეთის ფული  
გაოფლიანებულ მუჭში ბილეთის ფული  
— ოცკაპიკიანი მქონდა ჩაბლუჯული.  
ცხვრებით შევილაღებოდით გუმ-  
ბათმონგრეულ კლუბად გადაკეთებულ  
ეკლესიაში. გარეთ რჩებოდა უამრავი  
უბილეთო ბავშვი. მათკენ თავმიღრე-  
ცილი შევქონდი ბილეთიანი ბავშვების  
ტალღას...  
ფილმის მსვლელობის დროსაც  
კარისკენ ვიყურებოდი.  
სულგანაბლ ბავშვებს შორის ჩემ-  
სავით, ალბათ, სხვაც ბევრი იტანჯებო-  
და...

\*\*\*

ბეზარაანთ საშა მეცხვარე იყო, ამი-  
ტომ სოფელში იშვიათად ჩნდებოდა.  
ერთხელაც ჩამოიარა მწყემსი კაცის  
გაუჩვენებელი ნაბიჯით. ჩვენმა მურამ  
იუცხოვა და კანჭში ჩააფრინდა.  
ბეზარაანთ საშამ ძლივს მოიგერია —  
აგინა მკვდარი და ცოცხალი...  
მთელი დღე მოთქმით ვტიროდი. მე-  
გონა, ცხოვრება დამთავრდა ჩემთვისაც  
და ბებიაჩემისთვისაც...  
ბებიაჩემი განზილბული ღიმილით  
მამშვიდებდა, ეს ღიმილი ტკივილს  
კიდევ უფრო მიმძაფრებდა — მამ, ველ-  
არ აივლის ბებიაჩემი ჩვენი სახლიდან  
ღეიდაჩემის სახლამდე დარბაისლური

თავდაჭერილობით, ველარ უპასუხებს  
ამვლელ-ჩამვლელს სალამზე — გაა-  
ცოცხლოს... ხოლო კითხვაზე — ვისია  
ეს პატარა გოგო, ღიმილით ველარ უპა-  
სუხებს — ჩემი ქალისა...  
რალა ფასი ექნებოდა ამ ყველაფრის  
გარეშე ჩვენს ცხოვრებას...

**სანდროს და ევემიას**

კბილის ამოსაღებად მშობლები კი არ  
მიგვათრევდნენ წივილ-კივილით —  
მოვილაპარაკებდით, ავიღებდით ხელ-  
ში ბებუის შავ ქოლგას და დავეშვე-  
ბოდით ძლივს შესამჩნევ დაღმართზე  
ფეხშიშველები.  
გამოვიდოდა ტუნა ექიმი ქათქათა  
ხალათით, ჩალისფერი აბრეშუმივით თმა  
ლამაზად ჰქონდა აკრეფილი და სიყ-  
ვარულით გვიღიმოდა.  
მთავარი მინც მისი ხელები იყო —  
თეთრი, ფუმფულა, ლამაზბეჭდებიანი —  
ფრთხილად შეგახებდა ნიკაპზე, პირს  
დაგაღებინებდა — თან გელაპარაკებო-  
და: კიდევ კარგი დღეს მოხვედით, გუშინ  
არ მეცალა — გუშინ ბალიშები დავშალე  
და ძალიან დავილაღე...  
ოდნავ გეტკინებოდა და გაზით ეჭირა  
შენი ნამცეცა კბილი... შენ ნამცეცა ეძა-  
ხე, ისეთი შავი პრიალა ხვრელი ჰქონდა,  
შეიძლებოდა ვილაც შემძვრალიყო და  
სამუდამოდ დარჩენილიყო...  
სულ ბოლოს თლილი ჭიქით წყალს  
გამოგავაღებინებდა და გაგვაფრთხ-  
ილებდა: ორი საათი არაფერი შექამო-  
თო.

ეს ორი საათი ჩვენთვის იდუმალი  
ორი საათი იყო — რაღაც არ შეიძლე-  
ბოდა, არა მარტო შენთვის, დანარჩენებ-  
ისთვისაც... ალტაცებით ვითმენდით იმ  
ორ საათს და ერთმანეთს თვალს  
ვადევნებდით.  
მივდიოდით ახლა ქვემოდან ზევით,  
ძლივს შესამჩნევ აღმართზე ხელში  
ქოლგით, მიგვექონდა თითოს თითო  
მოცველილი კბილი და ყველას კი არ  
ვაჩვენებდით — მარტო კარგებს...

\*\*\*

საინგილოს გზაზე მსხვილ მარ-  
გილზე ჩვენსკენ ზურგით მჯდარი დიდი  
მწვანე ჩიტი — თავზე თეთრი ზოლი მის  
სიმწვანეს კიდევ უფრო საცნაურს ხდი-  
და...  
ამდენ პასუხგაუცემელ კითხვას  
კიდევ ორი დამატა — ან საიდან მოფ-  
რინდა და ან საით გაფრინდება...

\*\*\*

კაზარიანცის სახლთან ტროლეიბუს-  
ში ავედი. სალაროში მონეტის ჩაგდება  
დავაპირე, მაგრამ ვილაცამ ხელი დაა-  
ფარა.  
თავი არ შემომიბრუნებია, ხელი აილო  
თუ არა, ისევ დავაპირე მონეტის ჩაგდე-  
ბა, ისევ დააფარა — ორჯერ, სამჯერ...  
შემოვბრუნდი: ჩემს წინ ქათქათა პერ-  
ანგში გამოწყობილი უნიჭიერესი რე-  
ჟისორი დიმა ბათიაშვილი ირწეოდა...  
არც შემოუხედავს — ბილეთის სერპან-  
ტინით იშლებოდა. თაიგულივით გამ-  
ომინოდა და ვილაცას გაუღიმა.

\*\*\*

ზაირა არსენიშვილი ნანა ხატისკაც-  
ზე:  
— დაიფინა შუადღის გულზე პატ-  
არა ხალიჩა და ერთი საათი ხატების წინ  
დაჩოქილი ლოცულობდა.  
— ესლა რალა დააშავე! — ალგშოთ-  
დი პირდაპირ. ჩემს დას ვანყენინეო...

\*\*\*

გზად ყვარლიდან თბილისამდე  
მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, თუ  
არ ჩავთვლით მცირე ინციდენტს: ერთ-  
ერთ მოსახვევში საიდანღაც პატარა  
ჩიტი გამოქანდა და თვალთ ძლივს შეს-  
ამჩნევ მწერს ჰაერშივე დააცხრა...

**ნატურმორტი**

თელავის ცენტრალურ ქუჩაზე შემ-  
იწული ლუდხანის ვიტრინაში ორი დიდი  
ვერცხლისფერი, გამხმარი თევზი ეკი-  
და, ხის თაროზე კი ბაადურ ბალარჯიშ-  
ვილის ბოლო ლექსების კრებული იდო.

ჯვარათა უკვამაქანი

ქარი ქრის, თივებს აქანებს,
ახარებს ეშმაკებსაო,
ფანჯრიდან სჭვრეტენ ბერიკაცს,

ეხლა კი გასჭირვებია,
დაეძებს ნაფოტებსაო,
— მაშ რა გეგონა, ძმობილო,

ქარი ქრის, თივებს აქანებს,
ახარებს ეშმაკებსაო,
მგელი მიდმორობს,

ქარი ქრის, თივებს აქანებს,
ახარებს ეშმაკებსაო,
ბუხარში ცეცხლი დაენტო,

ბერიკაცს გული მიეცა,
გახედავს განჯინებსაო,
განჯინაბში ბოთლებსა,

ერთს მიაყოლებს მეორეს:
— ცალ ფეხზე ვინა დგესაო?
მესამეს მისწევს მეოთხეს:

სუნს დაიკრავენ რწყილები,
აშლიან ბუდეებსაო,
ნაასხმენ ტილის კრუხები

პინოუსკვლი ქალაქი

ერთმა კაცმა, — რა ბრმა არის,
სისულელე, ღმერთო, ჩემო,

რომ ვიძახოდით: „— ქალების!..“
ხომ დაგვიყენეს თვალები.
ადგნენ და სხვაგან წავიდნენ,

ბესიკ ხარანაული



ეტყობა, რალაც ძველისძველ
შურსა ძიობენ ქალები.
მოედგნენ დედამინასა,

მანდაურებზე ამბობენ
გალოთებასა ბევრისა,
გადასვლას ერთმანეთშია

ან იქნებ ვერც ჩამოვიდეთ,
შეჩვევა იცის სუყველმა,
დავინწყებაც კი არ იცის,

მაგრამ რა ვუყოთ, განგვსაჯოს,
ღმერთმა და იმის ძალამა,

„გაუმარჯოს თავისუფალ,
დემოკრატიულ საქართველოს!“
მისამღერი:
„დეპუტატებო... დეპუტატებო!..“

ქართველს დღეს უნდა, რაც უნდა,
თავი გაუხმეს თმენასა,
სიცხეს ვერ უძლებს, სიცვიც,

„გაუმარჯოს თავისუფალ,
დემოკრატიულ საქართველოს!“
მისამღერი:
„დეპუტატებო... დეპუტატებო!..“

მაგრამ დრო მისდევს თავის თავს,
ჟამი-ჟამი შენაცვალე,
ადრე, მახსოვს რომ მოსწონდათ

დავჯექ, დავინყე ტირილი,
მაგრამ, ვის შევებრალე!
არსად არიან ქალები,

„გაუმარჯოს თავისუფალ,
დემოკრატიულ საქართველოს!“
მისამღერი:
„დეპუტატებო... დეპუტატებო!..“

გაზაფხულ სომ დავკარგე, მქანება კი ზაფხული?

რასაც ზეცას სულს ვუგზავნი,
ისიც იმას მასხურებს,
გაზაფხული ხომ დავკარგე,

— ცუდები აიალოვე,
ვერ დაისწავლე კარგები,
როგორი დაბერდებოდი

— ტყვილა გგონივართ ბებერი,
რო ვუფრთხილდები ძალებსა,

უ-ფა-ლა-ყაშ

მთელ დღეს ვიყავ უაზროდ, ისე,
უფქალაყაშად,
დამიფასდა, სალამოს დამპატიჯეს

ან მთელ კვირას ვიქნები, ჩემთვის,
უ-ფქა-ლა-ყა-შად.

\*\*\*
ჩემო ქალავ, რითმიონო,
უ-ვაჟ, უ-აკ, უ-კტიონო...

კი შეგხვდები,
მაგრამ, მე დღეს,
შენთვის არა მცალიან,



**ვისი — ვისშია?!**

თამაში არის ამ ჩვენში  
 — ვისი ვისშია?!  
 სხვისგან კი არ გვისწავლია,  
 თვითონ გვიშვია...  
 რაკი აღარც სირცხვილია,  
 აღარც შიშია,  
 ქაჯები და ეშმაკები  
 გამოგვიშვია.  
 ქმარს აბდაუბდად გვიცვია,  
 შვილებს გვიშვია,  
 მაგრამ ჯანაბას სუყველა,  
 — ვისი ვისშია?  
 ყოფილა კიდევ შემთხვევა  
 არაიშვიათ,  
 ასეთ თამაშში ქალს ქალი  
 გაუთიშია,  
 რაკილა ვერ დაარწმუნა,  
 — ვისი ვისშია!  
 მაგრამ უფრორე ხშირია,  
 როცა ქიშია,  
 როცა ორვე მხარემ იცის  
 ვისი ვისშია.  
 თუმც სნობილნი ღიმილობენ,  
 უსნობთ შიში აქვთ —  
 რაა ამქვეყნად ახალი  
 და რა კლიშეა,  
 მაინც ყველას ახსოვს ერთი,  
 — ვისი ვისშია?  
 თავზე თმა თუ არ მასხია,  
 წვერი მიშვია,  
 რა დროს ქალი, რა დროს კაცი,  
 რა დროს ჯიშია,  
 ყველას,  
 ახალგაზრდას, ბებერს —  
 რამით ნიშნინას,  
 ერთის ცოდნის სურვილი გვკლავს,  
 — ვისი ვისშია?!  
 თუმც მღერა და დროსტარება  
 არ გაგვიშვია,  
 ფეხბურთი და პოლიტიკაც  
 ამათ რიგშია,  
 მაგრამ უფრორე, მეტადრე,  
 — ვისი ვისშია?

მეც რომ მკითხოთ,  
 მეც არ ვიცი  
 — ვისი ვისშია?  
 იმისია იმისში თუ  
 პირიქითშია.

**ასაკი**

სიბრძნე მაქვს ძველი რკინისა, ატეხილობა — ახლისა,  
 ქარში გარეთ არ გამოვალ, ცასა და მიწას მახლისა,  
 ნამილებს ფოთოლივითა, ან საბძელივით დამშლისა,  
 თავი არ მომეწონება, მობუზულს, კისერწახრილსა.

**მე-განსარიონის დაუბავაპი  
 დიალოგი აჩრდილთან**

— როდის ჩამოვიდე შენთან, სოფელში?  
 — შემოდგომის ბოლოსკენ, თბილად რომ ჩაიცვამ.  
 — რატომ თბილად?  
 — გახდაში დაგეხმარები, ან გიყარაულებ ბნელში,  
 შორს მიდგას ფეხსალაგი,

იმის უკან მგლების ტრასაა  
 — მაგარი ხარ!  
 — ჰო, როცა სხვა გზა არა მაქვს...  
 — შენ მაინც არ მომინდები,  
 ორნი რომ დავრჩეთ ამქვეყნად...  
 — ჩემთვის კიდევ, ნამშრალევი ბოთლივითა ხარ,  
 შიგ რომ მაგარი სასმელი იდგა...

\*\*\*  
 მენატრება სიყვარული, მენატრება ძალიან,  
 ვისაც კი არ მივაკითხე, ჩემთვის არა სცალია.  
 ამიტომაც იქ დავბრუნდი, სადაც ჩემი ბუდეა,  
 გადამიცდა სიყვარული, ჯოხი მივაყუდეა.

\*\*\*  
 აადეო, ადეო, წასვლას გაემზადეო, აცალე საწოლსა,  
 ტანი აიწვადეო,  
 გეფლიდება სიცოცხლე: — ერთხელაცა მცადეო!  
 — შენ არ იყავ, ცოცხალს რომ სული ამომხადეო!  
 ხელი უკარ სიცოცხლეს, ძველი არის ბადეო...  
 აადეო, ადეო, წასვლას გაემზადეო,  
 განა დაყუდებისთვის, გზისთვის დაიბადეო.

\*\*\*  
 ბედაური ვარ ავბედი,  
 ვაი, რა ცუდად დავბერდი,

ისე ვიკიდებ წყენასა,  
 როგორც ნაპერწკალს აბედი.  
 \* \* \*

დაღლილი ვიყავ, გვემული,  
 თავი ბალიშზე მივდეო,  
 არ დამეხუტა თვალები,  
 ძმაო, მომწყურდი, ქრისტეო,  
 მე შენი მიხედულობით  
 ავი არ ავირიდეო,  
 რამდენიც დამკრეს, ვუთხარი,  
 ძმანო, დამკარით კიდეო...

სუყველა ცოდვის გზაზე ვართ,  
 რომელ ერთს გამოგვზრდიდეო,  
 ორ მართალსაც ვერ იპოვნი,  
 დღე და ღამე რომ თვლიდეო,  
 არ ჩამოხვიდე მიწაზე,  
 ზეცის თავანზე ვლიდეო,  
 უფრო მძიმე ჯვარს გიჭედვენ,  
 შენ რომ ერთხელა ზიდეო...  
 ნუ დამინახავ, ქრისტეო,  
 მნახო, თვალები მრიდეო,  
 არ ვიყავ დაბადებული,  
 ზეცის მარცვალში ვიდეო,  
 ახლაც ცრემლით მრცხვენია,  
 გული რომ დამიმშვიდეო.

\*\*\*  
 დაიძინე, ძველო!  
 მწველო, მსმელო, მფსმელო,  
 ძილო, დაძინე,  
 შორით მოსასვლელო.  
 დაიძინე, ძველო, თუნდაც საძაგელო,  
 თუნდაც სასახელო, თუნდაც საყვარელო,  
 ცალი გვერდით ცხვარო, მეორეთი მგელო.  
 დაიძინე, ძველო, ტკბილო, მწარეო, მწველო,  
 სცადე დაიძინო, ცეცხლი გაინელო.  
 სად ეთრიე, რა ჰქმენ, არგასახარელო,  
 როგორ გადაურჩი ცოდვას უსასჯელო?  
 დაიძინე, ძველო, მორიალე მგელო,  
 შენს თავს გაუმხილდი, გარეგაუმხელო,  
 ქარიც დაიძინებს, რა გჭირს უსაშველო,  
 მკვლელო სუყველასი და თავისაც მკვლელო.

\*\*\*  
 ჩიტი რომ ვიყო, დაგასკინტლებდი, შემომწყველიდი  
 და ნახვიდოდი, ასე გაბამდი  
 ხოლმე ოდესღაც, სკოლის მოსწავლე როცა ვიყოდი.  
 შენ შეუვალი გოგო იყავი, გშვენოდა,  
 ცხვირს რომ აიბზიკებდი, მე სიხარულით  
 ავფრინდებოდი და მაღლა ციდან დაგასკინტლებდი...  
 და როცა ცაში შენც ამოფრინდი, ბოლოცეცხლასფერ  
 ნითელ კაბაში, მივხვდი, შენ უფრო იყავ ღამაზი,  
 ვიდრე მე, ვიდრე ჩემი თამაში...  
 და დავენარცხე დაბლა მიწაზე,  
 დავიარები, დავიარები,  
 ნაგავი ვარ და, ნაყარი ვარ და, ნაბზარი ვარ და,  
 ნაიარევი...

\*\*\*  
 დაუბერე, სულის ქურავ, გზაზე ტანმა იმეტყველოს.

\*\*\*  
 რამდენი ნვალეა და გაზრდა უნდა ამ სიკვდილს,  
 ვიდრე მოესწრები.

\*\*\*  
 — ცუდად შრომაი! —  
 ვწერდი, წინ რომ მომმართა ეშმაკმა  
 როგორც მესაფლავეს.  
 — ცუდად შრომაი და ცარიელ!  
 — ვუპასუხე მე.  
 და გაქრა ეშმაკი.

\*\*\*  
 სულები არა გვსჯიან, ნეტამცკი გვსჯიდნენ.  
 სულებს არ ვუყვარვართ, ნეტამც ვუყვარდეთ.  
 სულებს არ ვახსოვართ, ნეტამც ვახსოვდეთ.

\*\*\*  
 სხვები მოდიან და თქვენ არ მოდიხართ.  
 სხვები შემხარნიან და თქვენ გწყინდებით.  
 სხვები მისმენენ და თქვენ საქმე გიჩნდებათ.

**ჩემი თავი ხომ ჯერ ოთხმოცი წლისაც არ არის...**

იანვარი, 2011წ.

მივდივარ ღამე, თეთრით მფარავს თოვლის ნაცარი,  
 მთვრალი ქუჩაშიც იგივეა, სახლში რაც არის...

ორი აჩრდილი მომდევს ქირდვით, როგორც დემონი,  
 მაგრამ მე ზრუნვას გავუბრვივარ, ართუ ვემონვი.

— სად გაგონილა ამხნის კაცის ღამე წანწალი,  
 სიგარეტი რომ უჭერია, როგორც ფარანი  
 და მიფრატუნობს გამიზნულად, ბანცალ-ბანცალით,  
 რალა თქმა უნდა, ეგულეა სადაც მარანი,  
 ან თავის ძველი მეგობარი, ბებერი ბოზი,  
 რომ სვან არაყი და აყოლონ ზედ პაპიროზი.  
 ან როგორ მიდის, ერთი ნახე, როგორა ანცობს,  
 რას შვრები, კაცო, შავმა ჯიშმა კინალამ გააცხო!

— ნეტავ შენც ერთი, არ იქნება დიდი ზარალი!  
 რაც მაგასა აქვს ნაცხოვრები, ნანახ-ნავალი...

მე ეს სიტყვები გამიხდება, როგორც წამალი,  
 თავს შევეუძახებ,  
 თავო ჩემო, გვალე, ნა, მალი!..  
 — ჩემი თავი ხომ ჯერ ოთხმოცი წლისაც არ არის...

**ღამეების გატეხვაში...**

ღამეების გატეხვაში  
 სინამდვილედ მექცა ჩვევა,  
 დღე — ღამეა, ღამე — დღეა,  
 ერთმანეთში აირევა,  
 შუადღეა, საღამოა,  
 საქანელად დაირწევა...

ამ დროს ქვეყნად სიცოცხლეა,  
 ქალის, კაცის მიმონევა,  
 დანყობილი საუბრები,  
 გარჩევა და გამორჩევა,  
 ერთი აქებს, სხვა აგინებს,  
 გულს არც ერთი არ ეთნევა,  
 ჩემთვის მთავარია რიტმი —  
 დღის ტეხვა და ღამის თევა...

ასე შოვებული პური  
 ძალსაც კი არ შეეჭმევა.

**„განსიე ხარო, განსიე!“-ს ხმაზე**

გაიძელ გულო, გაიძელ,  
 საცაა გათენდებაო,  
 მეცხრედ მივადექ ძილს, მაგრამ  
 კარი არ შეეღებო.  
 არადა, მინდა დაწოლა,  
 დაწოლა, დაძინებაო,  
 შემაქცივარი სიზმარი,  
 მალიმალ გაცინებაო,  
 ძილს ვინატრებდი ასეთსა,  
 ღვთისაც თუ იყოს ნებაო...  
 გაიძელ, გულო, გაიძელ,  
 საცაა გათენდებაო  
 დაა...

\*\*\*  
 სამი არ გაიწურთნება,  
 მგელი, არწივი, პოეტი,  
 ამ სამს ხელზე ვერ მიიჩვევს  
 ცხოვრების მიეთმოეთი.  
 მგელი არ მოშლის მგლობასა,  
 არწივი არწივობასა,  
 პოეტი ქილიკობასა,  
 წუთისოფლისა გმობასა.

\*\*\*  
 პოეტს ჭკუამდე არ აცდის ნიჭი,  
 ჭკუისკენ რომ გაემართება, გზა უფეთქდება.

\*\*\*  
 ამას რომ წარმოვიდგენ, მომინდება მოვფლოსტო:  
 მე რომ კაცი არ ვიყო, მე რომ ვიყო კომბოსტო,  
 ფულის კომბოსტო ვიყო, განა კაცი რიგითი,  
 როგორ ამეკვრებოდი და, როგორ ჩემთან ივლიდი!..

\*\*\*  
 როცა აცივდებოდა, მთები თოვლს დაიტყობდა,  
 დედაჩემი რატომღაც „ვის ო რამინს“ იტყოდა.  
 ყველა შევიცვლებოდით, უცებ, რალაცნაირად,  
 კარადის თავზე გვედო გამართული დაირა,  
 და ვუკრავდით დაირას და ვმღეროდით აი რას,  
 ნეტავ ახლა სად ხარ, ბერიკიანთ ზაირა!

**როგორ უხდებათ თქვენ...**

მარგალიტისა ვაჭარი  
 შორს არ დაგიდევს გზასაო,  
 ნავა და იმას ნაულებს,  
 ვინც სწორს დაადებს ფასსაო.



კარგ ნათქვამს კარგი გამგონი ასევე უამბობს სხვასაო — „როგორ უხდების თედოსა ლამაზ რო არა ასაო.“

შერაზადიშვილ უჩასა — ეს გავიგონე ვისგანაც ნათქვამი მოუსმენია ლეკოს ძე ალექსისგანა.

თქვენ ჩემგან გაიგონევით, უამბეთ ქალს და რძალსაო — „როგორ უხდების თედოსა ლამაზ რო არა ასაო“.

\*\*\* ალექსის ნათქვამს ვიმონმებ, რადგან მეცნობა თავიცა — „ავად ვარ, მწუხიარე ვარ, თავზე დამყურებს შავი ცა, ჩემთვის სულ სამსალად იქცა ღვინო — თეთრიც და შავიცა, თუ კიდევ რამე დავლიო, დიდი ვირისა შავიცა.“

საპვილიზვილიაზი

\*\*\* აქეთ ქიტო, იქით ცვატა, ბურთაობა გაიმართა. გამოვარდა ალექსანდრე, იატაკზე ალუბს ადენს, მაგრამ უცებ მშვენიერმა მარიამმა ჩაიარა... — აბა, ბიჭო ალექსანდრე, აბა, ცვატა, აბა, ქიტო, დედოფალი მობრძანდება, გზა მიეცით, გაინითო!

მარიამმა ხმა შემართა, წასცხო კიდევ თითო-თითო, — სახლში ვინ თქვა ბურთაობა,

\*\*\* თბილისის ომის დროს იზა ორჯონიკიძე ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი იყო, მე — მისი თანამშრომელი. მე მთელი არსებით ვენიანალმდეგე-ბოდი ახლად არჩეული მთავრობის დამხობას, ის — პირიქით. ყოველდღე აკრავდა განცხადებას — დაიგვიანა ხუთი წუთით, დაიგვიანა ორი წუთით, დაიგვიანა თხუთმეტი წუთით... უკიდურესობა გათავისუფლებს ყველაფრისგან, რაზე ფიქრიც არ ღირს. ამიტომ შევედი კაბინეტში, განცხადება გათავისუფლების შესახებ მაგიდაზე დავუდე. იზა ხომ სიურპრიზების ოსტატი იყო, მაგრამ მოსმენილმა მაინც მოლოდინს გადააჭარბა: შენ ხარ თელავის თეატრის მსახიობი! — განცხადება დახია და წერა განავარძო... ნეტავ იცოდე, იზა, როგორ მენატრები!

\*\*\* სად არ გექვდღე, თამრო მსხალო, მწვანეს, შავხალეებიანს, თავის დღეში სტუმრისთვის გადანახულს...

ვდგავართ ახლა ერთმანეთის წინაშე — შენ დამაშრული ტანით, მაღლა ასხეპილი ტოტებით, მე, მოულოდნელობის გამო, ლამაზი და ბედნიერი...

\*\*\* მთელი ბავშვობა განუხებდა უცნაური სანუხარი — გინდოდა, გცოდნოდა, კარგი იყავი თუ ცუდი და ვილაცის პირუთენელ განაჩენს ელოდებოდი. არა და არ გამოჩნდა ის ვილაც, რომ შენი საბრალო ბავშვობა ენუგეშებინა...

\*\*\* საღამოს სამსახურიდან დაბრუნებულს ჭიშკარი დაკეტილი მხვდებოდა. გადახტებოდა ღობეზე მეზობლის ბიჭი, გამიღებდა კარს, ავგარდებოდი კიბეზე — სახლის კარიც დაკეტილი დამხვდებოდა... — დედა! დედა! — ვეძახდი, თან ბრაზი მახრჩობდა... — რომელი ხარ? — გამოძახებდა. — მე ვარ, მე! კარი გამიღე!

უნესობა რად იცითო, ალბათ გატყდეს ფანჯარა და იატაკიც გაიცვითოს!

\*\*\* ელენე, ფეფო, მართაო, მივიდნენ პაპის კართაო, პაპა სანოლთით წამოდგა, ემდურებოდა ჯანთაო, — აბა, რა გინდათ, დედებო, თქვენ რაღა დამემართაო? მამამ კაკალი მამიჭრა, ბაომ თხილები ბალთაო, ცოტა რამ კამფეტები მაქვს, გამამინიეთ კალთაო...

მე იქვე ახლო ვიდექი, ვისმენდი საუბართაო.

\*\*\* ელენეს უყვარს ფეფო და ფეფოს კიდევ მართა უყვარს, პაპა არავის არ უყვარს, გაისტუმრეს კართაუკან, მაგრამ მართა, მართალუკა, მხარს არ უბამს, კვერს არ უკრავს, — მიიხმობენ პაპას უკან, სიხარულით პაპა ცმუკავს... ელენეს უყვარს პაპა და ფეფოს უყვარს, მართას უყვარს, შუაში ჩაიყენებენ, გარს უვლიან სამათაუკა...

\*\*\* მე ბებერი ჩოჩორი ვარ, ყურებს მივაბარტყუნებო, ჯოხს მინაზე ვაცაცუნებ, ვერა ვწვდები მავთულებსო, სამი ჩიტი იქ დამჯდარა, ჩემს ცხოვრებას ართულებსო...

\*\*\* ჯერ არავის ვუნახივარ, როგორიც ვარ, ისე, მეო, სადაც ჯანსალი ვეგონე, ღმერთით ვიავადე მეო, სადაც დაბალი ვეგონე, ცამდის ავიმალე მეო,

სადაც მაღალი ვეგონე, ბალახთ უმცრო გავხდი მეო, კიდე რაა ქვეყანაზე, ველარ მოვიგონე მეო, — მართას, ფეფოს და ელენეს მიყვავარყე სახლისკეო, მარიამიც მოეშურა პაპის ტანის დამჭირეო, ახლა მითხარ, ვის ვენახო ამათ მერე, მთვრალი მეო...

...მასუკან დრო გავიდა, არ დავრჩი ცარიელი, ქიტოს ბარბარე ჰყავს და მარიამს — გაბრიელი. მოკლედ ბედის გახლავართ ძალიან მაღლიერი, სულ დავრბივარ, დამედო მიდი-მოდის იერი.

\*\*\* ჩემო ქალო მარიამო, ფინთათა ვარ ძალიანო, ერთი არაყი მიშოვე, ეგებ გული დავიამო, ზურგს შევისვა გაბრიელი, აჩიკუდა გავიარო, მერმედ ამის, ვიჭიკჭიკო, სახალისო, ამო რამო...

\*\*\* შვილიშვილ გოგოებისთვის სახელად — დედა — მიქვიან, სულ ბოლონაა ბარბარე, დღეს-დღემდე ვინც არ მიქია...

„ჩემო დედავ, ბარბარეო, მნახე ხოლმე მალ-მალეო, შენთვისა მაქვს შენახული, რაც სხვებისთვის დავმალეო, ანგელოზის ორი ფრთა და ჭრელ პეპელას სათვალეო.“

ლეილა ბეროშვილი

გამოზამთრება

— კარგი ახლა! — სად წავიდე, სად? მეძახდნენ მეზობლები — ჩვენთან გადმოდი, დაანებე თავი... ერთხელაც ფანჯრიდან გადავედი... ინვა საგულდაგულოდ მონყობილი, ცხვირზე წიგნაფარებული და ბავშვივით გაკვირვებული თვალებით მიყურებდა: აქ საიდან გაჩნდი, ქალო?!

\*\*\* რამდენადაც სრულყოფილია ადამიანი, იმდენად გრძნობს საკუთარი არსებობის განუმეორებლობას?..

\*\*\* საკვირაო ბაზრობაზე ჩემმა თანაკლასელმა ვ.ო-მ მანქანის ფანჯარაზე მომიკაკუნა: — თვალები რათა გაქვს შეშუპებული? — რა ვიცი, წლებია ექიმთან არ ვყოფილვარ... — ველური ხაარ ქალო?! — გარბის და თან მოძახის, — მიდი ექიმთან, იცოდე! ჰკითხე წვიმას — იყო თუ არა — ყველაზე უკეთ წვიმას ეცოდინება...

\*\*\* ვემშვიდობები ყველაფერს — ძალიან ბევრ დღესა და ღამეს, ბევრ საათს, წუთს და წამს, ბევრ ტანჯვას, ბევრი იმედის გაცრუებას, შენს კარზე კაკუნს, შენს ხმას, შენს შემოსვლასა და გასვლას...

\*\*\* შეშას ჯერ ჭიანჭველები გააყრევი-ნა, შემოიტანა და ღუმელს შეუკეთა. — იმათ კი არ უნდათ სიცოცხლე?..

\*\*\* აიარა ზაზა ციციშვილმა (დედაჩემის დის შვილიშვილმა):

— როგორა ხარ, როგორ? — მოიკითხა დედაჩემი და უკანმოუხედავად წავიდა. — ჩემი და როგორ არის, ბიჭო? — გასძახა დედაჩემმა. — მოკვდა, მოკვდა! — რას ამბობ, ბიჭო, მე რატო არ გამაგებინეთ?! — აკივლდა დედაჩემი. — შენ ფული არა გაქ, ფული!.. — რა ფული, ბიჭო, ხო არ გაგიჟდით?! ზაზა მობრუნდა, გულში ჩაიკრა ცარიელი სული: ნუ გეშინია, ნუ, ბალერი-ნასავით დახტის... — ეგ არ უნდა გეთქვა, არა, რა სიტყვაა, მოკვდა! — არ უნდა მეთქვა, არა, მაგრამ სახეზე ფერი რო მოგივიდა, ის კარგიაა?..

\*\*\* ჩვენმა სხვენმა დაიგუგუნა. როგორც ჩანს, ქარი ამოვარდა... თუ ქარი გაძლიერდა და დიდხანს გაგრძელდა, ჩვენი სხვენი გაუთავებლად გუგუნებს: მე აქა ვარ, მე აქა ვარ?

\*\*\* კარს ვალებ. გასაღები უხმოდ გადატრიალდა — ერთხელ, ორჯერ — კარიც უხმოდ გაიღო. ყველაფერი ჩემს მოლოდინში გარინდულიყო: ჭერი, იატაკი, ავეჯი, ფელიქს ვარლამიშვილის და ავთო ვარაზის აფიშები და პლაკატი — გურულები ამერიკაში... სარძევეში ჩანყობილი უკვე შემხმარი გიორგინები, მაგიდაზე ერთი გადამწიფებული კარალიოკი შეუფერებლად დიდ თეფშზე...

\*\*\* რაც გუშინ დავწერე, იმას რომ გადავხედო, კალამს ხელში ველარაფერი ამაღებინებს. თვალის არიდება გადარჩენისთვის ბრძოლის კიდევ ერთი ხერხია...

\*\*\* ბათუმიდან მომავალი მატარებელი რომელიღაც სადგურში დიდხანს იდგა. შუა ხნის ქალს გაუთავებლად ამოჰქონდა ჩანთები, ყველაფერი საქმის ცოდნით დაალაგა და გამცილებლის ხმაც გაისმა: — მედიკო, გუუშვა? — გუუშვი, გუუშვი! — გასძახა მედიკომ. მატარებელი დაიძრა.

\*\*\* ცხონებულ ალიონა დარახველიძეს ვარაზის ხევის დამართზე ვილაც ბიჭმა ხელჩანთა წაართვა. გაქცევითაც არ შეუნუხებია თავი — იქვე ბუჩქებში შეძვრა და ჩანთის ჩხრეკა დაიწყო. ალიონა შორიახლო გაჩერდა: ბიჭო, ბიჭო! სათვალე დამიბრუნე თუ შეიძლება... დამიბრუნებ? ალიონა გახარებული იყო რაზე — სათვალესაც დავეკარავდიო...

\*\*\* ხან ზევიდან მოდის, ხან ქვევიდან. ხან ერთი ჯვარედინიდან გადმოუხვევს, ხან მეორედან...

მოდის მარტო, ქათქათაპერანგინი, ჯავრიანი თვალებითა და აღმაცერი ღიმილით. ეს აღმაცერი ღიმილი ფარია სულით გამწარებულითვის. ძალიან რომ გდომებოდა, ვერ მიუახლოვდებოდი — მარტო იყო, როგორც ცეცხლნაკიდებული ძნა... გულითადად ვესალმები, მაგრამ თვალს ვარიდებ, როგორც ღია ჭრილობას. გრძნობს, რომ მისიანი ვარ და აღმაცერი ღიმილი კეთილი ღიმილით ეცვლება. ერთხელ სამარშრუტო ტაქსში ამოვიდა — ყვარლის ბოლომდე წამოგყვებო, უთხრა მძღოლს. ყვარლის ბოლოზე მძღოლს ამბავი დაუტოვა: ციციისი გადახდილი არ არი. და ჩავიდა. ჩავიდა და ჩაიყოლა სახრჩობელის თოკი...

\*\*\* კინოსტუდიის ფოიეში, პირველსავე სვეტთან, რაღაცის გამო სა-

სონარკვეთილი თამაზ გომელაური იდგა.

— თამაზ, როგორ ხარ? — მოვიკითხე.

— მთავარია ადამიანობა, — მიპასუხა.

\*\*\*

სამარშრუტო ტაქსი თბილისს მიადგა და მანქანების ზღვაში შევცურეთ (თვალს განსაკუთრებით ერთმანეთზე მინყობილი ტრაილერები და სამარშრუტო ტაქსები იტაცებს)... შემეშინდა — ვაი თუ უკან ვედარ გამოვცუროთ?..

\*\*\*

თენგიზ მირზაშვილი რუსთაველის პროსპექტზე კაფე „ნარგიზთან“ შემხვდა. გახსნა დიდი ჩანთა და რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი მაჩუქა, მათ შორის ორი უცნაური ჯიშის მსხალიც...

დამპირდა, აუცილებლად ჩამოვალ შენთან სოფელში.

ერთ კვირაში მართლა ჩამოვიდა ახალგაზრდა გერმანელთან ერთად.

ძალიან მიხაროდა, რომ მესტუმრა, თვითონაც გახარებული იყო...

უცებ თვალი მოჰკრა ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილის პარიზში გადაღებულ ფოტოს.

ასეთი თენგიზ მირზაშვილი მანამდე არ მენახა — ჩხუბობდა, რაღაცას მიხსნიდა...

არ მახსოვს, გამომემშვიდობა თუ არა, წავიდა და თან წაიყვანა თავისი გერმანელი.

ამას არასოდეს ვაპატიებ — ვფიქრობდი, რომ რაღაც შეხვეულს მოვკარი თვალი — ჩუბჩიკას ჩამოტანილი სამწვადე აღმოჩნდა...

\*\*\*

იმ დღეს დედაჩემმა მითხრა: გერმან ქელიძე შემოვიდა სამასწავლებლოში, მირზა გელოვანის ომში გადაღებული ფოტო მაჩვენა — ერთად ვიბრძოდით ბელორუსიაში...

ეს ის დრო იყო, მირზა გელოვანის ლექსები თავქვემ რომ მედო...

ფოტოზე მირზა აგურით ნაშენ სახლთან დგას. გვერდზე გადავარცხნილი თმა, ვინრო ნელზე ბრტყელი ქამარი...

სურათზე ჯერ კიდევ მკაფიოდ იკითხებოდა: „პატ. გერმან, დაე, სურათი ჩემი გაგახსენებდეთ ამ უცნაურ დღეებს, მრისხანეთ და ლამაზთ. მირზა გელოვანი. 1944წ.“

სამწუხაროდ, ფოტო დაიკარგა.

\*\*\*

სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი რეზო ინანიშვილი იზოდრომიდან ბრუნდებოდა. გაცვდით ერთმანეთს და მეძახის — ქართველი ქალი ხარ მაინც, რა არი ეგეთი სიგამხდრე, ამოდი სადილად, ვინჩინა მაქვს და წითელი ღვინო...

\*\*\*

ამ საღამოს რეზო ინანიშვილთან ავედი — სერიოზულად ავადმყოფობს...

გამიფტქვნი უჯარმული ვაშლი და დანის წვერით მომანოდა:

— განა მჯერა, რომ ეს ყველაფერი მე მოვიქონიე — ეს სახლი, ეს მაგიდა, ეს ჭიქა... თან აი, გაზეზე საჭმელი თუხთუხებს — შენ ცოტა ხომ არა გგონია.

\*\*\*

კატო და ელიკო დიმიტრიშვილებისადმი

პენსიონერი პედაგოგები აივანზე, დიდ უძრავ მაგიდასთან სხედან —

ორივეს იმ დღეს აღებული პენსია უდევს წინ და მალაზიის ჩამონერილ ვალებს ანგარიშობენ: პური, მარილი, შაქარი, მაკარონი, ასანთი, კანფეტი, მაკრატელი... იანგარიშებენ და ოცდახუთი მანეთი რჩებათ, გახარებულნი აზუსტებენ და ოცდახუთი მანეთი ქრება.

დაღონდებიან. ისევ აზუსტებენ, ისევ ჩნდება ოცდახუთი მანეთი, მერე ისევ ქრება. მოულოდნელად ისტერიკული სიცილი აუტყდათ.

— გოგო, არ გავადვიძოთ, — კარისკენ გამოიხედა უმცროსმა რძალმა.

მე ნამძინარევი კარში ვიდექი და გაოცებული ვუყურებდი...

ოცდახუთი მილიონისა იცინეს და დადგნენ.

\*\*\*

ყველაფერს ღირსებით ატარებდა, ნაკლსაც კი — დაუნდობელი და ენამწარე იყო, როგორც ყველა გამჭრიახი ადამიანი, და კეთილი, როგორც ყველა გამჭრიახი ადამიანი...

კლასში შემოვიდოდა თუ არა, პირველსავე მერხზე შემოჯდებოდა და გულს გადაგვიშლიდა:

— გუშინ თონეში ჩაკიდებული ვიჩინა დამენვა!..

— ვაიი! — აღმოგვხდებოდა...

— მასწ, ინდაურები იპოვეთ?

— მესამე უბანზე ვიპოვე, ჯერ ქმარი ძლივს გადავჩაჩვიე მესამე უბანზე სიარულს, ახლა ესენი გადაეჩვივნენ...

\*\*\*

— სამასწავლებლოში, პალტოს ჯიბეში, ბლოკნოტი დამარჩა და მომიტანე — ხო იცი რომელია ჩემი პალტო? ყველაზე ძველი...

\*\*\*

ნ.თ. ვერაფრით შეეგუა, რომ ჩემზე უფროსია. მალ-მალე მეტყვის — გოგო, განალა მახსოვს, რამდენი წლისანი ვართ?

თავი არ დამანება, სანამ არ ვუთხარი — მე რამდენი წლისა ვარ, ვიცი, მაგრამ შენ რამდენი წლისა ხარ, არა-მეთქი...

\*\*\*

დიდიხნის ნაავადმყოფარი მალაქა-ანთ ლიზა და მისი მოხუცი დედა გზისპირას მყუდროზე სხედან.

ჩამოიარა ელიკომ და მოიკითხა:

— როგორა ხარ, ლიზა, როგორ?

— ავთა ვარ! — თვალები მოუწყლიანდა ლიზას.

— ნუ გეშინია, კარგად გახდები! — ანუგეშა ელიკომ.

— იგრე შენ გაიძელ! — დაადევნა ლიზამ.

— რათ ეუბნები, გოგო?! — ჩაუთქაუნდა დედამისმა.

— მაი ტყუილად რათ მეუბნება! — ატირდა ლიზა.

**ცხოვრება სამზარეულოში**

ერთი ადგილი ფანჯრისკენ საპატიო ან მოხერხებული სტუმრისაა. დანარჩენ ორზე ლაპარაკიც არ ღირს.

ამ დილას სინივით გავაპირალე ეს ჩემი სამზარეულო. ვზივარ ახლა სუფთა სამზარეულოში ერთადერთ მოხერხებულ სკამზე, ჩაის ვსვამ და ვფიქრობ — რა კარგია აქ ჯდომა.

ამ დროს მოულოდნელად და ერთდროულად შევხედეთ ერთმანეთს მე და ლობიოს ქოთანმა, რომელიც ვერადავერ წამართვა ტერეზამ. ლობიოს ქოთანს რას გამოაპარებ და ისევ ერთდროულად შევხედეთ ერთმანეთს.

ვზივარ და ვფიქრობ: რა უნდა ამ ქალს? შროშელი ვააარ, მამაჩემი მექოთნეა... ვნახავ და ვეტყვი, შროშელი ვააარ, მამაჩემი მექოთნეა...

სუფთა სამზარეულო, ჩაი და ღიმილი მარტომყოფისა.

\*\*\*

ავხედე შუალამის უვარსკვლავო ცას — ისევ აქა ვარ. გავხედე ჩაბნელებულ სახლებს — ისევ აქა ვარ. ყური მივუგდე შუალამის სიჩუმეს — ისევ აქა ვარ. ისმის მთვრალეების ხორხოცი — ისევ აქა ვარ... სამუდამოდ... ისევ აქა ვარ.

\*\*\*

ვდგავარ გაჩერებაზე. დედაჩემის ჟაკეტი მაცვია. ამ ჟაკეტში თავს ისე ვგრძნობ, როგორც ჩვენს სახლში, რომელსაც ბზის მიძიმე სადარბაზო კარი ჰქონდა და რუზე გადმომდგარი ხის კიბე...

დღეს ათას საქმეს გავწვდები.

\*\*\*

დედაჩემი დამპირდა, თავს მოვიკლავ იმიტომ, რომ სალახანას გზადიო და წავიდა ბაზარში.

პატარა ბიჭის დღიურიდან

**ქალი, ქალი და კაცი**

კაცი უცხო ტომის ქალთან დადიოდა. ცოლმა იცოდა, მაგრამ არ იმჩნევდა.

ერთხელ კაცი სოფლის განაპირა ვენახში მოშაობდა, მოულოდნელად საყვარელი დაადგა თავზე — ათი მანეთი მასესხეო.

კაცმა უთხრა, ნადი ჩემ ცოლთან და ის მოგცემსო.

ქალი გაბრუნდა და წავიდა კაცის ცოლთან.

კაცმა მოკლევზე გადაირბინა, საყვარელს მიასწრო და ცოლი გააფრთხილა — ეხლა მოვა და ფულსა გთხოვს და არ მისცეო.

საყვარელი მივიდა ცოლთან და უთხრა — შენმა კაცმა გამომგზავნა, მიდი ჩემ ცოლთან და 10 მანეთს მოგცემსო.

ქალმა მისცა 10 მანეთი.

საყვარელმა მადლობა გადაუხადა და წავიდა.

სალამოს სახლში დაბრუნებულმა ქმარმა გაიგო, რომ ცოლმა საყვარელს 10 მანეთი, გაფრთხილების მიუხედავად, მაინც მისცა.

კაცმა შავი დღე დააყენა ცოლს — ეხლა ეგ მაგ ფულის მომტანილიაა?!

\*\*\*

დედა სამზარეულოში გაბრაზებული აჩხრიალებდა ჭურჭელს. ბიჭმა გამოსძახა: იცი, იაპონელებს ლ არა აქვთ...

— თავში ქვა უხლიათ! — ჩაილაპარაკა დედა და უცებ თავისსავე ნათქვამზე სიცილი აუტყდა.

— რაზე იცინი? — გამოსძახა ბიჭმა ისევ.

— რაზეც! — იცინოდა დედა.

\*\*\*

წვიმაში მიდიოდა. სანვიმარი გაეხადა და წამოეხურა. ცალი ხელი ჯიბეში ჩაეყო, ცალით სანვიმარი ეჭირა. ცა რძისფერი იყო და დაბლა დანეული... რაღაც კარგი იყო მთელს ამ ამბავში?..

**სისასტიკე**

მიარღვევ გზას მათხოვრებსა და შაოსან გადამყიდველ ქალებს შორის. მათ შორის ზის თავჩაქინდრული ახალგაზრდა შავებში ჩაცმული ქალი.

ცოტას გასცდები, უკან ბრუნდები და სანამ ხურდას მისცემ, მანამ ივინყებ...

\*\*\*

თოვს. გამომცემლობა „ნაკადულის“ ფანჯრიდან კარგად მოჩანს — გზას ჩვენი ავტორი ნ. კობიძე მოუყვება. თოვლში მომავალი იმედიანად გამოიყურება (უარყოფითი დასკვნა დავწერე, მაგრამ ნიგინი მაინც გამოდის)...

ჩემზე გაბრაზებულია. ქუჩაში თუ შემხვდა, უსალმოდ გამცდება, მერე შემობრუნდება და დაჟინებით მიყურებს... ეს ისე ხშირად ხდება, ერთხელაც იქნება, მეც შევბრუნდები და ვკითხავ: ნიგინი ხომ გამოდის?..

\*\*\*

ჩემს უჯრაში ინახება წერილების დიდი შეკერა. ადრესატი ჩემი ვაჟია. წერილები დანერილია წარმოუდგენელი თავგანწირვით. ვერ ვხვდები, რა მანერინებდა ამდენს, რისკენ მივიწრაფობდი. როგორც ჩანს, მეგონა, ყოველი წერილის შემდგე ერთი მტკაველით ასცდებოდა მინას.

ბევრი წერილი იწყება ასე: „უკანასკნელად გწერ“. „მართლა უკანასკნელად გწერ“.

(ხანდახან ვფიქრობ, ჩემი წერილების მიხედვით დავწერო მეორე „წერილები ჩემს ვაჟს“).

პასუხად სულ ერთი წერილი მივიღე.

**ქალბატონო დედა!**

„მშვენიერია უდანაშაულო ადამიანი, მშვენიერია.“

კალიგულა

„მშვენიერია, როცა შენზე არავინ ზრუნავს, მშვენიერია.“

ბექა

„უარესი სასჯელი არ არსებობს, ვიდრე ჩემი შენთან ურთიერთობა.“

გონიერი ნათქვამი

აი, უკვე ორიოდ დღეა, ამაოდ ვცდილობ თქვენთან შეხვედრას... რაკი ვერა

გავანყე რა, იძულებული შევიქნე ეს წერილი დამეტოვებინა...

ვერ ვიტყვი, რომ თქვენი უხილველობა ცუდად მოქმედებდეს ჩემზე, რადგან ეშმაკსაც ნაუღივარ, მე, რა თქმა უნდა, მშვენიერადა ვგრძნობ თავს და, როგორც ყოველთვის, არაფერიც არ მიჭირს. თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ გულიგულში ანუ როგორც ნათია ხუციშვილი ამბობს ხოლმე, „სულის რომელიც მიყრუებულ კუნჭულში“, დისკომფორტს ვგრძნობ. ეს უთუოდ მიუჩვევლობისგანაა — ჩემის უკუღმართი თავისა კარგათ მოგესხენებათ, რაც უფრო დიდია დისკომფორტი, მით უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს...

მოვედი, მენახა, ხომ არაფერი გიჭირთ — რაც აქ ვნახევი, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაინცდამაინც საშინელი არაფერი უნდა იყოს თქვენ თავს. რაც შეეხება თქვენს სულიერ მდგომარეობას, მკურნალად, როგორც ჩანს, მე ვერ გამოვხდებო. ხოლო თუ თქვენც, ჩემი არ იყოს, უჩემობისა გამო „სულის ყველაზე მიჩქმალულ კუნჭულში“ ამ, ასე ვსთქოთ, ყბადაღებულ დისკომფორტს განიცდით (რაშიც, ღმერთო, ნუ მიწყენ და, ცოტა არ იყოს ეჭვი მეპარება), ნურც მაგაზედ ინაღვლებთ — არაფერი არ მაკლია, უფრო სწორედ, არაფერი არ ვიკლებ — რაღა თქმა უნდა, ამაში სულაც არ იგულისხმება, თითქოს ვსომდე... პირიქით დამეფიცება, მიუხედავად იმისა, რომ სამი დღეა სუფრასთან ვზივარ, არამც თუ წვეთი არ დამიღვვია, უბრალოდ ტუჩიც კი არ მიმიკარებია ღვინისთვის — განა რა არის, მაგრამ ვიფიქრევი, ვინძლო ვინმე არ იფიქროს, უპატრონობას განიცდის და იმიტომ სომსო...

ახლა თქვენს ყურადღებას იმას მივაპყრობ, სუფრასთან საიღამა ვხვდები: მოგესხენებათ, ახლა რთვლობაა, მე კი უკაცრაული პასუხია და ძალთოდენა ძმაკაცები მყავს — ხან რომელი მეძახის საშველად, ხან რომელი... ასე რომ, ჩემის მარჯვენის წყალობითა, საკმაოდ კარგს გეახლებით და... აი, სმისა კი როგორც მოგახსენებთ...

ახლაც რთვლიდამ გეახლებით (გამოტეხვით მოგახსენებთ, რომა რთველი საკმაოდ მიძიმე ანუ, მდაბიურად რომ ვსთქოთ, ვირული სამუშაოა, მაგრამ ვირსა ვირული სამუშაო შეეფერება, მით უფრო რომ გარს თავისნაირი ვირები ახვევია) და თქვენს თავზარდამცემ, ყოვლისმომცველ, ზეცად ამაღლებულსა და გამუდმებით ესთეტიკურის (დასწყევლოს ღმერთმა), (ესთეტიკურზე ვამბობ) მძებნელ თვალებს არსადაც არ ვანყდები და ამ ისედაც ჭლექიანის ფილტვებივით დაფაცხავებულს სულს არ მიფორიაქებენ...

სად წავედი, კაცო!.. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ახლაც იქიდან გეახლებით და რაკი სახლში არ ინებევით ყოფნა, მაგიდას მივუჯექი ამ წერილის დასაწერად.

წერილის წერას რომ მოვრჩები, მეც იქ ჩავალ — სად — მიზეზთა და მიზეზთ გამო, რასაკვირველია, არ გეტყვით... მაცვია ახალი ჯინსის კურტკა. ასე რომ, ნურც იმაზე ინაღვლით, ჩემი შვილი თავისი ძველი კურტკით დადის და მაიმუნსა ჰგავსო. მაიმუნს კი არა, ისე ვარ გამოპრანჭული (ჯიბრი გულითვინ ფეხსაცმელსაც კი ვანმენდ), რომა ჰოლივუდის ნებისმიერი ვარსკვლავი გვერდზე დამიყენე, ჯიბეში ჩავისომდი, შიგ ცხვირსახოცი რომ არ მედოს, რომელშიაც ცხვირ იგრე ვახრუტუნებ, ადალი გორაზე ისმის...

ვფიქრობ, საკმარისია. ხვალ აუცილებლად თბილისში მივიღეარ — ფეხბურთია. თან ისიც უნდა გავიგო, თამაზ ჭილაძეს ქობულეთში მივყავარ თუ არა.

ფული მაქვს. ასე რომ, ნუ იდარდებ... და საერთოდ ჩემზე ნუ დარდობ, ასე ადვილად არაფერი დამემართება... ეგ კი არა, როცა არ უნდა ჩამოხვიდე, სახლში დაგხვდები. საკმაოდ დავილაღე გარგარე ყიალით და თბილისში უკვე საფუძვლიანად მოვირთხავ ფეხს...

პატივისცემით, თქვენი უღირსი პირმშო.

1996 წელი. ორშაბათი. მგონი, 23 აგვისტო.

მწერალი

აკა მორჩილაძე

ვიცი, რომ აკა მორჩილაძე ჟურნალისტებს თითქმის არასდროს ხვდება. მითხრა კიდეც, წლებია, მათთან არ მილაპარაკებო. ამიტომ ძალიან ვნერვიულობდი. მით უფრო, რომ იმ მწერალს ვხვდებოდი, რომელიც გამორჩეულად მიყვარს, რომელზეც ვფიქრობ, რომ ჩემთვის წერს, ჩემსას წერს, რომელსაც ერთი წინადადებითაც კი ვცნობ. ვიცი, რომ უამრავი ადამიანი იღვივებს ფიქრობს და გრძნობს.

მღელვარება რომ შემატყო, გაეცინა და მითხრა — რა განერვიულებს, არც ჭკვიანი ვარ და არც ბევრი წამიკითხავსო. შემდეგ ალბათ იფიქრა, ნათქვამი უტყობიერებულად არ გამეგო და დაამატა, უსარგებლო ლიტერატურაო. როცა საუბარი დამთავრდა და ვუთხარი, ინტერვიუს ვადმოგივ ზავნით, რომ გადახედოთ-მეთქი, მე არასოდეს ვაკითხებდი რესპონდენტებს, მთავარია, არაფერი მიამატო და რაც საჭიროა, მოაკლოო. მოკლედ, ძალიან ვეცადე, არ ენანა, წლების შემდეგ მაინც დამაინც მე რომ „დამელაპარაკა“.

— ჯერ კიდევ ივლისში მწერალთა სახლში პირველად წავიკითხეთ ნაწყვეტები „მორიდებული ზურმუხტიდან“. ცხადია, შინაარსზე არაფერს გკითხავთ. ზოგადად, ვიცი, რომ სქელტანიანი რომანია ბევრი პერსონაჟით, დიდი ამბოხებით, თავგადასავლებითა და ასე შემდეგ. დანარჩენს წავიკითხავთ. საინტერესოა ის, რაც არ დანერგა, არ ჩანს. ვთქვათ, როგორ იწყებოდა და ინერგებოდა ეს რომანი. ალბათ, წინასწარ აქვს მწერალს მონახაზი, რომელსაც ან მისდევს ან შუა გზაში გადაუხვევს და სულ სხვა, ისეთ მიმართულებას ირჩევს, მანამდე რომ არც უფიქრია. ამ შემთხვევაში როგორ განვითარდა მოვლენები?

— არა, მე ასე არ ვწერ. საერთოდ, ასეთი მიდგომა — იდეოლოგიისა თუ კონცეფციის, გნებავთ, გულისთვის გამოწიგნის დაწერა, სხვისთვის არ ვიცი და, მე დიდ შეცდომად მიმაჩნია. ასეთი მიდგომისგან, ადრეც და ახლაც, შორს ვდგავარ. ამ შემთხვევაში ვფიქრობდი, რაღაც სახუმარო ანდა ძალიან ეკლექტური დამეწერა. ბოლო ხანს განსაკუთრებით შემეყვარა ამგვარი, დაუმუშავებელი ტექსტები, წინადადებას განგებ და შეგნებულად ცუდად, გაუმართავად რომ წერ, სადაც მკითხველს უფრო მეტს ინტონაცია ეუბნება. მსგავსი შემთხვევები ქართულ მწერლობაში დღევანდელ კლასიკოსებთანაც გვხვდება. თუმცა, არც იმას დაგიმაღლავთ, რომ ასე ღრმა და „ენაზე მიბმული“ არ მინდოდა, გამომსვლოდა. მახსოვს, დავწერე ეპიზოდი, რომელიც ახლა რომანის შუა ნაწილშია მოქცეული, როგორ დაინგო იმპერატორის სისხლისმსმელი რეჟიმისა თუ მმართველობის წინააღმდეგ აჯანყება ქალაქ ფოთში და მომდევნო ორი გვერდი, რატომღაც, ინგლისურად გადავარქვე. ძალიან გითხარა, არ მიყვარს ხანგრძლივად წერა. ამ შემთხვევაშიც ვფიქრობდი, რომ სატირული, მაგიური რეალიზმით სავსე, გამოგონილ ამბებზე შექმნილი თხელი წიგნი გამოვიდოდა, თუმცა, გამეწეა. ინგლისურს ისევე ქართული ტექსტი მოყვა და ვერა და ვერ დავასრულე. ასე შემართება სცენარის წერისასაც, როცა საბოლოოდ, თუ ჩემს ნაწერს გაყვებიან, სამსაათიანი ფილმი უნდა შეიქმნას. რეჟისორი შემოკლებას მთხოვს, მე კი ვერ ვაპატარავებ, ისე ვარ გახლართული სხვადასხვა ამბავში, რომელიც მეტ განვრცობას მოითხოვს. ვამატებ, ვამატებ და შედეგად სქელტანიანი სცენარი გამოდის. ასე მოხდა „მორიდებული ზურმუხტის“ შემთხვევაშიც. აჯანყების ამბით რომ დავიწყე, მივხვდი, მხოლოდ ეს ეპიზოდი ქრონიკას დაემსგავსებოდა და მოსაწყენი იქნებოდა. ამ პრობლემას, როგორც შემე-

ძლო, „შევებრძოლე“. ბევრი მოქმედი პირია და თუ არ მოჭერი, ამბავიც არასდროს დამთავრდება. არადა, მინდოდა თითოეული გმირისთვის რაღაც მეჩუქებინა. ვერ შევძელი. ეს არის წიგნი, რომელსაც ვერ გავწვდი.

როგორც ჩანს, ადრე სხვანაირად ვწერდი. დღეს გაუხეშებულად, გაურანდავად წერა მომწონს, არასრულყოფილება მხიბლავს. მაინტერესებს, რას ვერ შევძელი, რა არ გამომივა. რეალურად, ადამიანიც ხომ ასეთია — დაუმთავრებელი, არასრულყოფილი და წიგნიც მინდოდა, ამ რეალ-

„წიგნი, რომელსაც ვერ გავწვდი“

ობის ერთგვარი ასახვა ყოფილიყო. ამოცანა მქონდა, რომანი სავსე ყოფილიყო ქაოსით, კლიშეებით, ცუდი მეტაფორებით... ცუდ ამბებზე ცუდად, უხარისხოდვე მეწერა, კარგ ამბებზე კი — გამართულად. შემექმნა ისეთი არალიტერატურული ნამუშევარი, რომელსაც მაინც წაიკითხავდნენ. შესაბამისად, ამ წიგნზე მუშაობა ერთ-ერთი საინტერესო პერიოდი იყო ჩემთვის. არ ვიცი, მოვახერხე თუ არა, ყველაფერი ეს ზუსტად ამეხსნა.

— ალბათ, ყველა წიგნზე ერთნაირი ინტერესითა და ხალისით არ მუშაობთ. ზოგი რთულად მიდის, სხვა — ერთი ამოსუნთქვით ინერგება... ასე?

— ზოგიერთი წიგნი ისეთია, მკვეთრი ამოცანა დასახული და იცი, ერთ კვირაში დანერ. საერთოდ, ეგრე, ჩაჯდომით წერა მიყვარს, რადგან თითქმის ყველაფერი წინასწარ მაქვს მოფიქრებული. მაგალითად, „ძველი გულგებისა და ხმლისა“ ერთ კვირაშია შექმნილი. იქამდე სადაღაც ვიყავი წასული და რაღაც სქელტანიანი დავწერე. იმ პერიოდში სულ ვმოგზაურობდი და ნაწარმოებების უმრავლესობა სწორედ ამ დროს ინერგებოდა. ისე მოხდა, რომ შევრჩი აქაურობას. ვიცი, ორიოდ კვირა კიდევ მქონდა. ვიფიქრე, რამე ხომ

არ დავწერო-მეთქი და რადგან ამბავი გააზრებული და მოფიქრებული მქონდა, სწრაფადვე მივაცოლე „ძველი გულგებისა და ხმლისა“, თუმცა „მორიდებული ზურმუხტისგან“ განსხვავებით, ამოცანა ბევრად მარტივი იყო. ზოგადად, სირთულეები არ მაშინებს, მთავარია, პროცესი სასიამოვნო აღმოჩნდეს ჩემთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერაფერს დავწერ.

— თქვით, ერთ დაჯდომაზე ვწერო. ეს სიახლე აღმოჩნდა ჩემთვის. არადა, მაინტერესებდა, ყოველწლიურად თითო წიგნის დაწერას როგორ ახერხებდ-მეთქი. სქელტანიანი რომანები, ალბათ, დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მით უფრო, რომ ყველაფერ ამას ძიების — ენის, ფორმების — პროცესიც ახლავს თან...

— ომის მერე, ორი-სამი წელი, არაფერი გამომიცია. ვფიქრობდი, საერთოდ დამენებებინა წერისთვის თავი. ან რა სიამოვნება უნდა მიმელო?! მოგეხსენებათ, ფული ყველას სჭირდება და მეც ვწერდი რაღაცებს — ძირითადად, სტატიებს. საქართველოდან ახალწასული ვიყავი. ინგლისური ენა არ ვიცი და ცოტ-ცოტას ვსწავლობდი, თუმცა წიგნზე ნამდვილად აღარ ვფიქრობდი, არადა, მანამდე წელი-



წადი არ გავიდოდა, ერთი ან ორი წიგნი არ გამომიცია. ომმა ძალიან იმოქმედა... დრო რომ გავიდა, „ობოლე“ დავწერე. მერე, თანდათან, წერის სურვილიც დამიბრუნდა.. სულ ვწერ. ახლაც ამ პროცესში ვარ.

— ახლა რას წერთ?

— ჯერ არ ვიცი. პრუსტის მიხედვით რაღაც იუმორისტული ჟანრის წიგნზე ვფიქრობ. ახალი დაწყებული მაქვს, ამიტომ დღეს ამაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. ახალმა წელმა შემეყოვნა... არადა, არ მიყვარს წერის პროცესის შეწყვეტა.

— მერე ძნელია ხოლმე მიბრუნება, არა?

— როგორც წესი, არც ვუბრუნდებოდი ხოლმე. უბრალოდ, ამ ტრადიციის შეცვლა კომპიუტერის „შემოჭრამ“ და ჩემმა ბუნებრივმა მდგომარეობამ გამოიწვია. ტექსტს ძალიან ცუდად ვკრეფ, ცაცია ვარ და, როგორც აღმოჩნდა, კლავიატურაზე ჯერ მარცხნივ განლაგებულ ასოებს ვებეჭდებ. მაგალითად, „მაშინ“ — „ამშინ“ და ასე შემდეგ. ამიტომაც ჩემს გარდა ვერავინ იგებს, რას ვწერ. ამის გამო, იძულებული ვარ, უკვე დანერვილს მივუბრუნდე, ვიკითხო და ასოები ვანაცვლო. როცა ხელით ვწერდი, აღარც ვუბრუნდებოდი, ახლა კი თუ დავეჯექი და გავასწორე, გავაგრძელებ

კიდევ.

— მგონია, თბილისიდან რომ არ წასულიყავით, თქვენი მწერლობა სხვანაირი იქნებოდა, არა ასეთი ინტენსიური და სავსე. აქაური ურთიერთობები თუ ყოველდღიურობა თითქოს ხელს უშლის მწერალს კონცენტრირებაში, მეტ დროს ართმევს. ასე?




— პირველი წიგნები წყნეთში დავწერე, თან იმას ინტენსიური მუშაობა არც ერქვა. მაშინ მწერლობაზე არ ვფიქრობდი... „მადათოვი“ ბოლო წიგნია, რომელიც თბილისში შეიქმნა. მას შემდეგ სულ ვცდილობდი, ორი-სამი თვით სადაღაც წავსულიყავი, განმარტოებოდი და ვმჯდარიყავი და მშვიდად მწერა. სამსახურის, რედაქციებში სიარულის გამო აქ ამას ვერ ვახერხებდი. ამიტომაც ვცდილობდი, მთელი წლის სანაირი აქაურობიდან შორს დამეწერა. ასეთ რეჟიმში ვიყავი, სანამ სულ არ წავედი. იქ ეს პროცესი განვლილია, ერთ თვეში მოსასწრები აღარაფერია, თუმცა ძველ ჩვევას ვერ ვლაღატობ და თავში დიდხანს დატრიალებული და გააზრებული ამბები მაინც უცბად ინერგება. დღის წესრიგში სხვა პრობლემა დადგა — წიგნები მოცულობითი ხდება. „ობოლე“ თხელი მინდოდა, გამოსულიყო, „მორიდებულ ზურმუხტზე“ იგივეს ვფიქრობდი, არადა, ორივე სქელტანიანი რომანია.

— ცოტა ხანი არ არის, რაც ინგლისში ცხოვრობთ და თქვენზე უკეთ, ალბათ, ვერაფერს ხედავს, რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ქართული და ევროპული მწერლები, რა მიჯნავს ქართულსა და ევროპულ მწერლობას...

— ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდება, რაც რამდენიმე მიზეზით აიხსნება. ერთ-ერთი, თუმცა არა უმთავრესი, არის ის, რომ ჩვენ საბჭოთა პერიოდი გამოვიარეთ. ისედაც ნაწვალეები სამხრეთის ქვეყანა ვართ, რომელსაც დიდი ადამიანური რესურსი არასდროს გვქონია. კაპიტალიზმი ჩვენგან შორს იყო, ბოლო დრომდე სტამბებიც კი არ არსებობდა. ლიტერატურულ პროცესებს მასობრიობა აკლდა. შესაბამისად, ჩვენთან ჟანრული ლიტერატურა მწირი და იშვიათია. საერთოდაც, ქართული მწერლობა ძალიან სფეციფიკურია. აქ ბევრი ისეთი წიგნია, რომელიც, პირადად ჩვენთვის, ღირებულია. იქ მსგავსი პრობლემები არ არსებობს ან დიდი ხნის ჩავლილია. როდემდე სამსახუროც უნდა იყოს, ლიტერატურული პროცესს ჟანრული მწერლობა, ეგრეთ წოდებული „ჯენერალ ფიქშენი“ წარმართავს. იქ ცნობილი მწერალი ჰქვია იმას, ვისი წიგნებიც იყიდება და ვისაც ცნობენ. აღიარების სხვა კრიტერიუმი არ არსებობს. მასობრივი ლიტერატურის ლანძღვა არც ამ მწერლების ავტორიტეტზე და არც მათ მკითხველზე მოქმედებს. აღიარების ხარისხს გაყიდვების მაჩვენებელი განაპირობებს. თუ სახელია, გაყიდვაც პირდაპირპროპორციულია. რა თქმა უნდა, დიდი მწერლებიც არსებობენ, მაგრამ გაყიდვა სხვაა. ისე არ გამიგოთ, თითქოს კარგი მწერლების წიგნებს იქ არ ყიდულობდნენ. ყიდულობენ, ოღონდ ათჯერ ნაკლებს. თუმცა, გამოწვევებიც არის. მაგალითად, ეკოს წიგნი ბესტსელერად იქცა, რასაც ხელი საერთაშორისო სახელმა შეუწყო. მოკლედ, ძალიან ჩახლართული თემაა და ძნელია, ზუსტად ახსნა, რა განსხვავებაა ჩვენსა და მათ შორის. იქაური მწერლობა სულ სხვაა. შენ პატარა ქვეყანა ხარ, რომელსაც შენი ენა გაქვს, სრულიად განსხვავებულად წერ (ცუდად თუ კარგად, ეს სხვა საკითხია) და შეუძლებელია, მას შეუერთდე. მართალი გითხარა, ვფიქრობ, არც არის საჭირო.

ყველა ქვეყნის მწერლობა თვითმყოფადი და განსხვავებულია. სპარსული რომანები წავიკითხე და უნდა აღვნიშნო, რომ გადასარევი წიგნებია, რომელიც სხვა არც ერთი ქვეყნის ლიტერატურას არ ჰგავს. ინგლისსა და ამერიკაზე აღარაფერს ვამბობ, ის საერთოდ „სხვა ოპერა“.

თავად მე ინგლისურად ვკითხულობ და უპირატესობას ჟანრულ ლიტერატურას ვანიჭებ. როგორც ჩანს, ინსტიტუტურად ვხვდები, რომ ამ სახის წიგნები „მჭირდება“. ბოლო დროს წაკითხულთაგან ჩილეელი მწერალი რობერტო ბავარო დამამახსოვრდა, რომელიც გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი. ყველა ჟანრის სქელტანიანი, უზარმაზარი რომანები აქვს, რომელიც საინტერესოდ იკითხება.



გადასარევი კრებულის — „ფაშისტური ლიტერატურის ისტორია ლათინურ ამერიკაში“ — ავტორია. ხომ სამეცნიერო ნაშრომის სათაური აქვს? არადა, სულ მოგონილი სახელებია. უბრალოდ, ადამიანების ბიოგრაფიებს ყვება. ეს მოგონილი ავტორების, არარსებული მწერლების ერთგვარი ენციკლოპედიაა. სხვა წიგნი განსხვავებული სტილისაა. მოკლედ, კარგი მწერლებიც არიან. მაგალითად, ფრანგები ყოველთვის კარგად წერდნენ.

— საინტერესოა, საიდან ასაზრდოებენ თავიანთ წარმოსახვას, როგორ იგონებენ ასეთ სახე-სიტყვებს. რამდენიმე ბენის წინათ მწერალმა სახლში გამართულ პრეზენტაციაზე აღნიშნეთ, წიგნზე მეტად ჩემზე ძველი სიგარის ყუთმა შეიძლება, იმოქმედოსო.

— ეგრეცაა. არ ვკითხულობ-მეთქი, ვერ ვიტყვი. ალბათ, კითხვისგანაც გამიჩნდა აზრი, რომ დამეწერა, ხომ? მაგრამ მე უფრო ნივთებისა და სურათების ადამიანი ვარ. ძალიან ძნელად ვიმახსოვრებ სახეებს, სახელებს და გვარებს — განსაკუთრებით, ბოლო დროს. მაგრამ სურათი? ერთი ერთზე შემოძლია, აღვიდგინო. ასევე ვარ ნივთებთან და გარემოსთან მიმართებაში. როგორც ჩანს, ამგვარი ხედვა მაქვს განვითარებული. წიგნებს რომ წერ, ბუნებრივია, რაღაც გასაზრდოებს. აბა, წიგნების მიხედვით დაწერილი რომანი რა უნდა იყოს?! მეც ვუთითებ ხოლმე უამრავ ლიტერატურას, მაგრამ მართლაც ხომ არ კმარა, რაღაც სურათს ხომ უნდა ხედავდე, არა? იმ სიგარეტის ყუთზეც იმიტომ აღვნიშნე. ჩემს შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნივთები, გარემო... ვიცი, რომ ყველაფერი ეს არსე-

ბობს და არასდროს მავინწყდება. თუმცა წერის პროცესში, როგორ გითხრა, სურათს რომ ვხატავ, ძალით კი არ ვიხსენებ, თავისთავად მოდის. ნაწილზე ვწერ, ნაწილზე — არა.

— ასეთი სურათები, ნივთები თუ გარემო ძალიან აცოცხლებს ნაწარმოებს. მკითხველიც მაშინვე ცნობს იმას, რაც თვითონაც ოდესღაც უნახავს, რასაც, შესაძლოა, ყოველ დღე ხედავდეს, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში მისივე ემოცია, მისივე დანახული რომ ამოუტივტივდება, ეს ძალიან მოქმედებს. მიყვარს ასეთი მწერლობა.

— სწორედ ამაზე ვლაპარაკობდი. არსებობს მმ ლიტერატურა და შპნ ლიტერატურა. პირველია, როცა ადამიანი სულ თავის თავზე წერს — იმაზე, რაც თავად განუცდია. ჩემი ნაწარმები კი ძალიან ნაცნობი და იოლად გასაგებია. ეს უკვე შპნ ლიტერატურაა. ჩემგან კი ვწერ, მაგრამ მაინც შპნ არის, იმიტომ რომ შპნ იცი, რაზეც მმ ვწერ. ასეთ დეტალებზე მწერლები თითქოს არ „ხურდავდებიან“, მე კი, რაკი სურათების ადამიანი ვარ, სწორედ ეგ მიყვარს. ცნობიერებიდან არაფერს ვეყვები, მხოლოდ — სურათებს მიყვები. თუმცა შემოძლია, ისიც გავაპაროდი. რასაც გინდა, იმას დაგინერ, თუმცა სიამოვნებას სწორედ სურათები და გარემო მანიჭებს.

— სხვადასხვანაირად წერა გიყვართ. არადა, პირველივე ორმა წიგნმა მკითხველის ისეთი აღიარება მოგიტანათ, მსხვერპლ ვითარებაში, შეიძლება სხვას აღარც ეძია სიახლე, შეენარჩუნებინა სტილი და მიჰყოლოდას მას. თქვენ კი მუდამ ახალს გვთავაზობთ...

— სხვანაირად საინტერესო არ იქნე-

ბოდა. თავიდან, პირველ წიგნებს რომ ვწერდი, ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ არც ის დამიშვია, რომ ქუჩასა თუ ნარკო-მანებზე ლიტერატურული ქართულით მომეთხრო. წიგნი გმირების ენით იწერება. მესმის, რომ ასეთი ენა არ არსებობს, იმიტაციადაც გამოდის, მაგრამ ხომ უნდა შეესაბამებოდეს გმირი და თხრობის სტილი ერთმანეთს? მუსიკაც ხომ, რაღაც გაგებით, განცდების იმიტაციაა?

— თან ერთფეროვნად წერა მოსაბუზრებელია, ძალიან მწყინდება. ხომ შემოძლია, გავყვე და სულ იმ ძველ ბიჭებზე ვწერო, არა? მაგრამ არაფრით გამოდის, მოსაწყენია. რაღაცები მაქვს თავში, მაგრამ არასდროს დაწერ, რადგან ეს უკვე ოცი წლის წინ გავაკეთე. ენაც ასეა. მესმის, რომ ენის სისუფთავის დამცველებისთვის მიუღებელია, გრამატიკაც არასწორია, მაგრამ ჩვენ ხომ ასე ვლაპარაკობთ ქუჩაში?! იმ კაცსაც ხომ შეიძლება, ოდესღაც ამგვარად ელაპარაკა?! რა არის წერა? როგორც არისტოტელემ თქვა ისტორიასა და პოეზიაზე, ისტორიაა, რაც უკვე მოხდა, ხოლო პოეზია — წერა იმაზე, რაც შეიძლება, მომხდარიყო. საერთოდაც, არ ვარ გრამატიკული ნესების დაცვის მომხრე. თუ „ჩანთა“, „იაფი“ ან „ჩოხა“ ძალიან დიდი ხნის წინ გახდა ქართული სიტყვა, ხოლო „კაროჩე“ — ორმოცდაათი წლის წინ, ამათ ერთმანეთს განდიდად ვერ განვასხვავებ. არის სიტყვები, რომელსაც 19 წლის ბიჭს ვერ ვათქმევინებ, ტყუილი გამოივია. სტილი ამბავს უნდა შეესაბამებოდეს.

— ვილაცამ შეიძლება „ძველბიჭური“ ენით, ან კუთხურად დაწეროს, მაგრამ ისეთი მდარე და უგემოვნო ნაწერი გამ-

ოვიდეს, რომ ვერ ნაიკითხო. თქვენს შემთხვევაში კი კითხულობ და — ლიტერატურაა.

— მართალია, მუსიკალური სმენა არ მაქვს, მაგრამ შემოძლია, ყველანაირი კუთხური ლაპარაკი აბსოლუტურად ზუსტად გავიმეორო, თან ისე, რომ პირადად მოსმენილიც არ მქონდეს და მხოლოდ ტელევიზორის საშუალებით ყურმოკრულს ვიხსენებდე. როცა ვწერ, თან მესმის და ამიტომ ტყუილი არ გამოდის. ნებისმიერ წინადადებას ამგვარად ვაგებ. ასე რომ, ეგ უფრო ყურზეა და არა — მწერლობაზე.

— თქვენი ლონდონური ცხოვრების შესახებაც მოთხროთ ორიოდ სიტყვა.

— რა გითხრა? ვწერ. ვფიქრობ, ცოტა ინგლისურადაც დავწერო. მართალია, რაღაცები უკვე დავწერე, მაგრამ ეს უფრო დასახელებაა. თავიდან ენა საერთოდ არ ვიცოდი. ერთხელ ზურა ქარუმიძეს გავუგზავნე, ნახე-მეთქი და ამას გრამატიკაც აქვსო, მომწერა. ადრე რუსულადაც მინდოდა, დამეწერა რამე. კარგი რედაქტორი მყავდა, ჩემს წიგნებს თარგმნიდა ომამდე, მაგრამ მერე ჩაიშალა. ჩაიშალა და აღარც მიმიხედავს. არ შემოძლია. არც წერა მინდა მაგათი, არც — კითხვა.

ბევრი გვერდითი საქმე მაქვს — შეკვეთები, რომლითაც უნდა იარსებო. ასეთი ტექსტების წერა ძალიან მიჭირს, იმიტომ რომ არ მაინტერესებს, ვერ ვერთობი. სულ ფეხს ვითრევე, ბოლო ვერებამდე მიმყავს ხოლმე. მეორეს მხრივ, სხვანაირად არ გამოდის. მოთხრობებსაც აღარ ვწერ — თუ დრო მაქვს, მირჩევიან, დიდი წიგნი დავწერო. ეს მანიჭებს სიამოვნებას. როგორც ახლა იტყვიან ხოლმე — აი, ასეთი „სთორია“...

ესაუბრა თამარ ჟურული

დასასრული

კითხავს არ ვუშვებდი. ასე რომ, დრო თავისით შემოიფარგლა — გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლო — იმხანად მე „თანამდევნი სულის“ მეორე ნაწილის გასრულებაზე ვმუშაობდი. ამის მერე ადგილიც თავისთავად დაკონკრეტდა — გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — დროის უმეტეს ნაწილს მაშინ სწორედ იქ ვატარებდი, რუსთაველის პროსპექტის 42-ში.

მაგრამ ეს მკაფიო და ახალი რაღაც უნდა ყოფილიყო, მეოთხედი საუკუნის წინანდელ სურათს რომ ზემოდან დასვებოდა და გუმინდელით მახსოვდა?!

ილია ჭავჭავაძე. უფრო ახლოდან. მსხვილი პლანით. პლანებში ჩამდგარი. სასხლავით ხელში.

რა უნდა ყოფილიყო და, ეტყობა, ამ სურათს კიდევ ერთხელ მოვკარი თვალი, როცა უკვე ამ ათასწლეულში, რამდენიმე წლის წინათ, ჩემმა ყოფილმა თანაავტორმა ნოდარ გრიგალაშვილმა „თანამდევნი სული“ თავიდან ბოლომდე დაიწერა და იმ უსიამოვნო პოლემიკაში ჩამთრია, რომლის მხოლოდ თავისი ნაწილი მერე ცალკე წიგნადაც გამოუცია. მაშინ კიდევ ერთხელ აივსო ჩემი დრო და სივრცე ილია ჭავჭავაძით, კიდევ ერთხელ გადავხედე ცალკე ჩემს ნაწერებს თუ ჩანაწერებს და ცალკე — სხვისას. ეს ჩემს სახლში ხდებოდა, რუსთაველის 42 უკვე გაყიდული იყო. იმ თვეებში ილიას ცხოვრების ბოლო წლები და საზარელი მკვლელობის ამბებს ვიყავი ჩაღრმავებული.

ასე რომ, ეს სურათი (ილია ჭავჭავაძე, მსხვილი პლანით. პლანებში ჩამდგარი. სასხლავით ხელში.) სახლში უნდა მეძებნა. მაგრამ როგორია ჩემს სახლში წიგნის მოძებნა! რაიმე წიგნს რომ დავისაჭიროებ და ნამდვილად ვიცი, შინ მიდევს, მაინც ბიბლიოთეკაში მივდივარ ხოლმე — დროც ნაკლები მეხარჯება და ენერჯიაც. მაგრამ რომ არ ვიცოდი, რომელი წიგნი უნდა მეძებნა ან სახლში და ან ბიბლიოთეკაში? ილიაზე იმდენი წიგნი მაქვს, ვეჭვობ, რომელიმე ბიბლიოთეკას ჰქონდეს საჯაროს, უნივერსიტეტის, აკადემიისა და ალბათ გრემპაშვილის გარდა.

ალაღბედზე დავინყე თაროების თვალიერება. სადაც რა შემხვდა ილიაზე, ყველაფერი ჩამოვალაგე. მისტიკაა, აბა რა არის: ის იყო, მაგიდას ვათავისუფლებდი საამწიგნებოდ და თივაში ნემსის საძებნელად ვემზადებოდი, რომ კიდევ ერთი წიგნი შემეფეთა. მჯერა ასეთი რამეების და პირველად ის წიგნი გადავშალე. როსტომ ჩხეიძის მიერ სამართლიანად ნაქები ზაქარია ჭიჭინაძის ერთი ნასხლავის, ალექსანდრე სიგუას ბროშურა იყო — „ვინ



მოკლა ილია ჭავჭავაძე“, 1991 წელს გამოცემული „მერანის“ მიერ. გასულ დეკემბერს სიგუასავე წიგნი დამჭირდა გიორგი ნიკოლაძეზე და, ჩანს, ის რომ გადმოვიდე, ესეც იქვე იდო ახლომახლო და მას გადამოჰყვა.

ზერელედ გადავთვალე, ცერა თითით რომ დაფურცლავენ ხოლმე წიგნს, ისე, და გამიხარდა: თავის დროზე, ნაკითხვისას, მარგინალიები მიკეთებია. მარგინალიებთან წიგნში კი მუდამ ადვილია ოდესღაც ნაკითხულის და დავინყებულის მიგნება.

და აბა! 24-ე გვერდზე ფანქრით მომინიშნავს ორიოდ აბზაცი და მიმინერია: „შდრ. მოხუცი მამა სასხლავით ხელში.“

დღემული მასწავლებლის დავით კობიაშვილის ნაამბობი ჩაუწერია საშა სიგუას, როცა მასალებს აგროვებდა ილიას მკვლელობის შესახებ გასული საუკუნის 30-იან წლებში.

აქ არის სწორედ ის სურათი: ილია ჭავჭავაძე. მსხვილი პლანით. პლანებში ჩამდგარი. სასხლავით ხელში. სულ ტყუილად მომიქუჩებია ეს ამდენი წიგნი!

ჰოდა, თქვენც შდრ., ძვირფასო გალაკტიონოლოგებო, დავით კობიაშვილის ნაამბობი იმ სურათს:

— ერთხელ ილიას ვეხმარებოდი ვენახის გასხვლაში, — თქვა კობიაშვილმა, — ილიამ თან წამოიღო გასაშლელი სკამი და ჩვენს ახლოს დაჯდა, დიდხანს მიყურებდა, შემდეგ თვითონაც აიღო სასხლავი და შეუდგა ვენახის გასხვლას, — განა მართლ თქვენ იცით ვენახის გასხვლა.

— საქმე ის არის, ბატონო ილია, რომ უვარგისი ამოარჩიით, თორემ გამხმარს ყველა შეარჩევს-მეთქი, ვუთხარი ილიას. მან გაბრწყინებული თვალებით შემომხედა, ამოიღო ოქროს ხუთმანეთიანი და მაჩუქა.

აი ასე! ეს სურათი მანვალედა ახლით ახალი წლიდან ძველით შობამდე.

პაატა ნაცვლიშვილი

მოხუცი მამა სასხლავით ხელში

მართლა ძნელი წარმოსადგენია ილია ჭავჭავაძე ვენახში სასხლავით ხელში, მსხვილი პლანით, პლანებში ჩამდგარი, გინდა მთელი ალაზნის ველი წარმოიდგინე და გინდა კონკრეტულად ყვარელი თავისი უკიდევანო ვენახებით.

ილია უწინ კალმით, წიგნით, გაზეთით, ღვინის ჭიქით, პაპიროსით, საანგარიშო ჩოთქით, კამათლებით ან ბანქოს დასტით შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა.

თუმცა ვენახები ჰქონდა, როგორ არა, რომელი მევენახე ილია იყო ან ვის უნახავს თავადი სასხლავით ხელში დადიოდეს პლანებში და ვახსა სხლავდეს?!

შეიძლება, ეს სულაც ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ილიამ სასხლავს მოჰკიდა ხელი!

მამ საიდან მოიტანა გალაკტიონმა ეს „სასხლავი“?

საქმეც ეს არის! გენიალურმა პოეტმა იმ თავის განთქმულ ლექსში უზუსტესი სიმბოლო მოძებნა ილიაზე მისაწინებლად! აბა მართლა კალამს ხომ არ დააჭერინებდა ხელში, ან საანგარიშო ჩოთქს, ან ლირასა თუ ქანარს?

ხოლო დუშელ მასწავლებელს მემუარისტის უტყუარი ალლო და თვითნაბადი ბელეტრისტის უნარი აღმოაჩნდა.

აქაც ერთი ხელის გაკვრა და სათაურ-ილაა საჭირო, რომ მზამზარეული მინიატურა შეგვჩრჩეს ხელში.

გამოუცდელმა და საქმეში ღრმად ჩაუხედავმა მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ გალაკტიონისეული „იმაგინაციური ხატი“ დავით კობიაშვილის ამ მონათხრობით საზრდოობს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით — დუშელი მასწავლებლის ნაამბობი ლექსის შექმნიდან მთელი 20 წლის შემდეგ არის ჩანერგილი.

თანაც, ეს ჩანაწერი 1991 წლამდე არ გამოქვეყნებულა. თუმცა გალაკტიონს იგი შეიძლება როგორღაც მაინც ნაკითხა ხელნაწერში, თუნდაც თავისი ცოლისძმების მეშვეობით, რომელთაც ალბათ მიესვლებოდათ კოტე გორდელაძესთან, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენ-

ტრალური კომიტეტის ყოფილ მდივანთან, რომელიც საიმდროოდ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილედ ჩამოქვეითებინათ. სწორედ მისთვის დავეალებინა ილიას მკვლელობაზე წიგნის მოზადება ლავრენტი ბერიას, ვისაც, თავის მხრივ, ეს დავალება სტალინისგან მიეღო, როგორც ჩანს, ფილიპე მახარაძესა და სერგო ორჯონიკიძეზე კომპრომატების გამოვლენის მიზნით. კოტე გორდელაძე კი, გა-რა-იხსენებდა საშა სიგუას მუშაკობის ამბავს, დამხმარედ მოუხმობდა მას და ისიც მის მიერ ნაგროვებ მასალებს სრულად გადასცემდა, თუმცა ბერიას გორდელაძის წიგნი არ მოეწონებოდა და არც დააბეჭდვინებდა.

შეიძლება, — ვიმეორებ, — გალაკტიონ ტაბიძემ მართლა ნახა იმ წიგნის ხელნაწერი, მაგრამ თუ ეს მართლა ასე მოხდა, პოეტისთვის კობიაშვილის ნაამბობში ახალი არაფერი იქნებოდა, თავისი უკიდევანო ფანტაზიისა თუ პოეტური ალლოს მორიგ დადასტურებდა ჩათვლიდა, ალბათ მისებურად ჩაიცინებდა და თავის თავს შეუძახებდა:

— ყოჩაღ, გალაკტიონ! მართლაც, ყოჩაღ, გალაკტიონ! ეს „სასხლავი“ მაინც რამ მოგაფიქრა, შე მადლიანო!

გენიოსმა თავის წარმოსახვაში ასე მკაფიოდ დაინახა ის სურათი, რომელიც რეალურად ცოტა ვინმეს თუ ენახა და რომელიც პირველად იმ პოეტური წარმოსახვიდან 20 წლის შემდეგ აღწერა ერთმა იშვიათმა თვითმხილველთაგანმა.

თუ ოდესმე ვისმეს გამოადგება, დაე, ამ მოგონების გალაკტიონოლოგიაში შემოტანა იყოს ჩემი მცირეოდენი წვლილი ფილოლოგიური მეცნიერების ამ ახალ დარგში.

გალაკტიონმა ხომ იმ თავის ცნობილ ლექსში ფაქტობრივად დუშელი მასწავლებლის მოგონება იწინასწარმეტყველა, რაღაც სასწაულით მისი დანახული დაინახა და ჩვენც დავგანახა.

მოხუცი მამა სასხლავით ხელში. მისი მამა. ჩვენი მამა. ერის მამა. მსხვილი პლანით. პლანებში ჩამდგარი. სასხლავით ხელში. გამხმარისა და უვარგისის გამომხმირველი.

აბა, იმან იცოდა თუ იცოდა ვენახის გასხვლა!

და ვენახის მოვლა. და ვენახის პატრონობა. კარგი მამა იყო!

გენო კალანდია  
საგალობლები უფლისთვის



\*\*\*  
უფალო, მარტის, აპრილის თვეში  
ჰგავს ერთ მდინარეს მცხეთასთან მტკვარი,  
დგას შუაწყალში გაშლილი პეშვით  
ნათლისმცემელი და სველი კვართი

ხახახებს, როგორც წვიმაში ვარდი,  
მალე ძე ღვთისა, — ლალი და მშვიდი, —  
მიეახლება წიგნით და სანთლით  
და განათდება ცა ოთხი კიდით.

\*\*\*  
უფალო, ვარდში, იაში ვეძებ  
ბავშვის, ქალწულის ნამიან თვალებს,  
მზე ინვის თითქო დედაოს კეცზე  
ხობის კვერცხით და ცხელა გარეთ.

სამრეკლოს ჩრდილში ღუღუნებს მტრედი,  
ვით ანგელოზის უმანკო სული,  
ტაძრიდან ნელა გამოდის მრევლი  
კაბების ალით და შარიშურით.

\*\*\*  
უფალო, ყვავთა, ყორანთა ყრანტალს  
მუდამ მერჩია გალობა შაშვის,  
ძალეყურძენას და უდაბნოს მაყვალს —  
ლოყანითელი მაისის ვაშლი,

გუგულის გუ-გუს — ბულბულის ყეფა,  
ჩაფიძის კოკას — ვაჩნაძის ჩაფი...  
ამომიქარგა თვალეზში სევდა  
დედამ, როდესაც ამქვეყნად გაგჩნდი.

\*\*\*  
უფალო, პურის ოქროსფერ მარცვალს —  
რძე და მირონი მოჟონავს ერთად,  
ხომ ვიქნებოდი უბრალოდ ცოდვა,  
რომ არ მეხილა ეს ჟრჟოლა ქვეყნად?!

ჭალას — ოქსინოს მთრთოლვარე კაბას —  
მზე და გიშერი ანათებს ერთად,  
ხომ ვიქნებოდი, უფალო, ობლად,  
შენ და იესო არ იყოთ ქვეყნად?!

\*\*\*  
უფალო, წმინდა ბარბარეს ეკედერს  
ორი ფრთა ჰქონდა, ერთი მზე წვევდა...  
და მწვანე ნაძვი ბაგადას ქედზე  
აფახულებდა ვერცხლისფერ წამწამს.

ზემორე სოფლის ჯანმაცარ ბიჭებს  
მიჰქონდათ მხრებით ნიშნობის მთვარე,  
ტყე გირჩებივით მალავდა ჩიტებს,  
შემოდოდა აგვისტოს ღამე.

\*\*\*  
უფალო, მუმლი ეხვევა მუხას,  
ავად მყეფართა მრავლდება რიცხვი  
და საქართველოს — მაცხოვრის სურათს —  
წყალი ჟონავს და მიშრება პირი.

ხელმოცარული კაცივით ვდგავარ  
მეტეხის კართან თუ ალაყაფთან...  
და მაინც მისთვის ვაგროვებ ქარვას,  
ფუტკრის გოლეულს და პურის თავთავს.

\*\*\*  
უფალო, წუხელ წვიმა და წვიმდა,  
ატკაცუნებდა ცა ვარდის შოლტებს,  
ღვთის ანგელოზი — პატარა სიდე —  
კრავივით უკან მიჰყვება მშობელს.

ლოცულობს დედა, ლოცულობს შვილი, —  
საწუთროს ორი უმანკო გული,  
თრთის და კანკალებს სანთელი ცვილის, —  
ღვთისა და მრევლის მარადი სული.

\*\*\*  
უფალო, ცრემლი მისველებს თვალებს,  
ყოველდღე დარდით, ნაღველით ვკვდები...  
მომავონდება ერცახუს მთვარე,  
ერკემლები და კაჭიჭის ჩხები.

დილიდან ვერცხლის ჩანჩქერთან ვზივართ  
მე და ოცი წლის ანტიცა სმირი...  
გამახსენდება ბზიფი და რინა  
და ღამლამობით ბაღლივით ვტირი.

\*\*\*  
უფალო, დილა იწყება ლოცვით,  
საკურთხეველთან გაშლილი წიგნით,  
მკერდზე ამბორით და ხელზე კოცნით,  
შენზე, მამულზე, ძეკაცზე ფიქრით.

მახარობელი კარებთან დგება  
წმინდა დემეტრეს ძვირფასი ჯვართ...  
და მე მდიდარი ძონით და ვარდით  
გიახლოვდები ტანჯული ჯამით.

\*\*\*  
უფალო, მზე რომ გადადის დიდგორს  
და დიდი ქედი რომ ჰგავს ალოეს,  
ჩვენი ძისა და მამის არ იყოს,  
ვოცნებობ ახალ საქართველოზე.

ვიგონებ ნიჩბის... და მეფის კარავს,  
მეფის სპას, მეფის ყმას და ახლობელს,  
ჩვენი ძისა და წინაპრის დარად,  
ვოცნებობ ახალ საქართველოზე.

\*\*\*  
უფალო, წვიმას აპირებს ისევ,  
თებრონეს წყალზე გაუტყდა კოკა,  
გავარდა მეხი... განათდა მყისვე  
და ელვამ ღრუბელს დაუნყო კოცნა.

ლალით, აღმასით გაივსო ტბორი,  
ლეღე, მდინარე და სოფლის ერდო,  
ამდენი ვერცხლი, მარჯანი, ბროლი,  
მე არ მინახავს აღარსად, ღმერთო?!

\*\*\*  
უფალო, გემი მოადგა ნაპირს,  
უცხო და შორი, ვით ზღვების მუზა,  
დაკეცა ფრთები — ნაგვემი ქარით,  
მონეტასავით ჩაუშვა ლუზა.

მეზღვარები ფორთოხლებს ჰგვანან  
გავარვარებულ ზაფხულის ბინდში,  
ბანქოს შლიან და ხარშავენ ყავას  
ხუან რამონი და ქეთრის სიდი.

\*\*\*  
უფალო, ლამის ავფრინდე ცაში  
და მოგეახლო კრძალვით და ლოცვით,  
ისე ჭახჭახებს ქვაშიხორს შაშვი,  
თითქო მაცხოვრის გაშალეს ძონი

ზეთისხილების და ბზების წიად  
ანგელოზებმა... და მთელი მრევლი, —  
წყაროს წყალივით სუფთა და ღია,  
მზეს ეგებება ჩემსავით ცრემლით.

\*\*\*  
უფალო, მთვარე ანათებს ფანჯრებს,  
ვით ანდუყაფარ ვაჩნაძის ქალი,  
ცამ გადაიხსნა სისხამზე მაჯა  
დეზებიანი მამლების ბნკალით.

საგალობელი უხდება საყდარს,  
ვით სილაჟვარდე ვაჩნაძის დიაცს...  
და ჩუმად ვდგავარ ცეცხლთან და წყალთან...  
და ერთდროულად მცხელა და მცივა.

\*\*\*  
უფალო, დილის ფსალმუნი იყო,  
რომ შრიანებდა მდინარის დარად,  
მზე ანათებდა წმინდანის ქიტონს,  
მეფის საკარცხულს და მწყემსის კარავს.

მთელი სამყარო მღეროდა თითქო,  
ჯვრების, ხატების მენამულ ფონზე...  
დღე არის თბილი და ფერი თრემლის  
ჩრდილივით ადგას მრევლს და ამბიონს.

\*\*\*  
უფალო, წმინდა შაბათი მოდის  
და ფართოდ ვალეზ მონასტრის კარებს,  
ნოხივით ბზინავს ბალი და კორდი  
კიპარისებთან და ბალის გარეთ

ანათებს, როგორც მაცხოვრის სურა  
ნათლითმოსილი მოძღვარი შენი,  
სემირამიდას ვარდევით სუნთქავს  
ტაძრის ეზოში კრავი და შველი.

\*\*\*  
უფალო, უკვე აცივდა სოფლად,  
მინანქარვით ციმციმებს ბალი  
და ხეებს თოვლის ჰკიდიან თოფრად,  
ვერცხლის ჭაღები და შენი სახლი

ბერ-მონაზვნების გალობით თბება,  
გულთამხილავი ანათებს საყდარს,  
ვით იდუმალი ალი და შვება,  
ვით ამაღლება და ტფილი განცდა!

\*\*\*  
*ფეხი დამადგით,  
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან...  
ანა კალანდია*

უფალო, გულზე დაადგეს ფეხი  
ოდიშს — ქართული ხერხემლის მალას,  
ვით ფარ-შიმშურით დაჭრილი ვეფხი,  
ყველა ჭრილობას და ნაღველს მალავს.

გრიგალდაკრული ბებერი გული  
ანდამატივით უბეში უდევს...  
რაც უნდა ტანჯონ, რაც უნდა გვემონ,  
სულ ქართულია იმისი ფუძე.

\*\*\*  
უფალო, მზეში, ნათელში გნახე,  
შენი ძის დიდი დღეობა იყო...  
სამოთხის უცხო ყვავილებს ჰგავდნენ  
ანგელოზები და შაშვის რიყე.

ასი ათასი წმინდანის სახელს,  
თეთრი ვარდევით ფურცლავდა ბაგით...  
და მწუხრის ზარი — მკვეთრი და მჭახე  
მტკვარს ჩამოჰქონდა მეტეხის ბალით.

\*\*\*  
უფალო, თვალი მიჭირავს ცისკენ, —  
იქ მეგულება ხატება შენი,  
ვით ბიბლიური ფერი და სიბრძნე,  
ყოველისშემქმელის სახელი გშვენის.

მე შენი სახლის მეკვლე და მნათე, —  
ქადაგი ყოველად კარგის და წმიდის,  
მიყვარხარ, როგორც მიყვარდი ადრე,  
ვაზის რქასავით უკვდავი წიგნით.

\*\*\*  
უფალო, მახსოვს დედაოს ცრემლი,  
მზე ჩადის... და კვლავ ლურჯდება ჰავა,  
გაჩენის დღიდან ქართული ზეცის  
ვარსკვლავთმრიცხველად გამზარდა მამამ.

მოლაღურივით შემისვა მხრებზე  
სალამურით და ფარვანას ფრთებით...  
მას შემდეგ ვფიქრობ ქართველთა ბედზე,  
შეძრწუნებულნი სამშობლოს ბედით.

\*\*\*  
უფალო, იის ღილ-კილოებით  
აქ ერთი რუსის დიაცი მოდის,  
როგორც მოლაღურს ნახატი ფრთები,  
როგორც მდინარეს ტირიფის ბონდი,

უხდება უცხო ყვავილის კაბა,  
მზეჩაფენილი ფირუზის ქვებით...  
უფალო, რა ვქნა, რა გითხრა, აბა,  
როცა ისედაც ყველაფერს ხვდები?!

\*\*\*  
*მხატვარ ჭოლა კუკულაძის ხსოვნას*

უფალო, კაცი გაექცა თბილისს,  
ვაი ჭკუისგან ნახევრად მუნჯი,  
მოჰაჯირივით საკუთარ სახლ-კარს  
მიადგა თეთრი დროშით და ფუნჯით.

სვენებ-სვენებით ავიდა ბანზე  
და მშობლიური გაშალა დროშა,  
ესროლეს... შუბლით შეასკდა კედელს,  
ბაგეზე წითლად შეაწყდა ლოცვა.

\*\*\*  
 უფალო, წმინდა წერილის მადლით, —  
 ძისა და კაცის ნათელში ვსახლობ,  
 ვლოცულობ დღისით, ვლოცულობ ღამით  
 შაშვების ტყეში, — შუამთის ახლოს.

შაშვების ტყეში ვკითხულობ საბას,  
 მცოცხა და მტკიცია... და ტანში მტეხავს...  
 და ვკოცნი ქართულ სიტყვას და ანბანს, —  
 ქართული მინის ღვთაებრივ ვენახს.

\*\*\*  
 უფალო, მეფის ბჭემალალ ციხეს  
 ჯაჭვის პერანგი უხდება ისე,  
 ვით ოქროს დიდი ზოდი საირხეს,  
 ვით ყელსაკიდი დედოფლის კისერს.

გალავნის ირგვლივ — გუგუნი მძლავრი,  
 აიეტის და გუბაზის კაცთა,  
 გამარჯვებული ბრძოლებში ჯარი,  
 აღლუმი სპათა და საესავთა.

\*\*\*  
 უფალო, ზღვიდან ბრუნდება მამა,  
 ქარივით უკან მოჰყვება ზვითი,  
 გახედავს ცარგვალს — კარსმომდგარ ზამთარს  
 და გვთხოვს წყალობას ოჯახზე ფიქრით.

ვარსკვლავებით ამოყრის თევზებს  
 ზღვის ღრუბელივით სავსე ბადედან,  
 დგას დედაჩემი — პირბადრი მთვარე  
 და გაფურჩქნილი განთიადივით.

\*\*\*  
 უფალო, ქართლის ზემორე სოფელს,  
 ორი ლამაზი დედაო სტუმრობს,  
 თითქო იები ამოდის თოვლში,  
 თითქო საყდარში შემოდის სურო.

გალობს, ლოცულობს ვით ორი გვრიტი,  
 ორი დედაო ზემორე სოფელს,  
 რა დიადია იმათი გვრინი,  
 რა ლამაზია პატარა ფრონე?!

\*\*\*  
 უფალო, შენი დიადი ნებით  
 ხვალ ისრაელი დატოვებს მისრეთს,  
 დატოვებს მინას — მისწური ფრთებით,  
 ნილოსის ნისლეებს — მოჰამულთ ცისებრ.

ეჰ, უკან რჩება წყალუხვი ქები,  
 თაფლი და ბრინჯი საყრელად რჯულზე...  
 და თიკნებით მშვიერი დები  
 ხეებს ფურცლავენ, ვით ვარდის ბურქებს.

\*\*\*  
 უფალო, მცხეთას ვიყავი წუხელ,  
 ვხედავდი, როგორ თოვდა და წვიმდა...  
 ვხედავდი, როგორ კოცნიდა ხუცესს  
 თოვლის ასული — ქალწული წმინდა.

თეთრი მარჯანი შვენოდა მცხეთას,  
 ვით თეთრი კვართი მაცხოვარს ჩემსას,  
 მე მქონდა მინა, მე მქონდა ზეცა,  
 მე ბედნიერი ვიყავი თქვენთან.

\*\*\*  
 უფალო, ჩემი მამიდა იყო, —  
 ულამაზესი ქალი და დედა,  
 სუსხით დამზრალი ატმის რტოსავით  
 გამოაყარა სახეზე სევდამ.

ოქროს ნაპირზე ღალატით მოკლეს  
 მამაჩემი და მსახური მისი,  
 მე გულმოკლული ვიდექი კორდზე  
 და შებლაოდა ზესკნელს ფაზისი.

\*\*\*  
 უფალო, ორი არავის წყალი —  
 თეთრი ნისლივით მოცურავს თავქვე,  
 ვით განთიადის გამსკდარი წარბი,  
 ცისკრის ვარსკვლავი ციმციმებს წყალზე.

რძე და მირონი მოჰნავს ერთად,  
 მზე ერისთავის სასახლეს უვლის...  
 დილიდან ტანზე იზომავს ბექთარს  
 და მერე აღმართს მიჰყვება თუში.

\*\*\*  
 უფალო, ჩემი სული და ხორცი  
 ჰგავს შემოდგომის მენამულ სურას,  
 დედაჩემივით მიყვარს და ვკოცნი  
 საკურთხეველში ღვთისმშობლის სურათს.

ისეთი შვება ვიგრძენი უცებ,  
 თითქო გამეხსნა სამოთხის კარი,  
 ვლოცულობ შენზე და ქრისტეს სჯულზე  
 განათებული ნათლობის კვარით.

\*\*\*  
*იური ანუას ხსოვნას*

უფალო, ოდეს აფხაზურ სოფელს, —  
 ბზიფის ქედით ზვიადს და ლომფერს,  
 ყელზე გალობით კიდედნენ მძივებს  
 ის და პოეტი ასთამურ ძიბა,

შქერში, ვარდებში გაჩრილი მთვარე  
 ასლან-გირეის ეგონათ ხმალი...  
 ის, თურმე, ვერცხლის ჩანჩქერთან მოკლეს,  
 ასთამურს ზღვაზე გამოჭრეს ყელი.

\*\*\*  
 უფალო, ისევ განვიმდა მცხეთას,  
 ისევ გაენთო ღრუბელი ღრუბელს,  
 შავი ვარდით გალუმპულ მერცხალს  
 ვერ უპოვია თავისი ბუდე.

საბრალო მერცხლის ჩივილს და მოთქმას,  
 ჩიტების ჭრელი ჭივჭავი ფარავს...  
 და მთელი დამე გუგუნებს ქარი  
 წმინდა სვეტის და არმაზის კარად.

\*\*\*  
 უფალო, კარგი გოგოა ლელი,  
 ოქროსხალეა, ფრთამალი გედი,  
 თუნგივით გრძელი, მაღალი ყელით,  
 თასივით სავსე მზიანი მკერდით.

ისე ღირსებით უკიდებს სანთელს,  
 ისე წარწარად მოდის და მიდის,  
 მზად ვარ ვიყვირო კორნელის ხმაზე, —  
 აი, თბილისის პირველი სიდი!

\*\*\*  
 უფალო, მეფე ვახტანგის საფლავს  
 ფარ-მუზარადი ანათებს დღემდე...  
 მეფის სპას, მეფის უძლეველ ლაშქარს  
 იგონებს მრევლი დიდი ხნის შემდეგ.

მარჯი მამულის ნებას და იღბალს,  
 მარჯი ვახტანგის გადახდილ ომებს...  
 სარკოფაგიდან ამოდის იგი,  
 რომ ისევ შენთვის ომებში მოკვდეს.

\*\*\*  
 უფალო, ბზის და ალუბლის ტოტით  
 იწყება დიდი სინათლის კვირა,  
 მალე, ო, მალე აღდგომა მოდის, —  
 ნუშის გულივით კამკამა დილა.

შენი ძის ნებით ლოცულობს მრევლი,  
 ლოცულობს მღვდელი, მეუფე, მნათი,  
 და ვაშლის ფიფქი, ვით მრევლის ცრემლი,  
 ქარებს გადააქვს სამრეკლოს თავზე.

\*\*\*  
 უფალო, შაშვებს ვენდობი ისევ,  
 შაშვია ჩემი პირველი მუზა, —  
 დილიდან სოფლის ბიჭივით უსტვენს,  
 გიმნაზიელის უხდება ბლუზა.

გადაფრინდება ტოტიდან ტოტზე  
 და ნისკარტს გახსნის, როგორც ზარდახშას, —  
 ამოალაგებს ჰანგებს და ნოტებს...  
 და მე გულალმა ვნევიარ ბალახში.

\*\*\*  
 უფალო, ჩემი სევდა და დარდი, —  
 ჩემი მთავარი ჯვარი და ნიშა...  
 იქნებ დედაჩემს ანუხებს ხვატი,  
 მე აქ თბილისის გრილოში მძინავს.

იქნებ ნაიქცა სამარის კართან  
 და მუხლისთავი გაუტყდა ბედად...  
 აი, გამოვციდი გამზრდელის კარავს  
 და სადაცაა ვიქნებით ერთად.

\*\*\*  
*ხათუნა ქურდულის ხსოვნას*

უფალო, მინდვრის გვირილას ჰგავდა,  
 ჩამავალი მზის ნათელით დაღლილს,  
 ის მიყვებოდა რუსთველის გამზირს  
 ზღვის ყვავილივით პატარა ჩანთით.

წავიდა, გაქრა, გაუჩინარდა, —  
 ბედდაწყველილი დია ჩემი,  
 ის ზემო ბზიფის გვირილას ჰგავდა  
 ფიქრით, ოცნებით და გულისცემით.

### გურამ ბათიაშვილი

# სახეები და სიტუაციები

დასასრული

არამედ მწერლის წარმოსახვის რაობით იზომება. საყ-  
 ოველთაოდ ცნობილია: წარმოსახვა არ არის და არც  
 შეიძლება იყოს ცაში გამოკიდებული, თითიდან გამო-  
 ნოვილი. წარმოსახვა სათავეს იღებს, ეყრდნობა ცოდ-  
 ნას, ინფორმაციას. თუ არა ამა თუ იმ მოვლენის,  
 პიროვნების, ფაქტების სრულყოფილი შესწავლა, წარ-  
 მოსახვა არა მხოლოდ კოჭლი, უსახური, უღიმღამო იქნე-  
 ბა.

მე მინახავს ის ქალაქი, რომელზეც ოთარ ჩხეიძე წერს  
 „დღიურებში.“ ნახვა ერთობ სასიამოვნოა, მაგრამ ვე-  
 რაფერი ბედენაა. იგი ძლიერ უნდა განიცადო და ისმის  
 კითხვა — რომლის განცდა უმჯობეს არს — ნანახი, რე-  
 ალურად არსებული ვენეციისა, თუ წარმოსახვით შეთხ-  
 ზული ვენეციისა.

ოთარ ჩხეიძე იმდენად პოეტურად გვიხატავს  
 ბაირონისდროინდელი ვენეციის არა ამათუიმ ნაგებო-  
 ბის განლაგებას, ემხსა, თუ ისტორიას, არამედ ქალაქის  
 სულიერებას. იმას, თუ რაგვარ სულიერებას განაფენდა,  
 რა განწყობას ბადებდა ადამიანებში, რაგვარი გახლდათ  
 მისი რაობა, რომ ძალიან ძნელია მკითხველმა მის მიერ  
 წარმოსახულ ქალაქში ნება-ნება არ იაროს: „ვენეცია  
 თვითონვე გადაფაფხულიყო უამრავ კუნძულზედა უამ-  
 რავივე დიდებული სასახლითა თუ ტაძრით დაემშვენე-  
 ბინა ის პატარ-პატარა კუნძულები, წყალშივე ჩაეყუდე-  
 ბინა ტაძარნი იგი თუ სასახლენი. და წყალი გაეხადა ქუ-  
 ჩებადა. შიგნით კუნძულებს ვინრო ქუჩებიც ჩასდევნე-  
 ბოდა, ძალიან ვინროცა, კაცი კაცსაც რომ ვერ აუქცევ-  
 და.“



აქ სიტყვა „გადაფაფხულიყო“, ფრაზები „წყალშივე  
 ჩაეყუდებინა ტაძარნი“, „წყალი გაეხადა ქუჩებადა“ ქმ-  
 ნის ქალაქის იმ იერსახეს, რომელიც გარდა იმისა, რომ  
 გვარჩვენებს ვენეციის განუმეორებლობას, განსაკუთრე-  
 ბულობას, გვიდასტურებს მწერლის ოსტატობას — სი-  
 ტყვით გააცოცხლოს უსულო არსებანი, ისეთი სული  
 შთაბეროს მას, რომ დაუვინყარ მოგზაურობად გიქციოს.  
 მწერლის მიერ პოეტურად წარმოსახული ქალაქის  
 სტუმარი მეც გავხდი — ავტორს სიამოვნებით დაყვებ-  
 ბდი ვენეციის დაბა-ქუჩებში და თან მდევდა ფიქრი  
 „რაოდენ კარგად იცნობს ვენეციას.“ მერე მის ვაჟს —  
 როსტომ ჩხეიძეს ვკითხე კიდევ, ბატონი ოთარის ვენე-  
 ციაში ყოფნის თაობაზე რა იცი-მეთქი. ასეთი პასუხი  
 მივიღე: „როცა ეს ნიგნი დანერა, ვენეცია არ ენახა,  
 მოგვიანებით — 60-იან წლებში, ტურისტად იყო ხმელ-  
 თაშუა ზღვის ქვეყნებში. შესაძლოა, მაშინ ნახა ვენეცია.“  
 მეც ასე ვფიქრობ: ამ ტურნეს მონაწილეებს ვენეციას  
 უსათუოდ ანახებდნენ. მაგრამ ეს რაიმეს ცვლის? ნიგნი  
 ხომ მანამდე დაინერა.

ოთარ ჩხეიძემ ვენეცია დიდებულად აღწერა მანამ,  
 სანამ ვენეციას ნახავდა...

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ სვამს შემოქმედებითი პრო-  
 ცესის საკითხს. საუკუნის დამდეგს ესპანელმა დრამა-  
 ტურგმა ალექსანდრო კასონამ პიესაში „ხეები ზეზურად  
 კვდებიან“ დასვა სწორედ შემოქმედების ნაყოფისა და  
 რეალობის ურთიერთობის საკითხი: რა უმჯობეს არს —  
 სანახავად საამო, მომხიბლავი ხე, რომელიც სუნთქავს,  
 ჩრდილს მოგვცენს, თუ იგივე ხე, რომელიც ხელოვანმა  
 ტილოზე დიდებულად გადაიტანა.

ცოცხალი ხე ბერდება, შემდეგ კვდება, ჟამთა შემდეგ  
 აღარ იქნება — აი, ხელოვანის მიერ ტილოზე გადატა-  
 ნილი ხე კი ათასგზის დიდხანს ცოცხლობს, ჩრდილსაც  
 გვცნს და მხატვრის სიდიადეშიც გარწმუნებს.

ოთარ ჩხეიძე წარმოსახვით ქმნიდა ბაირონისდროინ-  
 დელი ეპოქის ვენეციის ხატებას, მაგრამ ზემოთაც ითქ-  
 ვა: წარმოსახვა არ არსებობს ფუნდამენტალური ცოდ-  
 ნის გარეშე, წარმოსახვით მხოლოდ მაშინ შეიძლება მი-  
 აღწიო წარმატებას, თუ კარგად შეისწავლე ის, რაც უნდა  
 წარმოისახო. წარმოსახვას ცოდნა აძლევს ფრთებს.

აი, ამიტომ იყო ვენეციაში მეორედ მოგზაურობა საინ-  
 ტერესო. დიდებული გახლდათ იმ პოეტური აღმაფრენ-  
 ით, რომელიც ოთარ ჩხეიძის ეს — ვენეციის — თავია  
 დაწერილი.

# მონატრეპული ავტორები

\*\*\*

მწერალთა სახლში უჩვეულო ხალხმრავლობა მუდამ განსაკუთრებული სტუმრის მანიშნებელია. ასე იყო იმ საღამოსაც, როცა მკითხველი მონატრეპული აკა მორჩილაძეს შეხვდა. შეხვედრის მიზეზი მისი ახალი წიგნის „მორჩილებული ზურმუხტის“ პრეზენტაცია გახდა. ნაწყვეტები რომანიდან სტუმრების ნაწილს უკვე მოსმენილი ჰქონდა, ჯერ კიდევ ივლისში მწერალთა სახლში ავტორმა თავად წაუკითხა შეკრებილთ. იყვნენ ისეთებიც, ვინც სრულად იცნობდა ნაწარმოებს, პრეზენტაციის დაწყებამდე ჯგუფ-ჯგუფად მდგარი მოსაუბრეებისგან გაიგონებდი, ასეთი ჯერ



არ დაუნერიაო. წიგნის მიმართ ინტერესზე მიუთითებდა ის გრძელი რიგიც, სტამბიდან ახალმოტანილი ცინცხალი ეგზემპლარების შეძენის მსურველებმა რომ დააყენეს. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ ახალი რომანის გარდა, მწერლის სხვა წიგნების შეძენის საშუალებაც მისცა საზოგადოებას. ასე რომ, დარბაზში უკვე დამძიმებული ჩანთებით იკავებდნენ ადგილს.

საღამოს უძღვებოდა მწერალი დათო ტურაშვილი, რომლის დიდი ხნის მეგობრობა აკა მორჩილაძესთან და დამოკიდებულება მისი შემოქმედების მიმართ ცნობილია. ივლისშიც, აკასთან შეხვედრისას, დათო გახლდათ მადერაქტორი. ამჟამად პრეზენტაციაზე იგი აკა მორჩილაძის გამოსახულებიანი მაისურით მოვიდა.

საღამო წიგნის წარდგინებით დაიწყო. ნაწყვანმა ძალზე საინტერესოდ ისაუბრა „მორჩილებული ზურმუხტზე“ და მწერლის შემოქმედებაზე, ზოგადად. ჩვენ არ ვართ ცოტანი, ვისაც ასე გვიყვარს აკა მორჩილაძის წიგნები, საქართველოში არც მეგულება ადამიანი, გულგრილი რომ იყოს მისი შემოქმედების მიმართ.

შემდეგ ავტორს სთხოვა ორიოდ სიტყვა ეთქვა ახალ რომანზე. ცოტა რამ მის შესახებ უკვე ცნობილი იყო — მაგალითად, მოქმედება 1911 წელს, საქართველოში რომ ხდებოდა, საქართველო დამოუკიდებელი სამეფო რომ არის, მეფე რომ ზანგია, ფოთის თბილისი რომ ჰქვია და თბილისს — ფოთი, დიდი ამბოხისა და სიყვარულის ისტორიას ოცდახუთამდე მთავარი პერსონაჟი რომ ანვითარებს, რომ იხოცებიან. იმგვარი სიუჟეტი, ისეთი თავგადასავლებია, მხოლოდ აკა მორჩილაძეს რომ შეიძლებოდა მოეგონებინაო, განაცხადა დათომ.

აკამ კი, წიგნზე დიდი ხანი ვფიქრობდი, მას ზამთარში ვწერდიო. თავიდან მეგონა ასი გვერდი იქნებოდა, მერე — ორასი, სამასი, და რომ აღარ დამთავრდა, დავხოცე ყველანი და დავამთავრეო. ხუმრობის გარეშე რომ ვიხარებო, ამოცანები ფორმებისა და ენის თვალსაზრისით უფრო მქონდა, ენობრივად ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, თორემ ამბავს რა გამოლევს საქართველოშიო.

შემდეგ კითხვების დასმის დროც დადგა. დათომ, აკასთან შეხვედრას ისე მონატრეპული ხარო, ალბათ უამრავი რამ გინდათ კითხოთო. მართლაც ასე იყო, გულში ალბათ ყველას წყურბოდა, მწერლისგან სწორედ ის მოესმინა, რაც თავად აინტერესებდა. თავიდან, უხერხულად იმპერსონალიზაციის, აქა-იქ მორიდებულად განსმარდენივით შეკითხვა. თუმცა მერე და მერე გამოცოცხლდა დარბაზი და გამო-

აჩინა ცოდნა მწერლის შემოქმედების. იხსენებდნენ ნაწარმოებებს, პერსონაჟებს და ნიღბის განმავლობაში დაგროვილს ახლა ეკითხებოდნენ. იყვნენ ისეთებიც, ბოლომდე რომ ვერ ჩაებნენ საჯარო კითხვა-პასუხში და წერილობით ამჯობინეს მწერალთან ურთიერთობა, ბევრი ნაწყვანს მოხილურითაც უგზავნიდა სმს-შეკითხვებს. შეიძლება ითქვას, დარბაზმა სრულად დაიკმაყოფილა ინტერესი, ის კი არა, ფეხბურთისა და მწერლობას შორის მსგავსებასა და განსხვავებაზეც მოისმინა მწერლის აზრი. შეხვედრის ბოლოს ახალ წიგნზე ავტორის ხელმოწერის მსურველთა გრძელი რიგი დადგა. ცხადია, ის ძალიან პირობითი რიგი იყო, სინამდვილეში აკა მორჩილაძის გარშემო შემოჯარული მკითხველი, გადაშლილი წიგნებით ხელში ცდილობდა, როგორმე სწრაფად მიეღწია ავტორამდე.

\*\*\*

კიდევ ერთმა განსაკუთრებულმა სტუმარმა უამრავ თავყვანისმცემელს მოუყარა თავი მწერალთა სახლში. ეთერ თათარაიძის შემოქმედებითი საღამო ამ შენობაში არასოდეს გამართულა, პირიქით, მრავალი წლის წინ, პოეტი გოგონა აცრემლებული გაეცალა მარაბლის ქუჩას. მას მერე დიდი ხანი გავიდა და ახლა ეთერ თათარაიძე ყვავილების თავიგულეში ჩაკარგული იდგა სავსე დარბაზში და მისი მოკრძალებული „გმადლობო, ჩემო კარგებო“ ძლივს ისმოდა ხმამაღალ აპლოდისმენტებში.



იქვე გამოფენილი იყო მისი წიგნები, პირველ რიგში პოეტური კრებულები, ამოცემული დიდი ინტერვალებით და ასეთი საყვარელი მკითხველისთვის. ასევე — მხატვრულ ლიტერატურაზე არანაკლებ ღირებული და მნიშვნელოვანი გამოცემები, რომელიც ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს ეძღვნება და რომელზეც ცხოვრების უმეტესი ნაწილი, მეუღლესთან, ამირან არაბულთან ერთად უმუშავია: „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“ — ვაჟა-ფშაველას შვილის, გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი, „აღათო“ — ოცი წლის განმავლობაში ნაგროვები მასალის საფუძველზე აკინძული თუში ქალის სამიჯნურო ისტორია, რომანივით რომ იკითხება და „შენდობით მომისხენიეთ“ — უძველესი ქართული საფლავების ქვათა მონატრეპულობასა და წარწერებზე შექმნილი წიგნი-ალბომი, ლიტერატურული პრემია „საბა“ რომ მიენიჭა.

შეხვედრას გიორგი ლობჯანიძე გაუძღვა. მწერალთა სახლის დირექტორის, ნატა ლომოურის გულთბილი მისალმების შემდეგ პირველი გამოსვლაც — პოეტის, ქართული ფოლკლორის დიდი მოღვაწისა და გულთბილი მეგობრის შესახებ — სწორედ გიორგისა იყო. შემდეგ სთხოვა, საღამო ლექსებით დაიწყო. და ქალბატონმა ეთერმაც დაიწყო კითხვა. ისე ლელავდა, როგორც მრავალი წლის წინ ფილარმონიაში, ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ ორგანიზებულ ხალხური პოეზიის ერთ-ერთ საღამოზე პირველი საჯარო გამოსვლისას. ყველა ლექსს ტაში მოსდევდა. ნუ უკრავთ, ვიბნევიო, მაგრამ არ უგონებდნენ.

დროდადრო შეისვენებდა ხოლმე და სხვას უთმობდა სიტყვას. „ეთეროსთან“ მისალმების, მასთან საუბრის სურვილი დამსწრეთაგან არაერთმა გამოთქვა. მათ შორის იყო ცაცო კოტეტიშვილი, რომელმაც ხანგრძლივად ისაუბრა სწორედ ფოლკლორისტიკაში ეთერ თათარაიძის სამეცნიერო ღვაწლზე და მაღლიერებით გაიხსენა ქართული ფოლკლორისტიკის ფუძემდებლის, ვახტანგ კოტეტიშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, რომლის სულისჩამდგმელი და მოთავეები იყვნენ ქალბატონი ეთერი და ბატონი ამირანი და რომელიც წლების განმავლობაში პირველად აღინიშნა ასე მასშტაბურად და ღირსეულად.

ყველას უღევად ჰქონდა სათქმელი. გამომსვლელებმა ეთერ თათარაიძეზე დიდხანს ისაუბრეს, თითოეული თავისებურად ხატავდა პორტრეტს ლირიკოსისას, მწერლისას, მეგობრისას, თავისი კუთხის ერთგული შვილისას. პოეტმა ტარიელ ხარხელაურმა კი ერთი სიტყვით თქვა ყველას სათქმელი: ეთერი ლამის ერთადერთი ქართველი პოეტია, რომელმაც გაამთლიანა წარსული და დღევანდელი და მისი მზერა მომავალსაც გადასწვდებო.

საღამო კიდევ უფრო გაამდიდრა ლელა თათარაიძისა და მანანა მენაბდის მიერ ეთერ თათარაიძის ლექსებზე შექმნილმა, თუმცა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულმა სიმღერებმა.

\*\*\*

გაგა ნახუცრიშვილის ახალ კრებულს „ორი ათას 13“ ჰქვია. იგი გამომცემლობა „სიესტამ“ გამოსცა. ავტორმა და გამომცემელმა წიგნი მკითხველს მწერალთა სახლში წარუდგინეს.

წიგნს ასე იმიტომ ჰქვია, რომ მასში მხოლოდ 2013 წელს დაწერილი ლექსებია შესული. „ისე მოხდა, რომ ვიმუშავე ბევრი და, როგორც ჩვენთან უყვართ ხოლმე თქმა, პოეტური კრებულის სახე მიიღო. დიდი მადლობა „სიესტამს“, დიდი მადლობა გაგა ლომიძეს, წიგნის რედაქტორს, დათო მახათაძეს, რომელიც ტექნიკური რედაქტორია გამომცემისა, მწერალთა სახლს, რომელმაც გვიმასპინძლა და თქვენ ყველას, რომ არ დაიზარეთ და მოზრძანდით. ამ წიგნით თითქოს ღრმა ახალგაზრდობას, ახალგაზრდობისდროინდელ ლექსებს დავუბრუნდი, თითქოს არის რაღაც, ხიდივით, კრებულში შესულ ლექსებსა და ძველ ლექსებს შორის. ასეთი შეგრძნება, ამ წიგნმა რომ დამიტოვა, არასდროს მქონია. რაღაცები გავიხსენე, რაღაცებს გადავხედე და მივხვდი, რომ დრო იყო, გამომეცა 2013 წელს დაწერილი ლექსები ამავე სათაურით“, — განაცხადა ავტორმა.



პირველ ლექსს, რომელიც წაიკითხა, „წერილი“ ერქვა, მას „მთქმელი“ მოჰყვა. არაჩვეულებრივი, კარგი ლექსები მოვისმინეთ, ისეთი ლექსები, რის გამოც გაგა განსაკუთრებული პოეტია, რის გამოც განსაკუთრებულად უყვარს მკითხველს. შემდეგ თქვა, კომპლიმენტებს არ ვიღებ, კითხვები — კი, ბატონოო. თუ კითხვები არა გაქვთ, მაშინ ღვინო დავლიოთ და საუბარი ასე გავაგრძელოთო. დარბაზმა გაგასთან პოეზიაზე საუბარი სასმისით ხელში ამჯობინა...

მომზადდა თამარ ჟურნალმა

# ქართული წიგნის მსოფლიო სიცოცხლე



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში თარგმნილი და საზღვარგარეთ გამოცემული ქართული ლიტერატურის პრეზენტაცია გაიმართა.

ლონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის მოადგილეები, მწერლები, მთარგმნელები, გამომცემლები, მონვეული სტუმრები. პრეზენტაციას უძღვებოდა წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი დეა მეტრეველი.

ლონისძიების ორგანიზატორებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ქართველი მწერლების ცამეტი ნაწარმოები და ერთი ანთოლოგია, რომელიც პროგრამის ფარგლებში ითარგმნა და სხვადასხვა ქვეყანაში გამოიცა.

თარგმნილი წიგნების ნუსხა ასეთია:

ოთარ ჭილაძის „აველუმი“ (დიდი ბრიტანეთი), დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ (პოლანდია), „ქართული მოთხრობების ანთოლოგია“ (შვედეთი), ჰაინალქა ბაბირაქის „კავკასიური საქართველო“ (უნგრეთი), აკა მორჩილაძის „ძველი გულებისა და ხმლისა“ (შვედეთი), ზაზა ბურჭულაძის „გასაბერი ანგელოზი“ (საფრანგეთი), ბესო ხვედელიძის „ფერფლის გემო“ (იტალია), დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ (იტალია), აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში“ (ამერიკის შეერთებული შტატები), ჯემალ ქარჩხაძის „ანტონიო და დავითი“ (შვედეთი), ანა კორძია-სამადაშვილის „მე მარგარიტა“ (გერმანია), ზაზა ბურჭულაძის „adibas“ (აშშ), ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“ (აშშ), ზურაბ ქარუმიძის „Dagny, ანუ სიყვარულის ნადიმი“ (აშშ).

გაიმართა, ასევე, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე თარგმნილი და გამოცემული ვაჟა-ფშაველას სამი პოემის პრეზენტაცია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად კვლავ რჩება ქართული წიგნისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ, ქართული წიგნის დამკვიდრება საერთაშორისო ბაზარზე, კლასიკური და თანამედროვე მწერლების გაცნობა უცხოელი მკითხველისთვის. წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2014 წლისთვის იგეგმება სხვადასხვა ენაზე ორჯერ მეტი წიგნების თარგმნა, ვიდრე გასულ წელს იყო შესაძლებელი.

გურამ ოდიშარიამ ისაუბრა მსოფლიოში ქართული წიგნის პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე და იმ გეგმებზე, სამინისტრომ ამ მიმართულებით რომ შეიმუშავა. ითქვა იმის შესახებაც, რომ იგეგმება წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება, რაც საწინდარი იქნება სულ უფრო მეტი და მასშტაბური მთარგმნელობითი პროექტის განხორციელებისა.

# ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურნალი

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com